აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

№1

თბილისი
2019

UDC (უაკ)332.2. ა.243

აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

ISSN 1987-6335

აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

2019 №1(42)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეფერირებული
ჟურნალი

Agrarian-economic Science and Technologies

2019 №1(42)

International Sientific-
Methodological and Applied,
Quaterly Referenced Journal

Аграрно-экономическая наука и технологии

2019 №1(42)

Международный научно-
методологический и практический,
ежеквартальный реферированный
журнал

ჟურნალი დაფუძნებულია და გამოდის
2008 წლიდან, ყოველკვარტალურად

Journal was Founded in 2008
and is issued quarterly

599-22-75-50

E-mail: areal 55555@gmail.com

www. gaas.dsl.ge

თბილისი- Tbilisi

2018

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო–სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: გ.ალექსიძე, ნ.ბაღათურია, ჯ.გუგუშვილი, ჯ.კაციტაძე, პ.კოღუაშვილი, გ.მარგველაშვილი, რ.მახარობლიძე, ნ.ქარქაშაძე, ნ.ჩხარტიშვილი, ე.შაფაქიძე, ზ.ცქიტიშვილი, გ.ჯაფარიძე.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

მარტინ აპენბრიკი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ალექსეი სიზონოვი (უკრაინა), იან პიკული (პოლონეთი), იოსეფ კანია (პოლონეთი), ანდრეი ლეპიარჩიკი (პოლონეთი), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი), პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), სადიგ სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

დ.ეგიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ე.შაფაქიძე-სმმ აკადემიის აკადემიკოსი, ა.მესხიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, მ.ჩავლეიშვილი-ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

O. Keshelashvili

Editor-in-chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences.

Editorial-scientific Board:

Academicians of the Academy of Agricultural Sciences: G.Aleksidze, G. Baghaturia, J.Gugushvili, G.Margvelashvili, R. Makharoblidze, G. Japaridze, N. Karkashadze, J. Katsitadze, P.Koguashvili, N. Chkhartishvili, Z.Tskitishvili, E.Shapakidze.

Foreign members of Editorial–Scientific Board:

Martin Apenbreke (German); Sergi Kazarian (Armenia), Aleksei Sizonov (Ukrain), Ian Piculi (Poland), Jozef Kania (Poland), Andrzej Lepiarczyk (Poland),Chaba Chaki (Hungary), Panomir Tzenov (Bulgaria), Sadig Salakhov (Azerbaijan), Galib Gadjiev (Azerbaijan),

Publishing Board

D.Egiashvili-Deputy editor, Academic doctor, E.Shapakidze- academician, A.Meskhishvili-Academic doctor, N.Damenia-Academic doctor, M. Chavleishvili-Academic doctor.

1. ეკონომიკა და ბიზნესი
Economics and Business

სამართალდაცვის მენეჯმენტი და მისი ამოცანები

ომარ ქეშელაშვილი-
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

განხილულია სამართალდაცვის მენეჯმენტის არსი, მისი როგორც ახალი მეცნიერული მიმართულების და ეკონომიკური კატეგორიის განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი წესები, ნორმები, პრინციპები, მეთოდები, მექანიზმი, რეჟიმი, კრიტერიუმები, მახასიათებლები, პირობები, ფაქტორები.

ჩამოყალიბებულია სამართალდაცვის მენეჯმენტის ამოცანები, თავისებურებები, სუბიექტები და ძირითადი მიმართულებები.

ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერი დარგი (სფერო) და საერთოდ, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნებისმიერი ფორმა (სახე) საჭიროებს და ექვემდებარება მართვას, გაძღოლას, ორგანიზაციას. ცივილიზაციის თანამედროვე დონის შესაბამისად მართვისადმი დაქვემდებარებას მოითხოვს ისეთი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, ამასთან სპეციფიკური სფერო, როგორიცაა სამართალმცოდნეობა ანუ სამართალდაცვის მთელი სისტემა, რადგანაც იგი სწორად და მიზნობრივად წარიმართება მხოლოდ მაშინ, თუ ორგანიზებულია, დასაბუთებულ და უტყუარ ნორმებსა და სტრატეგიას, პრინციპებსა და მექანიზმს ეყრდნობა და ამის შესაბამისად იმართება.

ამა თუ იმ პროცესის (საქმიანობის) განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი წესები, ნორმები, პრინციპები, მეთოდები, მექანიზმი, რეჟიმი, კრიტერიუმები, მახასიათებლები, პირობები, ფაქტორები და ა.შ. სწორედ მისი მართვის ფუნქციის ამოსავალი და საყრდენი ძალაა (წყაროა), ამ ფუნქციის განხორციელების საფუძველია.

იმის გამო, რომ სახელმწიფოსა და სამართალდაცვის ინტერესები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთიმეორისაგან გამომდინარეობს, სოციალურ-პოლიტიკური ან სახელმწიფოს მართვის რგოლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს მთელი სამართალდაცვის სისტემის (კომპლექსის) მართვა, ანუ მენეჯმენტი.

სამართალდაცვის მენეჯმენტი ფორმირდება ახალ მეცნიერულ მიმართულებად, მეცნიერების ახალ დარგად, რომელსაც თავისი სპეციფიკური ფუნქციები, ამოცანები, პრინციპები და მეთოდები გააჩნია.

სამართალდაცვის მენეჯმენტის როგორც მეცნიერების ახალ დარგად ჩამოყალიბებას განსაზღვრავს და განაპირობებს:

- ის დიდი ცვლილებები, რაც ამჟამად ხდება შიდასახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების, საერთოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობების, ამის შესაბამისად კი მთელ იურისპრუდენციის სფეროში;
- სამართალმცოდნეობის მთელი არსენალის (კომპლექსის, სისტემის) სირთულე, მრავალწახნაგიანობა, სრულყოფისა და განვითარების ფართო მასშტაბები, ახლებური მოთხოვნები და მიდგომები;
- სამართალდაცვის სისტემაში ახალი მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების შესაძლებლობები;
- სამართალდაცვის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიების ათვისებისა და გამოყენების, ავტომატიზებული და ელექტრონული სისტემების გამოყენების ობიექტური აუცილებლობა;
- სამართალდაცვის სისტემის გაძღოლის სირთულე და მისი გამარტივებისა და უტყუარობის უკუგებისათვის მენეჯმენტის პროგრესული მეთოდებისა და ხერხების გამოყენების აუცილებლობა.

ცნობილია, რომ მართვა არის ყოველგვარი სახის საქმიანობის (შრომის) პროცესის ელემენტი, ფუნქცია. იგი მოწოდებულია განსაზღვროს ამ საქმიანობის მიზანი, განვითარების პირობებისა და კანონზომიერებების შესაბამისად, დაამყაროს სისტემის შემადგენელ ნაწილებს შორის შეთანხმებულობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთმოქმედება, უზრუნველყოს მისი მიზნობრივი განვითარება.

ამ ფორმულირების ბოლო ფრაზას საჭიროა დაემატოს სიტყვები: ,,კანონმდებლობის შესაბამისად".

ამრიგად, დგინდება, რომ მენეჯმენტი გვევლინება როგორც არა მარტო ეკონომიკური კატეგორია, არამედ იურიდიული კატეგორიაც, რადგან ამა თუ იმ პროცესის განვითარებას, წმინდა ეკონომიკურ ხასიათთან და საფუძველთან ერთად, უდავოდ გააჩნია იურიდიული საფუძველი და უზრუნველყოფა, რამეთუ მუშაობის

(საქმიანობის) ნებისმიერი ფორმა უკავშირდება პასუხისმგებლობის ნორმებს და შესაბამისად სამართლებრივ სანქციებს.

ასე, რომ თანამედროვე მენეჯმენტი საკმაოდ რთული ბუნების, ფუნქციებდატვირთულ კატეგორიად ისახება, ამიტომაც არის, რომ თვით ამ კატეგორიამ წარმოშვა თავისივე ახალი მოდიფიკაცია -სამართალდაცვის მენეჯმენტი, რაც დიალექტიკური ურთიერთკავშირისა და ურთიერთგაპირობებულობის ორიგინალური გამოვლენაა.

დღევანდლამდე, მეცნიერები ასეთ დაკავშირებას ნაკლებად აფიქსირებდნენ და განმარტავდნენ. საზოგადოებრივი ღირებულებების გადაფასებამ, ადაპტირებამ, მათთვის თანამედროვე ქარგის მორგებამ, ობიექტურად წარმოშვა ასეთი დაკავშირებისა და სიახლის ფორმირების ფაქტის აუცილებლობა.

ამრიგად, საჭიროა ჩამოყალიბდეს სამართალდაცვის მენეჯმენტის არსი და ამოცანები.

ეკონომიკურ და იურიდიულ მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნის განზოგადების საფუძველზე სამართალდაცვის მენეჯმენტის არსი შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

<u>სამართალდაცვის მენეჯმენტი</u> არის მართვის მეთოდების, ხერხებისა და საშუალებების მიზნობრივი გამოყენების სისტემა, კანონშემოქმედების, კანონსარეალიზაციო და კანონაღსრულების ურთიერთდაკავშირებული პროცესის სრულყოფისა და მისი სახელმწიფოს და საზოგადოებისათვის გამართლებული და დასაბუთებული მარ-თვის რეჟიმის ჩამოყალიბებისა და დაცვის მიზნით, სტრატეგიული მოთხოვნების გათვალისწინებით, ამასთან, სამართალდაცვის მენეჯმენტი მოიცავს იმ განსაკუთრებულ ფუნქციას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კანონის უზენაესობა.

სამართალდაცვის მენეჯმენტის მიერ კანონის უზენაესობის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულება გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემის ჩარჩოებში გამოყენებული იქნას ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური მოტივაციისა და სტიმულირების ისეთი მექანიზმი, რომელიც კანონის მოქმედებისა და გავლენის ძალას იმ ნიშნულამდე აიყვანს, როდესაც თვით კანონი გამოვა მენეჯერის როლში.

ეს საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესია, მაგრამ აუცილებლად გასავლელი და, რადგან ეს, როგორც ასეთი, პროცესია, პროცესს ყველა შემთხვევაში მართვა სჭირდება. უმართავად იგი პროცესად არ ჩამოყალიბდება, ამიტომაც, ვლინდება მენეჯმენტის ფუნქცია კანონის უზენაესობის აღიარება-დადგენისა და

მისთვის ასევე „უზენაესი მენეჯერის“ როლის განსაზღვრა-ჩამოყალიბებაში.

როდესაც კანონი თვით შეიძენს „მენეჯერის სტატუსს“, ეს იქნება ის ეტაპი, როდესაც ვიტყვით, რომ სახელმწიფო გამოდის მენეჯერის როლში. ამრიგად, როდესაც ამბობენ, რომ განვითარებული სახელმწიფოები თვით გამოდიან მენეჯერის როლში, ეს იმას ნიშნავს და იმას ადასტურებს, რომ იგი ამ როლს, არც მეტი და არც ნაკლები, სწორედ კანონის ძალით ასრულებს. სწორედ სამართლებრივი ნორმების (რაც კანონმდებლობაშია ასახული) ერთობლიობაა ის მექანიზმი, რომელიც წარმართავს და არეგულირებს თითოეულ ქვეყანაში (თუ მის ცალკეულ სტრუქტურულ ფორმირებებში) პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და სამართალდაცვის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მათი თითოეული ელემენტის ფუნქციონირებას.

პრინციპული თვალსაზრისით, ყველა განვითარებულ და სამართლებრივ სახელმწიფოში, ქვეყნის კონსტიტუცია და მის შესაბამისად მიღებული კანონები უნდა ასრულებდნენ „უზენაესი მენეჯერის“ როლს, ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტი, სამართალდამცავი სტრუქტურები მხოლოდ მიმართულებას აძლევენ მათ შესრულებასა და დაცვას, და, რამდენადაც კვალიფიციურად და ჭკვიანურად იქნება მათ მიერ ეს შესრულებული სწორედ ამაზეა დამოკიდებული არსებული ეკონომიკური თუ სხვა პოტენციალის გამოყენების უკუგებისა და შესაბამისად, ხალხის ცხოვრების დონე, ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო მასშტაბით, განვითარების პერსპექტივა.

ასე, რომ იკვრება ერთიანი ჯაჭვი: სამართალდაცვის მენეჯმენტს, როგორც „ქვეყნის მენეჯმენტს“ კანონი გამოჰყავს მენეჯერის როლში, თვით კანონის ამ სპეციფიკურ ფუნქციას და მაშასადამე, მის უზენაესობამდე მიღწევას უკვე სახელმწიფო გამოჰყავს მენეჯერის როლში. ამ ეტაპის დადგომა ყველა სახელმწიფოსათვის გამარჯვებას ნიშნავს.

კანონთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია ავღნიშნო შემდეგი: ზოგჯერ კითხულობენ: დაუწერელ კანონს უფრო მეტი ძალა აქვს თუ დაწერილს? ეს არ არის იოლი კითხვა, მასზე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ სასწორი გადაიწონება იმ მხარეს, რომ არცთუიშვიათად დაუწერელ კანონს უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე დაწერილს.

დაუწერელ კანონებს, ანუ ჩვეულებებს, ადათ-წესებს, ბევრგან, მ.შ. საქართველოშიც, განსაკუთრებით მის მთიან რეგიონებში, უდიდესი ძალა გააჩნია. რაიმე დანაშაულის ჩადენისას მოსახლეობა

მას უპირობოდ და აუცილებლად ასრულებს და, პირიქით, მათი შეუსრულებლობა იწვევს შიშს, დეპრესიას და ა.შ.

დაწერილი კანონები, ანუ პარლამენტის მიერ მიღებული, საფუძვლიანად შეჯერებული და გამართული კანონები და როგორც იტყვიან კანონქვემდებარე აქტები, არც თუ იშვიათად, საერთოდ ნაკლებად სრულდება, ზოგიერთი (ნაუცბათევად და არასწორად მიღებული) კი ისე მოძველდება, რომ თითქმის გამოუყენებელი რჩება.

ეს ადასტურებს იმას, რომ კანონი ჯერ ვერ ამაღლდა იმ ნიშნულამდე, რომ იგი ჭეშმარიტად გამოვიდეს მენეჯერის როლში, ამიტომაც არის საჭირო და აუცილებელი ამოქმედდეს სამართალდაცვის მენეჯმენტის როლი და შესაძლებლობები. ამან უნდა მიგვიყვანოს იქამდე, რომ როგორც წესი, დაწერილი კანონი იყოს უფრო აღმატებული და მართლაც კანონობდეს, ვიდრე დაუწერელი. დაუწერელი კანონის უპირატესობა და ჯობნა დაწერილისადმი, ქვეყნის ჩამორჩენის, მისი სამართალდაცვითი ფუნქციის განუვითარებლობისა და დაბალი სამართლებრივი კულტურის შედეგია.

სამართალდაცვის მენეჯმენტის ამოცანებია:

1. შეიმუშაოს და გამოიყენოს მართვის ის მეთოდები, ხერხები, საშუალებები და მექანიზმი, რომელიც მიესადაგება სამართალდაცვის მთელ სისტემას, მისი ცალკეული რგოლების სპეციფიკის სრული გათვალისწინებით;

2. შეიმუშაოს სამართალდაცვის მენეჯმენტის მეთოდოლოგია და კონკრეტული მეთოდიკური მიდგომები და ხერხები მისი ცალკეული სფეროების მიხედვით;

3. გამოიყენოს ინფორმაციული ტექნოლოგიისა და მართვის ავტომატიზებული და ელექტრონული სისტემების შესაძლებლობები;

4. შეიმუშაოს და დანერგოს მართვის ახალი, მოდიფიცირებული მაჩვენებლები, კრიტერიუმები, მახასიათებლები და ა.შ.;

5. გამოიყენოს ინტერნეტის შესაძლებლობები;

6. შეიმუშაოს და გამოიყენოს სამართალდაცვის საერთაშორისო სისტემაში ავტომატიზებული და თანამედროვე ტექნიკური და ელექტრონული საშუალებებით ჩართვის მექანიზმი და პრაქტიკა;

7. შეიმუშაოს სამართალდაცვის მენეჯმენტის სტრუქტურა სამართალდაცვის სისტემის სხვადასხვა დონისათვის, სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურის შესაბამისად;

8. შეიმუშაოს სამართალდაცვის მენეჯმენტის ტაქტიკა და სტრატეგია, როგორც თვალსაწიერი, ისე შორეული პერიოდისათვის, სამართალმცოდნეობის განვითარების პერსპექტიული შესაძლებლობების გათვალისწინებით.

9. გადაწყვიტოს სხვა სპეციფიკური საკითხები.

ამ ამოცანების გადაწყვეტამ და განხორციელებამ ახალ სიმაღლეზე უნდა აიყვანოს როგორც მართვის მეცნიერება, ისე სამართალდაცვის მეცნიერება და პრაქტიკა.

სამართალდაცვის მენეჯმენტის თავისებურებები, სუბიექტები და ძირითადი მიმართულებები

სამართალდაცვის მენეჯმენტი, მენეჯმენტის სხვა სფეროებისაგან განსხვავებით მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ეს თავისებურებებია:

1. საქმე გვაქვს მენეჯმენტისათვის, შეიძლება ითქვას, სრულიად ახალ და უცხო სფეროსთან, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს მართვას არ უნდა ემორჩილებოდეს, რადგანაც კანონი თვით გამოდის მართვის, მენეჯერის როლში, თუმცა ეს მომავლის საქმეა, რადგანაც იგი არეგულირებს და აწესრიგებს ადამიანთა ქცევის წესებს და ამის შესაბამისად განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ზომებს;

2. ასევე ითქმის სახელმწიფოს მიმართაც. სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა სამართლის დაცვა და განხორციელება, ამასთან, თუ სახელმწიფო განვითარებულია თვით უნდა გამოდიოდეს მენეჯერის როლში. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო, როგორც სუბიექტი თვით მოითხოვს გაძღოლასა და მართვას. თითქოს წინააღმდეგობა იქმნება, მაგრამ ეს ურთიერთგაპირობებული, შეთანაწყობილი და აუცილებელი ელემენტების ერთობლიობაა და არა წინააღმდეგობა. ეს მოჩვენებითი წინააღმდეგობაა, თითქოს მენეჯმენტს ისევ მენეჯმენტი შეეჯახა, სინამდვილეში კი, როდესაც სახელმწიფოს ვგულისხმობთ მენეჯერის როლში, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო იყენებს იურიდიულ კანონებს, ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ბერკეტებს, მექანიზმს, ამა თუ იმ რგოლის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის, ამ საშუალებების, მექანიზმის გამოყენება კი სწორედ მართვის ფუნქციაა. ხოლო როდესაც ვამბობთ, რომ სახელმწიფოს სჭირდება მართვა (მენეჯმენტი) ეს ნიშნავს, რომ შემუშავდეს მართვის რგოლების (სამინისტროები, დაპარტამენტები და ა.შ.), მართვის კანონების, მართვის მექანიზმის და სხვა დასაბუთებული და ამა თუ იმ ეტაპისათვის მორგებული სტრუქტურა, საბიუჯეტო და სხვა უზრუნველყოფა და ა.შ.; და, მათი გამოყენებით გაიშალოს ხელისუფლების საქმიანობა და შესაბამისად ქვეყნის სხვადასხვა რგოლის ფუნქციონირება.

ამ შემთხვევაშიც, რადგანაც საქმე გვაქვს სტრუქტურასთან, ეს ნიშნავს, რომ უკვე აუცილებელი ხდება მართვის საშუალებების გამოყენება.

3. მართვის თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიკური უბანია კანონშემოქმედებითი საქმიანობა, სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების საქმიანობა, რომლებიც მენეჯმენტის მხოლოდ შესაბამისი, მოდიფიცირებული მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას მოითხოვს.

4. თავისებურ, სრულიად განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს სამართალდაცვის მენეჯმენტის მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის შემუშავება, რომლის დროსაც მრავალი სპეციფიკური ნიშანი და პირობა უნდა იყოს გათვალისწინებული.

5. განსაკუთრებული თავისებურებაა ის, რომ სამართალდაცვის მენეჯმენტს, როგორც საქმიანობის სფეროს, ისე, როგორც სახელმწიფოში ნებისმიერ საქმიანობას, თან ახლავს პასუხისმგებლობის ტვირთი. ეს იმაში გამოიხატება, რომ თუ სამართალდაცვის მენეჯმენტმა და კონკრეტულად მენეჯერებმა არამართლზომიერი ქმედება ან უმოქმედობა ჩაიდინეს, ეკისრებათ პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის და მათ მიმართ შეფარდებული იქნება სასჯელის შესაბამისი ნორმები. როგორც ჩანს, საკმაოდ რთულ და ურთიერთგაპირობებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რასაც არცერთი სხვა შემთხვევის დროს არა აქვს ადგილი. გამოდის, რომ მმართველი მართავს სამართავს და ამავდროულად თვით სამართავის შიშისა და პასუხისმგებლობის ქვეშ იმყოფება.

ცხადია, მენეჯერის პასუხისმგებლობის საკითხი სხვა დარგების გაძღოლისასაც დადგება, მაგრამ სამართალდაცვის სისტემის პირობებში ეს პასუხისმგებლობა გადაჯაჭვულია და რეაქციაშია მის მოვალეობასა და ფუნქციასთან, რაც საკმაოდ სპეციფიკურ და თავისებურ შემთხვევად კვალიფიცირდება.

სამართალდაცვის მენეჯმენტის სუბიექტებია (საგანია):

- საკანონმდებლო საქმიანობა;
- აღმასრულებელი საქმიანობა;
- სასამართლო საქმიანობა.

მართალია, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო საქმიანობას ხელმძღვანელობენ შესაბამისად: პარლამენტის თავმჯდომარე, ქვეყნის პრეზიდენტი, სამართალდამცავი და უფლებადამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, რომლებიც, სამართალდაცვის მენეჯმენტის არსიდან გამომდინარე, თვითონვე ასრულებენ მენეჯერის ფუნქციას, მაგრამ საქმე ეხება იმას, რომ სამართალდაცვის მენე-

ჯმენტმა, როგორც მეცნიერებამ, უნდა შეიმუშაოს ის ე.წ. ცენტრალიზებული, საერთო-სახელმწიფოებრივი პრინციპები, მეთოდები, მიდგომა, წესი, მექანიზმი და ა.შ.; რომელიც: ამ საშუალებების ძალით მართავს ჩამოთვლილი საქმიანობების თითოეულ სფეროს; ამ მეთოდებს, მექანიზმებს და ა.შ., ანუ კანონს უმორჩილებს დასახელებული პირების სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

ამრიგად, მენეჯმენტი მოწოდებულია მართოს როგორც საქმიანობა, პროცესი და ა.შ., ისე თვით ამ საქმიანობისა თუ პროცესის გამძღოლი, ხელმძღვანელი-მენეჯერი.

როგორც ჩანს იმართება თვით მენეჯერი, რომელიც ამავდროულად მართავს სამართავ ობიექტს, მაგრამ იმართება კანონებით, ნორმებით და ა.შ. ეს საკმაოდ საინტერესო, საყურადღებო და ანგარიშგასაწევი, ამასთან სტრატეგიული პოზიციაა.

სამართალდაცვის მენეჯმენტის ძირითადი მიმართულებები შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

განახორციელოს საკანონმდებლო ხელისუფლების საქმიანობის მენეჯმენტი, რაც იმაში გამოიხატება, რომ მეცნიერულად დასაბუთებულად იგეგმებოდეს და იმართებოდეს კანონშემოქმედებითი მუშაობა (იურისტებისა და სხვა დარგების წარმომადგენელთა მონაწილეობით); დასაბუთდეს (ეტაპების მიხედვით) რომელი კანონის შექმნა და მიღებაა საჭირო და აუცილებელი.

ამჟამად ხშირად ხდება პატარ-პატარა, ზოგჯერ დაუხვეწავი კანონების მიღება, ზოგი კანონი, კანონის სახით არც უნდა ყოფილიყო მიღებული–იგი შეიძლება კანონქვემდებარე აქტი ყოფილიყო; თანაც საჭიროა კანონების გაერთიანება, გამსხვილება; ამჟამად დამტკიცებული კანონების ნაწილი მიუღებელია ხალხისათვის–(მაგ: მიწის ყიდვა-გაყიდვის მომენტი და სხვა), დღევანდდელ ეტაპზე, მომავალ წლებში; ადგილი არ უნდა ჰქონდეს კანონებში ცვლილებების ხშირ შეტანას; გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ: კანონი არ უნდა იყოს რთული და ძნელად გასაგები, ამასთან ძალზე გაბერილი და ზედმეტი ფრაზებით გადატვირთული, ადვილად უნდა იკითხებოდეს; პროცესი უნდა წარიმართოს მათი გამარტივებისაკენ. ამჟამად ძალზე რთული, გადატვირთული და ძნელად გასაგებია საგადასახადო კოდექსი, რასაც თან ახლავს უსაზომო, ასევე რთული და სწრაფადცვალებადი სადეკლარაციო ფორმები, კითხვარები და ა.შ., რაც მეწარმეთა უკმაყოფილებას იწვევს. აუცილებელი ხდება მისი რაც შეიძლება სწრაფი გამარტივება, ფორმათა შემცირება. საჭიროა იყოს რამდენიმე მსხვილი (აკუმულირებული) მაჩვენებელი და ისიც ერთი ან ორი ფორმის სახით.

ეს ფაქტი ადასტურებს იმას, რომ ამჟამად არ გვაქვს სამართალდაცვის მენეჯმენტი და კანონშემოქმედებაც ხარვეზებით ვითარდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პარლამენტი ძირითადად დაკავებული უნდა იყოს კანონშემოქმედებით და დროს არ უნდა კარგავდეს ისეთ საქმეებზე, რაც არცთუ იშვიათად აღმასრულებელი ხელისუფლების გასარკვევ-შესასრულებელია. ეს ნიშნავს, რომ უნდა დაიხვეწოს პარლამენტის კომიტეტების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები;

განახორციელოს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მენეჯმენტი, რაც იმაში გამოიხატება, რომ: შემუშავდეს მასტიმულირებელი და მოტივაციური მექანიზმი თუ როგორ გატარდეს პრაქტიკაში კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში დადგენილი სამართლებრივი ნორმები, პასუხისმგებლობის პრინციპის შეუქცევადი დაცვით; როგორ ამაღლდეს კანონი უზენაესის როლში (ეტაპობრიობის პრინციპის გათვალისწინებით).

ეს ნიშნავს, აგრეთვე იმას, რომ შემუშავდეს მექანიზმი თვით ეკონომიკური მექანიზმის ცალკეული ბერკეტის, სამართლებრივად უზრუნველყოფილი რეალიზაციისათვის.

კონკრეტულ მაგალითზე ეს ნიშნავს, იმას, რომ: ბიუჯეტი შემუშავდეს არა წვალებ-წვალებით, არამედ მეცნიერულ კრიტერიუმებზე, მოტივაციებზე და რეალურ შესაძლებლობებზე დაყრდნობით, და შემდეგ, მისი ცალკეული მუხლისა და პუნქტის შესრულებას თან ახლდეს მკაცრი პასუხისმგებლობა (და არა სხვებისთვის გადაბრალების პრინციპი).

ამ პროცესს სჭირდება თანამედროვე და გამართული მენეჯმენტი. ამის გარეშე ეს პროცესი კვლავ ხარვეზით განვითარდება, რაც გამოიწვევს მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების პარალიზებას, უნდობლობას, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პოტენციალის შესუსტებასა და რყევას.

განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის მენეჯმენტი. ეს ძალზე სპეციფიკური სფერაა. ერთი შეხედვით, სასამართლოს საქმიანობას თითქოს მართვა არ სჭირდება, მაგრამ ეს მცდარი პოზიციაა.

ვინაიდან სასამართლო წარმოადგენს თავისებურ სტრუქტურას, ფორმირებას, სადაც ადამიანები მოღვაწეობენ და გარკვეულ საქმიანობას ეწევიან, უეჭველად მოითხოვს მართვას ანუ გაძღოლას, ამიტომაც ჰყავს სასამართლოს თავმჯდომარე და ა.შ.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სასამართლოს ფუნქციონირების სისტემა, სასამართლოს გაძღოლის მექანიზმი, დადგენილების შემუშავების ტექნიკა და ა.შ. მოითხოვს დახვეწას და სრულყოფას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

მენეჯმენტის მიზანი ამ შემთხვევაში, სხვა საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ის არის, რომ დაიხვეწოს და გამარტივდეს პროცედურა, გამოყენებული იქნას: სასამართლო ნორმებისა და სხვა საჭირო წყაროებისა და საფუძვლების მონაცემთა ავტომატიზებული ბანკი, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის ავტომატიზებული, მოდელირებული, კოდირებული, ტესტირებული და სხვა სახის სისტემები; კრიმინალიტიკის, ექსპერტიზის, გამოკვლევების, ანალიზის და ა.შ. ავტომატიზებული გადაწყვეტები.

სასამართლოები შეიარაღებული უნდა იყვნენ მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევებით, რათა ყოველმხრივ დასაბუთებულად და უმაღლესი გარანტიის პირობით მიიღონ სასამართლო დადგენილებები თუ გადაწყვეტილებები.

აქ საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამჟამად სამართალმცოდნეობაში და სამართალდაცვითი ორგანოების მიერ ხმარებული ტერმინი „სისხლის სამართალი“, მოძველებული ჩანს, იგი ადრინდელი საზოგადოებრივი წყობილებების გადმონაშთია (უკავშირდება სისხლის აღებას). მიზანშეწონილი იქნება მის ნაცვლად შემოღებული იქნას: „დანაშაულის სამართალი“;

4. დაამუშაოს და დანერგოს სასამართლო მენეჯმენტის (როგორც სამართალდაცვის მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის) რაციონალური სტრუქტურა, სხვადასხვა დონისათვის, თითოეულ ამ დონეზე კადრების დაკომპლექტებისა და დაგეგმილი მოძრაობის დასაბუთებული კრიტერიუმები;

5. დაამუშაოს და რეკომენდაცია მისცეს განსახორციელებლად: სამართალდამცავი და უფლებადამცავი ორგანოების რაციონალურ სტრუქტურას, მათი ურთიერთკავშირის სამართლებრივ და ეკონომიკურ მექანიზმს, საკადრო პოლიტიკას, მათი წესდებებისა და დებულებების გამარტივებას და დახვეწას, ფუნქციონალური ვალდებულებების ახლებურად გააზრებასა და დანერგვას;

6. დაამუშაოს, ეტაპობრივად სრულყოს და განახორციელოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებათა მენეჯმენტი, მათი ფუნქციონირების ცალკეულ რგოლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს სასჯელმისჯილთა იდეოლოგიის ფორმირებას, აღმზრდელობით მუშაობას, მათი პერსპექტიული საქმიანობის მასტიმულირებელი და

მოტივაციური ფაქტორებისა და პირობების გამოყენების რეალურ შესაძლებლობებს;

7. დაამუშაოს სამართლის ცალკეული რგოლების (დარგების): სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის, კრიმინალისტიკის, ადმინისტრაციული სამართლის, შრომის სამართლის, სამეწარმეო სამართლის, საგადასახადო სამართლის და სხვათა შემადგენელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკაში გამოყენების მართვისა და რეგულირების მექანიზმი, მათი ცხოვრების პირობებისადმი შესაბამისობის, დახვეწის, დიფერენცირების თვალსაზრისით;

8. დაამუშაოს და განახორციელოს სახელმწიფოთაშორისი ინტეგრაციის პროცესებთან შესაბამისად საერთაშორისო სამართლის დადგენილი ნორმების გამოყენების და სახელმწიფოთაშორისი სამართლებრივი ურთიერთობების მართვის მექანიზმი;

9. დაამუშაოს და დანერგოს სამართალდაცვის მთელ სისტემაში მართვის ავტომატიზებული სისტემები, პროგნოზირებისა და მოდელირების მეთოდები, კომპიუტერული და ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინტერნეტის შესაძლებლობები, კოდიფიკაციისა და ტესტირების სისტემები, მართვის ელექტრონული აპარატი, დიაგნოსტიკური სისტემები და სხვა;

10. დაამუშაოს და ფართოდ გამოიყენოს მართვის ფსიქოლოგიური მეთოდები და სამართლის ეთიკის ნორმები სამართალდაცვის ცალკეული ეტაპების სპეციფიკის შესაბამისად;

11. დაამუშაოს სამართალდაცვის მენეჯმენტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგია, მისი სხვადასხვა დონისათვის, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიის, დემოგრაფიული და სოციალური პირობების გათვალისწინებით;

12. განახორციელოს სხვა ფუნქციები და ვალდებულებები, რაც სამართალდაცვის მენეჯმენტის ამოცანებიდან გამომდინარეობს:

სამართალდაცვის მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციები და მიმართულებები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საერთოდ აღიარებულ და დადგენილ პრინციპებსა და მოთხოვნებს.

სამართალდაცვის მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ის უნდა იყოს, რომ სწორად და ფილოსოფიურ საწყისებზე დაყრდნობით მართოს დემოკრატია, ადამიანთა თავისუფლება და პასუხისმგებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატია პოლიტიკური რეჟიმის ფორმაა, რაც საკმაოდ რთული ბუნებით ხასიათდება. იგი მოქალაქეთა პირდაპირ მართვას ნიშნავს და მიიჩნევა საზოგადოებრივი

აზრის მიმართულებად. იგი მოქალაქეთა და ხელისუფლების ურთიერთობის რთული ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების უფლებათა და თავისუფლებათა დიდ შესაძლებლობებს.

დემოკრატია ძირითადად მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლებაა (მაგ. არჩევანის თავისუფლება და სხვ.), საერთოდ კი თავისუფლება, როგორც ადამიანის ნების დამახასიათებელი თვისება, რეგულირდება და ემორჩილება კანონის მოთხოვნებს. თავისუფლება თვითნებურ მოქმედებაში არ უნდა გადაიზარდოს.

იურისპრუდენციის მიხედვით ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს პრიორიტეტი აქვთ მინიჭებული და აღმატებულ ხარისხშია აყვანილი, ამასთან იგი უცილობლად უკავშირდება პასუხისმგებლობას (განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობების პირობებში), რაც იმას ნიშნავს, რომ თავისუფლება ნორმირებული და რეგლამენტირებულია, წინააღმდეგ შემთხვევაში არც იარსებებდა სამართალმცოდნეობა, რომელიც უპირატესად აგებულია ისეთ ფენომენებზე, როგორიცაა: საკუთრება, თავისუფლება, პასუხისმგებლობა–შესაბამისად: დანაშაული და სასჯელი.

პასუხისმგებლობა თავისუფლების ფუნქციაა. აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და მას საერთო არა აქვს თავაშვებულობასთან და თვითნებობასთან.

საზოგადოების დაბალი პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის დროს შეინიშნება (ადგილი აქვს) დემოკრატიისა და თავისუფლების არასწორი გაგება (ასეთი ვითარებაა შექმნილი დღეს საქართველოშიც).

ყოველივე ზემოთ ნათქვამი ადასტურებს იმას, რომ აუცილებელი ხდება სამართალდაცვის მენეჯმენტმა მოიცვას ეს პრობლემები; ასე, რომ სახელმწიფოში დემოკრატია, თავისუფლება და პასუხისმგებლობა უნდა იმართებოდეს და რეგულირდებოდეს. მაგ. აბა, როგორ შეიძლება, რომ არ იმართებოდეს და არ რეგულირდებოდეს, უფრო მეტიც – არ იზღუდებოდეს და არ ითრგუნებოდეს კორუფცია, ნარკომანია, ნარკობიზნესი და ა.შ.

სამართალდაცვის მენეჯმენტში, როგორც მომავლის მეცნიერებაში დამუშავებას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, რომ მის ერთ-ერთ მიმართულებად შემოვიღოთ: სასჯელის მიკუთვნების მართვა, რაც საკმაოდ რთული საკითხია და ეჭვგარეშეა კომპიუტერული ტექნოლოგიის ფართო შესაძლებლობებს უნდა ემყარებოდეს. თავისთავად საკითხი დიდ ინტერესსა და ყურადღებას იქცევს როგორც იურიდიული, ისე ორგანიზაციული (მენეჯმენტის) თვალსაზრისით და ალბათ, მომავალში ეს მიმართულება თანდათანობით დამკვირდება

სასამართლო პრაქტიკაში, რაც სრულიად ახლებურად გააზრებას, მიდგომასა და გადაწყვეტას, რთული მექანიზმის გამოყენებას მოითხოვს.

საინტერესო და საყურადღებოა საკითხი სამართალდაცვის მენეჯმენტის სამართლებრივი საფუძვლების დამუშავების შესახებ, რაც ასევე ახლებურ მიდგომას მოითხოვს და დღევანდლამდე, სრულიად უცხო ნორმებისა და პრინციპების ჩამოყალიბებას საჭიროებს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სამართალდაცვის სფეროს მართვა (მენეჯმენტი) თვით იყოს სამართალუზრუნველყოფილი, კანონით დაცული და გარანტირებული თავისი ფუნქციების შესრულებისას.

განხილული საკითხების განზოგადების საფუძველზე იკვეთება იმის მიზანშეწონილობა, რომ საქართველოში შეიქმნას სამართალდა-ცვის მენეჯმენტის ერთიანი ცენტრი (გინდაც დეპარტამენტი), თავი-სი საკვლევი სტრუქტურით, მენეჯერთა და იურისტთა კადრით, ფა-რთო უფლებამოსილებით, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობით.

ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართალმცოდნეობისა და მთელი სამართალდაცვის სისტემის ახალ სიმაღლეზე აყვანას, სახელმწიფო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების როლის ამაღლებასა და განსაზღვრული ფუნქციების, აგრეთვე სასამართლო რეფორმის წარმატებით განხორციელებას.

Management of Law-enforcement and its objectives

O. Keshelashvili-
Doctor of Economic Sciences, professor,
Academician of the Georgian Academy
of Agricultural Sciences

Abstract
(Internet Version)

The article discusses the meaning of law-enforcement management as a new direction in science and as the legislative norms, principles, methods, mechanisms, criteria, characteristics, conditions and factors which define and regulate economy.

Key principles, specific features, aspects and subjects of law-enforcement management are defined and discussed in the present article.

მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემები და ტენდენციები საქართველოს სოფლის მეურნეობაში

გ. მშვილდაძე-
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ქ. როყვა-
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია მეწარმეობის განვითარების მოკლე ისტორია, არსებული პრობლემები/ტენდენციები, როლებიც შეიძლებ–ბა წარმოიქმნას. ამასთან ერთად, მოცემულია მეწარმეობის, კერძოდ კი, მცირე ბიზნესის არსებული მდგომარეობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოვლენილია ნაკლოვანებები და დასახულია მათი აღმოფხვრის გზები.

მეწარმეობის თემა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია დღევანდელ პირობებში. ყველა ცივილიზებული ქვეყანა თა–ვისი კეთილდღეობიდან გამომდინარე დამოკიდებულია არა მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ, არამედ საბაზრო სისტემა–ზე, ეკონომიკურ–სოციალურ განვითარებზე, რომლის მძლავრ მამოძრავებელს წარმოადგენს მეწარმეობა. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის გარეშე, სამეწარმეო აქტივობის გარეშე, შეუძლებელია წარმა–ტებების მიღწევა.

სამამულო მეწარმეობას აქვს თავისი ისტორია. პოსტკომუ–ნისტურ საქართველოში, მეურნეობრიობის ახალი ფორმები სრულყოფილად არ არის დამკვიდრებული. როგორც არასდ–როს ქვეყანას ესაჭიროება ის ხალხი, რომლებიც ფლობენ მსო–ფლიო და სამამულო პრაქტიკიდან საუკეთესოს და იწყებენ რთულ, მაგრამ ნაყოფიერ მუშაობას ეფექტიანი ეკონომიკის შექმნისთვის.

სწორედ მეწარმეობა, რომელიც ასოცირდება ისეთ ცნებე–ბთან, როგორიცაა დინამიზმი, ინიციატივა, გამოცდილება,

რეალობაში აქცევს ბევრ საინტერესო იდეას და ხელს უწყობს პროგრესს. კრიზისიდან გამოსვლისა და ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისათვის და უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების აღმოფხვრისათვის კი არ უნდა ჩაიხშოს მეწარმეობა, არამედ უნდა შეიქმნას სასურველი პირობები მისი ნორმალური ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის.

საბაზრო ეკონომიკაში და მათ შორის ყიდვა–გაყიდვის პროცესში, გვხვდება და მოქმედებენ სხვადასხვა ადამიანები, თავიანთი მიზნებითა და ამოცანებით, გარკვეული ტიპიური მოქმედებებით და დამახასიათებელი ნიშნებით.

მეწარმეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ მხოლოდ კაპიტალიზმის დამკვიდრების პირობებში გამოჩნდა ასეთი სახის საქმიანობის თანამედროვე გაგება. ინგლისელი რიჩარდ კანტალონი იყო პირველი, რომელმაც მე–18 საუკუნეში ეკონომიკურ ანალიზში შემოიტანა ტერმინი „მეწარმეობა“. რ. კანტილიონის განმარტებით მეწარმე ეს არის ადამიანი განუსაზღვრელი არაფიქსირებული შემოსავლებით, რომელიც იძენს სხვის საქონელს ცნობილი ფასით, ხოლო თავისას გაყიდის მისთვის უცნობი ფასით.

მეწარმეობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია რისკი, ხოლო ფუნქცია სხვადასხვა სასაქონლო ბაზრის მოთხოვნის მიწოდებასთან შესაბამისობაში მოყვანა. მეწარმეები (რ. კანტილიონის მიხედვით) შეიძლება იყვნენ აგრეთვე მოვაჭრე მიწათმფობელები ან ავაზაკები.

დიდი ხნის განმავლობაში, მეწარმეობის შესახებ შეხედულებები დაკავშირებული იყო ისეთ ცნებებთან, როგორიცაა „კაპიტალი“, „კაპიტალიზმი“. მეწარმის კაპიტალისტისაგან განსხვავება ძალიან ძნელია, მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ მეწარმე და ფულის (კაპიტალის) მფლობელი, ყოველთვის ერთი და იგივე პირი არაა. საჭირო გახდა სპეციალური თეორიული გამოკვლევები მეწარმის დასახასიათებლად. მეწარმეობის დახასიათების ცდა პირველად განახორციელა დასავლეთელმა თეორეტიკოსმა იოზეფ შუმპეტერმა (1883–1950), რომელმაც გამოსცა თავისი ცნობილი ნაშრომი „ეკონომიკური განვითარების თეორია“ (1912 წ) „მეწარმეებად,– წერდა ი, შუმპეტერი, ჩვენ ვთვლით მათ, ვინც ასრულებს მნიშვნელოვან

ფუნქციას თუ ისინი არ არიან დამოუკიდებლები, ხოლო არიან აქციონერული საზოგადოების ან ნებისმიერი კერძო ფირმის მოსამსახურეები. მეწარმის ძირითად ფუნქციად ი. შუმპეტერი თვლიდა ნოვატორობას, ანუ წარმოების და სოციალური ფაქ–ტორების ახალი კომბინაციის მოქმედების რეალური ეკონო–მიკური სარგებლის მიღების მიზნით, მათ შორის აქციონე–რული საზოგადობის მოგების ზრდის სახითაც.

მეწარმეობის ფუნქცია ეფუძნება განსაკუთრებულ ინტელე–ქტუალურ ფსიქოლოგიურ საფუძველს, რომლის მთავარ ნი–შნად ი. შუმპეტერი თვლიდა:

1) შეძენილი ენერგიის გაჯერება, რომელიც არ არის დაკავში–რებული უშუალოდ მოხმარებიდან გაამყაროს მოტივირებული მოთხოვნებით თავისი ბატონობა, ზეგავლენა, წარმატება (მისი მაჩვენებელი შეიძლება იყოს მოგება);

2) შემოქმედებითი ინტელექტი;

3) „ყნოსვა“, ინტუიცია ახალ საქმეში ინფორმაციის უკმარი–სობის დროს;

4) ძლიერი ნებისყოფა, საკუთარი მოქმედების ინერცია, რომე–ლსაც შეუძლია გადალახოს გარემოსადმი წინააღმდეგობა და რომელსაც შეუძლია გაიყოლოს სხვა ხალხი.

მეწარმეობა ი. შუმპეტერის მიხედვით, ეს არის „შემოქმედე–ბითი ნგრევა“. წარმოების ახალი კომბინაციების განხორცი–ელებისათვის აუცილებელია დაინგრეს ძველი, ამოღებული იქიდან კარგი სიახლეების განხორციელებისათვის. მსხვილი კონკურენციის პირობებში ეს შეიძლება გაკეთდეს თავისუფა–ლი ფულადი საშუალებების ანგარიშზე მიღებული კრედიტე–ბით, მაგრამ არავითარი კრედიტი არ გამოიწვევს ეკონომიკურ განვითარებას თუ არ არის მთავარი დინამიური მეწარმე–ნოვა–ტორი, რომელიც იბრძვის ახალი კომბინაციების განხორცი–ელებისათვის.

მეწარმე, ეს არ არის გამომგონებელი ან კაპიტალის მესაკუ–თრე, როგორც ასეთი, არამედ, ის პიროვნება ვისაც შემოაქვს ახალი კომბინაციები ეკონომიკურ რეალობაში. მეწარმეთა ასე–თი ინოვაციური საქმიანობა, არის ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი.

ეროვნული ეკონომიკა და მთლიანად მსოფლიო მეურნეობა ეყრდნობა ეკონომიკურ რესურსებს (წარმოების ფაქტორებს) ბუნებრივ, შრომით და რეალური კაპიტალს სახით ანუ წარმოების საშუალებებს. მთლიანობაში ეკონომიკური რესურსები ქმნიან ეროვნული ეკონომიკის, რეგიონის, ან კიდევ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკის .პოტენციალს.

სამეწარმეო რესურსი ხდება სულ უფრო რთული ეკონომიკური რესურსი. სამეწარმეო რესურსი ეს არის უნარი ეკონომიკური რესურსების შრომის, მიწის, კაპიტალის, ცოდნის, სამეწარმეო საქმიანობის ეფექტიანი ორგანიზაციის განხორციელებისათვის. ეს რესურსი რეალიზდება მენეჯმენტის სფეროში, ანუ ფირმის და ორგანიზაციის საქმიანობის მართვისას. მეწარმეობის რესურსში შედის მისი მატარებლები–მეწარმეები, მისი სტრუქტურა, საბაზრო ინსტიტუტები, მისი ეთიკა და კულტურა.

მეწარმეებს მიაკუთვნებენ კომპანიებს და მენეჯერებს, რომლებიც არ არიან კომპანიების მესაკუთრეები, აგრეთვე ბიზნესის იმ ორგანიზაციებს, რომლებიც შეუთანაწყობენ ერთმანეთს მესაკუთრეებსა და მმართველებს.

ტერმინი მეწარმე შეიძლება გავიგოთ როგორც მეწარმე კაპიტალისტი, რომელიც ფლობს საწარმოს და საქმიანობს. მეწარმე არის პიროვნება, რომელიც მიკრო დონეზე ეკონომიკური პროცესების ორგანიზაციას ახორციელებს.

მეწარმეობის ფენის საზღვრები მცოცავია, მაგალითად, კომპანიების მრავალი მესაკუთრე, ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც სოფლის მეურნეობა ეროვნული მეურნეობის წამყვანი დარგია, იგი აწარმოებს კვების პროდუქტებს და უზრუნველყოფს გადამმუშავებელ მრეწველობას ნედლეულით. ამ მხრივ მეწარმეობის განვითარებას, განსაკუთრებით კი მცირე მეწარმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის.

მცირე მეწარმეობა ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია სტაბილური ფუნქციონირება. სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობა ამცირებს უარყოფით ტენდენციებს კრიზისულ პე–

რიოდში და აყალიბებს აგრობიზნესის სტაბილიზაციის საფუძველს შერეული ეკონომიკის ფორმირებისათვის.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი:

1) სოფლის მეურნეობა მთლიანად დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე, რომლებიც შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდეს წლიდან წლამდე. აგროკლიმატურ პირობებზე დიდი დამოკიდებულების შედეგად სოფლის მეურნეობა კარგავს მდგრადობას და ბიზნესისთვის იგი ძალზე სარისკო ხდება. ამასთან, შრომისა და წარმოების საშუალებების დამოკიდებულება ქვეყნის, რეგიონის, ბუნებრივი პირობების მიხედვით, შეიძლება განსხვავებული იყოს და შესაბამისად განსხვავებული იქნება სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობის ეკონომიკური ეფექტიანობაც.

2) წარმოების ძირითადი საშუალებაა მიწა, ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ხორციელდება ფართო ტერიტორიაზე და მისი კონცენტრაცია არაეფექტიანია. ძირითადი საშუალების თავისებურებაა ის, რომ მიწის შეცვლა წარმოების სხვა საშუალებით შეუძლებელია. წარმოების რაციონალური ორგანიზაციისას იგი არამარტო ამცირებს, არამედ, ზრდის კიდევაც თავის საწარმო როლს. ამისათვის მიწა მაქსიმალურად უნდა იქნეს მიახლოებული მიწათმოსარგებლეთა საცხოვრებელ ადგილებთან და იყოს მათ კერძო საკუთრებაში.

3) სასოფლო-სამეურნეო მეწარმეობას აქვს ურთიერთობა ცოცხალ ორგანიზმებთან, ცხოველებთან და მცენარეებთან, რომლებიც ვითარდებიან არა ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური კარნახით. სოფლის მეურნეობაში სამუშაო დრო არ ემთხვევა წარმოების დროს. ამის გამო წარმოების ორგანიზაციას აქ არ უნდა ჰქონდეს დაქირავებული ხასიათი. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები უნდა იყვნენ თავიანთი წარმოების საშუალებების (პირუტყვი, ნათესი) და მათ მიერ წარმოებული მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქციის მესაკუთრენი, მეპატრონენი.

4) სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელია მკვეთრად გამოკვეთილი წარმოების სეზონური ხასიათი, რაც განსაზღვრავს წლის განმავლობაში არათანაბარ წარმოებასა და

პროდუქციის გამოყენებას, ამასთან, სოფლის მეურნეობაში პროდუქცია მალფუჭადი, ნაკლებ ტრანსპორტაბელურია, ამი–ტომ, საჭიროა განსაკუთრებული პირობები მის დასა-მზა–დებლად, შესაბამისად გადასამუშავებლად. ამას გარდა, წარ–მოების სეზონურობის გამო სასოფლო-სამეურნეო წარმოება პერიოდულად განიცდის საბრუნავი საშუალებების სიმცირე–საც.

5) სოფლის მეურნეობა თავის კვალს ამჩნევს მომუშავეთა ცხოვრების წესზე (მათ აქვთ არანორმირებული სამუშაო დრო), რაც აიძულებს ზოგიერთ მათგანს გადავიდეს საცხოვრებლად ქალაქში და ეძებოს შედარებით მსუბუქი არანორმირებული სამუშაო. ამასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო საწარმო პე–რიოდულად კარგავს და განიცდის მაღალკვალიფიციური კა–დრების სიმცირეს. აქედან გამომდინარე, სოფლად რჩება ხა–ლხი, რომლებიც შეყვარებულია სოფლად ცხოვრებაზე, აგრო–ბიზნესზე. ამის მაგალითია აშშ–ში ფერმერთა გამოკითხვის შედეგები, სადაც 63 %–მა განაცხადა, რომ ფერმებში მუშაობენ, როგორც მოგების მიღების მიზნით, ასევე, საკუთარი სიამო-ვნებისათვის.

გამომდინარე ჩვენს სოფლის მეურნეობაში მეწარმეობის განვითარებიდან პერსპექტიულ მიმართულებად მიგვაჩნია:

–მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისათვის სახელმწიფო ეფექტი–ანი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება;

–მიწის რეფორმის შესახებ მიღებული დადგენილების რეალი–ზაციის მექანიზმის განსაზღვრა;

–საფინანსო-საკრედიტო, ქონებრივი დაბეგვრის სრულყოფა;

–პროდუქციაზე და მომსახურებაზე ბუნებრივი და სამეურნეო (საწვავ-საცხები მასალები, ელექტროენერგია, რკინიგზის ტრა–ნსპორტის მომსახურება და ა.შ) მონოპოლიების რეგულირება;

–საკანონმდებლო საქმიანობა ეკონომიკის ამ სფეროში მიმა–რთული უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობის აქტივიზაცი–ისათვის საუკეთესო კლიმატის შექმნისაკენ;

–ადმინისტრაციულ ბარიერების აღმოფხვრა;

–ყველა სამეურნეო სუბიექტის ბაზარზე შესვლისათვის თანა–ბარი უფლების მინიჭება;

–მცირე მეწარმეების ყველა ფორმისათვის შეღავათიანი კრედიტებით უზრუნველყოფა;
–სოფლად სოციალური და საწარმოო ინტერესების ფორმირებისათვის სუბსიდიების გამოყოფა;
–მეწარმეთა და ფერმერთა მომზადების სისტემის სრულყოფა;
–სოფლის მეურნეობაში მცირე მეწარმეობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კოორდინაცია;
–მცირე ბიზნესის საქმიანობის სტატისტიკური აღრიცხვისა და აღრიცხვიანობის ორგანიზაცია;
–საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ორგანიზება.

აგრობიზნესის ყველა ფორმის განვითარებისა და პრობლემის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება უნდა მოხდეს მსხვილი, საშუალო და მცირე წარმოების შეთანაწყობით, მისთვის სათანადო პირობების შექმნით. ამასთან, ძირითადი სამეურნეო მექანიზმი უნდა იყოს საწარმოო მეწარმეობა. მეწარმეობის განვითარებისათვის არსებობს დიდი რეზერვები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების კრიზისიდან გამოყვანას.

საბოლოოდ, უნდა დავასკვნათ, რომ მცირე მეწარმეობის როლი ეკონომიკის განვითარებაში განუზომელია. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, არის დასაქმების მნიშვნელოვანი სფერო, რითაც ხელს უწყობს საშუალო ფენის ჩამოყალიბებას, ზრდის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობა, ამცირებს სიღარიბეს და არის რეალური პრობლემების გადაჭრის ქმედითი ინსტიტუტი. გარდა ამისა, საქმიან ურთიერთობებში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკაში, როგორც კონკურენციის უზრუნველყოფის და მსხვილი ბიზნესის განვითარების პირობა.

მცირე მეწარმეობა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის გარეშეც სახელმწიფოს არ შეუძლია სტაბილური ფუნქრიონირება. მცირე მეწარმეობის განვითარება სოფლის მეურნეობაში ამცირებს კრიზისულ პერი–

ოდში დარგში უარყოფით ტენდენციებს და აყალიბებს აგრა–
რული სექტორის სტაბილიზაციის საფუძველს.

ამჟამად, საქართველოს სოფლის მეურნეობაში, მეწარმეობის სფეროში არსებობს პირობები, რომელთა გამოყენება მნიშვნე–
ლოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ლიტერატურა:

1.კ. ხმალაძე–როგორ განვავითაროთ მცირე მეწარმეობა.აგრობიზნესი და კანონმდებლო-ბა 2009. N12.

2.შ. ხუხუნაია – მეწარმეობა თბ. 2015.

3.ბ.კობერიძე–მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინ–
სტიტუციური მიმართულებები საქართველოში და ევროკავშირთან ინტერნაციონალიზაციის წინააღმდე-გობები. საქ. საპატრიარქოს წმ. ანდიას სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბ. 2015.

4.გ.ერქომაიშვილი, ლ. გიგაური, ნ. ტალახაძე – მეწარმეობის საფუ–
ძვლები. თბ. 2010.

Problems and trends in the development of small business in agriculture

G. Mshvildadze-
Academic Doctor of Economics,
K. Rokwa-
Academic Doctor of Agriculture

Abstract
(Internet Version)

Small entrepreneurship is a component part of the system, without which the state can not function stable. Development of small entrepreneurship in agriculture reduces negative trends in the crisis period and establishes the basis for stabilizing the agro food complex. At present, there are provisions in the field of agriculture,which will significantly facilitate the development of our country’s agriculture.

ახალი სახეობის ხილ-ბოსტნეულის წვენები ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით

გ. გრიგორაშვილი-
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

მეცნიერები ბავშვთა კვებისას უპირატესობას ხილსა და ბოსტნეულს ანიჭებენ. ბოსტნეულის წვენები არ ხასიათდება სასიამოვნო ჰარმონიული გემოთი, ამიტომ მიღებულია ბოსტნეული წვენების კუპაჟირება ხილის წვენებთან შესარევი კომპონენტების გარკვეული თანაფარდობით.

ნედლეულის სახით გამოყენებულ იქნა ყაბაყი, ალუბალი, თეთრი ყურძენი, ბროწეული და შავი თუთა. დამუშავდა აღნიშნული ნედლეულიდან ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალური პარამეტრები. კუპაჟის გზით შემუშავდა ხილ-ბოსტნეულის წვენების ახალი ასორტიმენტი.

პროდუქციის წარმოების ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია დაკონსერვებული პროდუქტების, კერძოდ წვენების ხარისხის ამაღლება, ასორტიმენტის გაფართოება, კვებითი ღირებულების და გემოვნებითი თვისებების გაუმჯობესება. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გამოკვლევები, რომელიც მიმართულია წარმოების პროცესში ბოსტნეული წვენების კვებითი ღირებულების ზრდაზე ნედელულის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალური შენარჩუნების საფუძველზე (1-3).

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ყაბაყი. სადღეისოდ არ მიმდინარეობს ყაბაყის წვენის გამომუშავება, მაშინ როდესაც თვით ყაბაყი, გამომდინარე მისი ქიმიური შემადგენლობიდან, მეტად პერსპექტიულ ნედლეულს წარმოადგენს.

ყაბაყის ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრას საერთოდ მიღებული მეთოდებით ვაწარმოებდით (4-6). განსაზღვრის შედეგები წარმოდგენილია ცხრილში 1.

ყაბაყის ქიმიური შემადგენლობა ცხრილი 1

მაჩვენებლები	**ყაბაყი**
მშრალი ნივთიერებები, %	8,0
ცილები, %	0,7
ცხიმები, %	0,3
საერთო ნახშირწყლები, %	5,8
ორგანული მჟავები ვაშლის მჟავაზე გადაანგარიშებით	0,1
ნაცარი, %	0,4
მინერალური ელემენტები, მგ %	
Na	3,0
K	230,0
Ca	16,0
Mg	8,0
P	12,0
Fe	0,4
ვიტამინები, მგ %	
β-კაროტინი	0,03
B_1	0,03
B_2	0,03
PP	0,60
C	15,0
ენერგეტიკული ღირებულება, კ/კალორია	30,7

მიზნად დავისახეთ შეგვემუშავებინა ყაბაყიდან წვენის მიღების ისეთი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს მზა წვენში ნედლეულის მნიშვნელოვანი კომპონენტების შენარჩუნებისას.

ნედლეულიდან წვენის მიღებისათვის ვსარგებლობდით მექანიკური დამუშავების მეთოდებით. ამ მიზნით გამოვიყენეთ სახეხზედაპირიანი და დანებიანი დამაქუცმაცებელი. წვენი გამომუშავებული იყო ლაბორატორიულ პირობებში.

ნედლეულს ვრეცხავდით, ვასუფთავებდით, ვაქუცმაცებდით დამქუცმაცებელში და ვწნეხავდით. გამოწურულ წვენს ვფილტრავდით, ვაფასოებდით და ვხუფავდით.

საერთოდ ბოსტნეულის წვენები, არ ხასიათდება სასიამოვნო ჰარმონიული გემოთი. ამიტომ, მიღებულია ბოსტნეულის წვენების

კუპაჟირება ხილის წვენებთან. კუპაჟირებისათვის გამოყენებული იქნა ალუბლის, თეთრი ყურძნის, ბროწეულის, შავი თუთის წვენები.

აღნიშნული ნედლეულიდან წვენებს ვიღებდით მოქმედი ტექ-ნოლოგიური ინსტრუქციების შესაბამისად. წვენები ხასიათდებოდნენ შემდეგი ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლებით (ცხრილი 2).

ყაბაყის და ხილის წვენების ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ცხრილი 2

მაჩვენებლები	წვენების დასახელება				
	ყაბაყის წვენი	ალუბლის წვენი	ყურძნის წვენი	ბროწეულის წვენი	შავი თუთის წვენი
მშრალი ნივთიერებები, %					
ცილები, %	9,0	19,0	19,5	17,4	17,3
ცხიმები, %	0,8	0,3	0,3	0,3	0,6
საერთო	0,3	0,0	0,0	0,0	0,0
ნახშირწყლები,%					
ორგანული	5,9	17,0	18,5	14,5	12,5
მჟავები ვაშლის					
მჟავაზე	0,1	0,8	0,5	2,0	1,2
გადაანგარიშებით					
ნაცარი, %	0,4	0,4	0,4	0,3	0,9
მინერალური ნივთიერებები, მგ %					
Na	4,0	13,0	16,0	20,0	15,0
K	240,0	230,0	200,0	156,0	350,0
Ca	20,0	30,0	18,0	37,0	23,0
Fe	0,5	1,8	0,3	1,8	5,6
ვიტამინები, მგ %					
B_1	0,03	0,01	0,02	0,04	0,04
B_2	0,03	0,10	0,02	0,01	0,02
C	16,0	10,0	3,0	5,0	10,0

ჩატარებული ექსპერიმენტის საფუძველზე დადგინდა შესარჩევი კომპონენტების ოპტიმალური პარამეტრები. კუპაჟირებულ წვენებს ვაფასოებდით მინის ქილებში, ვხუფავდით და ვასტერილებდით.

კუპაჟირებული წვენები ხასიათდებოდა შემდეგი ფიზიკო-ქიმი-ური მაჩვენებლებით (ცხრილი 3).

ხილ-ბოსტნეულის წვენების ქიმიური შემადგნელობა და კვებითი ღირებულება ცხრილი 3

მაჩვენებლები	კუპაჟის შემადგენელი კომპონენტები			
	ყაბაყის წვენი + ალუბლის წვენი (50:50)	ყაბაყის წვენი + ყურძნის წვენი (60:40)	ყაბაყის წვენი + ბროწეულის წვენი (50:50)	ყაბაყის წვენი + შავი თუთის წვენი (50:50)
მშრალი ნივთიერებები, %				
ცილები, %	14,0	14,2	13,0	13,2
ცხიმები, %	0,5	0,55	0,5	0,7
საერთო ნახშირწყლები,%	0,2 11,5	0,2 12,0	0,2 10,0	0,2 9,0
ორგანული მჟავები ვაშლის მჟავაზე გადაანგარიშებით				
ნაცარი, %	0,5	0,3	1,6	0,7
მინერალური ნაერთები, მგ %	0,4	0,4	0,3	0,5
Na	9,0	10,0	12,0	9,5
K	235,0	220,0	250,0	300,0
Fe	1,2	0,4	1,0	3,0
ვიტამინები, მგ %				
B_1	0,02	0,02	0,03	0,04
B_2	0,06	0,02	0,02	0,02
C	14,0	10,0	12,0	13,0

კუპაჟებში მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგად დადგინდა, რომ წვენები არ შეიცავს მეზოფილურ-აერობულ და ფაკულტატურ ანაერობულ მიკროორგანიზმებს, კოლონიის წარმომქმნელ ერთეულებს, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიებს, რომელთა შემცველობა არ დაიშვება.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ხილ-ბოსტნეულის კუპაჟირებული წვენები ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების მაღალი შემცველობით, კარგი ორგანოლეპტიკური მაჩვე-

ნებლებით და სასიამოვნო გემოთი, რის საფუძველზეც რეკომენდე-ბულია მათი გამოყენება ადამიანის საკვებად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Алешина Л.Д. – Ассортимент продуктов детского питания, М, 2003.
2. Бирюкова Г.С. – Продукты детского питания. Изд-во «Пищевая промышленность», М, 1998.
3. Коробкина Г.С. – Производство детских, диетических и профилактических консервов. Киев, 1999.
4. Сборник инструкций и положении по техническому и микро-биологическому контролю в винодельческой промышленности.
5. გ. გრიგორაშვილი – მცენარეთა ბიოქიმიის პრაქტიკუმი, თბილისი, 2017, 100გვ.
6. გ. გრიგორაშვილი, ა. ხოტივარი, ი. კუპატაძე, ნ. ილურიძე– საკო-ნსერვო წარმოების ნედლეულის ტექნო-ქიმიური კონტროლი. თბილისი, 2018, 300გვ.

New Kind of fruit and vegetable juice made from local raw materials

G. Grigorashvili
Doctor of biological Sciences

Abstract
(Internet version)

Nutrionists regard fruit and vegetables as priority ingredients of baby food vegetable juices are not characterized by a pleasant and harmonius taste, so they are usually blended with fruit juices. The following raw materials were used.: zucchini, cherry, white grape, mulberry and pomegranate. Have developed a rational technology for the production of juices from the listed raw materials, have established the optimal parameters of technological processes. Blending method developed a new range of fruit and vegetable juices.

ბეგქონდარა, როგორც შრობის ობიექტი

ნ.ალხანაშვილი-
ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი
მ. დემენიუკ-
ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

მონოსანელებლებს შორის როგორც სანელებელი და როგორც ფუნქციური კვების პროდუქტი აღიარებულია ბეგქონდარა–Thimus serpuluum. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში შესწავლილია ნედლი ბეგქონდარას მექანიკური შედგენილობა, ვეგეტაციურ ნაწილებში ტენის მასური წილი და ძირითადი ქიმიური მახასიათებლები. ბეგქონდარას ახლად აღებული მოსავალი ხასიათდება მაღალი საწყისი ტენიანობით (60–82%), მალფუჭადია და ბიოლგიურად აქტიური ნივთიერებების მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით სწრაფად უნდა გაშრეს. შრობის შედეგად მცენარეში ჩერდება სასიცოცხლო პროცესები და ფერმენტების აქტივობა. გამშრალი ბეგქონდარა კარგად ინახება 1 წლის განმავლობაში ხარისხის გაუარესების გარეშე, მოხერხებულია შენახვის, ტრანსპოსრტირების და რეალიზაციისთვის.

კვების პროდუქტების ხარისხის ამაღლებასა და ასორტიმენტის გაფართოვებაში წამყვან როლს თამაშობს ნატურალური სანელებლები, რომლებიც აძლევენ საკვებს სპეციფიკურ არომატს, გემოს და რიგ შემთხვევებში-ფერსაც. გამშრალი სანელებლები გამოიყენება კვების მრეწველობის თითქმის ყველა დარგში როგორც მონოსანელებლები, ან როგორც კომპონენტები, კლასიკური (ტროპიკული) სანელებლების ანალოგების და მიზნობრივი დანიშნულების ნარევების სახით.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ბოლო წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნა ნატურალურ (ეკოლოგიურად სუფთა) ნედლეულზე და მათ ბაზაზე გამომუშავებულ ფუნქციური კვების პროდუქტებზე, მშრალი, ეკოლოგიურად სუფთა სანელებელ-არომატული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოვება ადგილობრივი სანელებელ-არომატული ნედლეულის ბაზაზე აქტუალურია.

გამშრალი სანელებელ-არომატული პროდუქცია წარმოადგენს ფუნქციური კვების პროდუქტების ერთ–ერთ მნიშვნელოვან ჯგუფს.

როგორც წესი, ფუნქციური კვების პროდუქტების გამომუშავება ხდება მხოლოდ ნატურალური (ეკოლოგიურად სუფთა) ნედლეულის გადამუშავებით. ეს უკანასკნელი არის ნედლეული, წარმოებული ქიმიური სასუქების და პესტიციდების გამოყენების გარეშე. ასეთი ნედლეული აშშ-ის ბაზარზე აღინიშნება სიტყვით "Organic", ევროპაში კი-სიტყვით "Bio".

ფუნქციური კვების პროდუქტები ტრადიციული საკვები ფორმებია, გათვალისწინებული კვების დღე-ღამურ რაციონში სისტემატური მოხმარებისთვის ექიმის დანიშნულების გარეშე; მათ არ აქვს გვერდითი ეფექტები, არ აყენებენ ორგანიზმს ზიანს და ამცირებენ დაავადებათა განვითარების რისკს. გარდა ამისა, ძნელია და ყოველთვის არც არის შესაძლებელი მკაცრად გავმიჯნოთ საკვები და სამკურნალო მცენარეები. ამიტომ, არც თუ იშვიათად კვების სწორად შერჩეული რაციონი ამავე დროს საუკეთესო სამკურნალო საშუალებასაც წარმოადგენს.

საქართველო, ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მდიდარია კულტურული და ველური სანელებელ-არომატული, სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების მცენარეების როგორც მრავალსახეობით, ისე რესურსებით. ეს ეროვნული სიმდიდრე ამჟამად სრულად ვერ გამოიყენება.

კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში რამდენიმე ათეული წელია მიმდინარეობს კვლევები ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე გამშრალი სანელებელ-არომატული პროდუქციის, ხილისა და ბოსტნეულის სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიების დასამუშავებლად.

მონოსანელებლებს შორის როგორც სანელებელი და როგორც სამკურნალო მცენარე, აღიარებულია ბეგქონდარა. ცნობილია ბეგქონდარას 300-მდე სახეობა. ევროპაში გვხვდება ბეგქონდარას 150–ზე მეტი სახეობა, მათ შორის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვეულებრივმა ბეგქონდარამ–Thimus serpuluum. ბეგქონდარას სახელწოდება Thimus ლათინურიდან წარმოსდგება და ნიშნავს **ძალას, სულს**, რაც ხაზს უსვამს მცენარის მძაფრ სუნს. გავრცელება ჰპოვა ბეგქონდარას სხვადასხვა სახელწოდებამ: Богородная трава- რუსული, ტაშ-შოკი–ყაზახური, ჩემბრელ–მოლდავური, ურც-სომხური, ურცი–ქართული. საქართველოში ბეგქონდარას 17 სახეობაა გავრცელებული, მათგან 14 კავკასიური ენდემია, ორი კი–საქართველოსი (Thimus Ladjanuicus da Thimus tiflisiensis).

ბეგქონდარა ტუჩოსანთა ოჯახის მრავალწლიანი, 5-50 სმ სიმაღლის ბუჩქ-ბალახია. მცენარეს აქვს გართხმული ღერო და სწო-

რად მდგომი საყვავილე ყლორტები (ნახ.1), სასიამოვნო, სპეციფიკური არომატის მქონე ვარდისფერი და მოიისფერო ყვავილებით.

ნახ.1. ბეგქონდარას ბუჩქ-ბალახი

ნედლი ბეგქონდარას მიწისზედა ნაწილი შეიცავს ეთერზეთებს, რომელთა წამყვანი კომპონენტებია თიმოლი და კარვაკროლი. მცენარის მიწისზედა ნაწილი შეიცავს აგრეთვე მინერალურ ელემენტებს, ფლავონოიდებს, ცინეოლს, ვიტამის C-ს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ფისებს, რის გამოც იგი წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ფარმაკოპეასა და სახალხო მედიცინაში.

კვების მრეწველობაში ბეგქონდარა როგორც სანელებელი გამოიყენება ხორცის, თევზის, ბოსტნეულის კონსერვებისა და კერძების მომზადებისას, ყველის, ფიტოჩაის წარმოებაში, ბოსტნეულის დამწნილებისას, ლიქიორების დამზადებისას; ბეგქონდარას ზეთი წარმატებით გამოიყენება პარფიუმერიაში. კავკასიაში ბეგქონდარას ფოთლებსა და ნორჩ ყლორტებს იყენებენ პურის გამოცხობისას; ის თაფლოვანი, ფუტკრების და პეპლების საყვარელი მცენარეა.

ბეგქონდარა, როგორც სამკურნალო საშუალება, მოხსენიებულია ჯერ კიდევ ავიცენას (980–1037წწ) ცნობილ შრომაში "საექიმო მეცნიერების კანონი". თანამედროვე მედიცინაში ბეგქონდარას იყენებენ როგორც ამოსახველებელ საშუალებას, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტის, ბრონქიალური ასთმის დროს, როგორც შარდმდენ, ნაღველმდენ, სისხლის გამწმენდ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას; ბეგქონდარას ექსტრაქტი შაქართან ერთად შედის ყივანახველის საწინააღმდეგო პრეპარატ"პერტუსინში."

ვრცელია ბეგქონდარას გამოყენების არეალი სახალხო მედიცინაში. კერძოდ, მას ხმარობენ თავის ტკივილის, უძილობის, გაცივების, გულისა და ნერვული დაავადებების, სისხლნაკლებობის სამკურნალოდ.

ველური სახით, ბეგქონდარა უპირატესად გვხვდება სუბალპურ ზონებში, აგრეთვე მთების შუა და ქვედა სარტყელში; იზრდება მშრალ ადგილებში, ღორღიან ფერდობებზე და მინდვრებში. მთიან ადგილებში ბეგქონდარას ნიადაგდაცვითი ფუნქცია აქვს.

საქართველო მთიანი ქვეყანაა, რომლის ტერიტორიის ~87% უკავია მთებს და მთისწინებს, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები. ამ უკანასკნელთა შესაჩერებლად პერსპექტიულია იქ სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების ბალახოვანი მცენარეების მოვლა-მოყვანა. ასეთი გამოცდილება გააჩნია საფრანგეთის ალპებს, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს ბალახოვანი სამკურნალო მცენარეების პლანტაციები და მათ ბაზაზე სამკურნალო საშუალებების მწარმოებელი ფირმა“სევენფარმა”. რადგან ბალახოვანი სანელებელ-არომატული სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების მცენარეები ხასიათდებიან ხანმოკლე ვეგეტაციური პერიოდით, მთებსა და მთისწინებში კულტივირებისას ისინი ასწრებენ სასიცოცხლო ციკლის დასრულებას. ასეთი ღონისძიების პრაქტიკაში დანერგვა არა მარტო დაიცავს საქართველოს მთიან რეგიონებს ეროზიული პროცესებისა და ღვარცოფებისგან, არამედ ხელს შეუწყობს მთის მოსახლეობის დასაქმებასა და ტურიზმის სამთო ფორმებთან (ალპინიზმი, სამთო-სათხილამურო და საცხენოსნო ტურიზმთან) ერთად მთიან რეგიონებში ტურიზმის ახალი მიმართულების-აგროტურიზმის განვითარებას.

კულტურაში ბეგქონდარას გამრავლება ხდება თესლით; მცენარის კვების ფართია 60X30X40 სმ; ის ადვილად ეგუება გვალვას. სიცოცხლიდან მეორე წელს ბეგქონდარას მოსავლიანობა შეადგენს 25–35 ც/ჰა-ზე, მომდევნო წლებში-85-100 ც/ჰა-ზე. ბეგქონდარა ტექნიკურ სიმწიფეს აღწევს ივლის-აგვისტოში. მოსავლის (მიწისზედა ნაწილი ნორჩი ყლორტებით, ფოთლებით და კოკრებით) აღება ხდება ყვავილობამდე. ცხრილში 1 წარმოდგენილია აგვისტოს დასაწყისში დმანისის რაიონში დამზადებული ნედლი ბეგქონდარას მექანიკური შედგენილობა და ვეგეტაციური ნაწილების ტენიანობა.

ცხრილი 1

ტენის მასური წილი,%			მექანიკური შედგენილობა,%		
ფოთლები	ღეროები	საერთო	ფოთლები	ღეროები	საერთო
69,7	65,11	68,13	63,6	36,4	100

ჩატარებული კვლევების თანახმად, ბეგქონდარას ახლად აღებული მოსავალი ხასიათდება მაღალი საწყისი ტენიანობით (60–82%), რის გამოც მოსავლის აღების შემდეგ მცენარის ვეგეტაციურ ნაწილებში გრძელდება ფიზიოლოგიური პროცესები. ამ უკანასკნელთა ზემოქმედებით უჯრედების გარსი კარგავს ნახევარგამტარობის უნარს, ხოლო ფერმენტები შლის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს; აღნიშნულის შედეგად მცენარე კარაგავს არომატს, გემოს და ფერს. ამიტომ, ბეგქონდარას ახლად აღებული მოავალი სწრაფად უნდა გაშრეს. ცდების ანალიზის თანახმად, მოსავლის აღებიდან შრობამდე ნედლი ბეგქონდარას დაყოვნების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.

ბეგქონდარას შრობის კინეტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გასაშრობ მასაში ღეროების, ფოთლების და კოკრების მასუ--რი წილი და ტენშემცველობა. ცხრილი 1-ის თანახმად ბეგქონდარას ფოთლებში ტენის მასური წილი ~1,1–ჯერ აღემატება ღეროებში ტენის მასურ წილს, ხოლო ფოთლების მასური წილი 1,7-ჯერ მეტია ღეროების მასურ წილზე, რაც დადებით გავლენას ახდენს შრობის კინეტიკაზე.

ცხრილში 2 წარმოდგენილია დმანისის რაიონში დამზადებული ნედლი ბეგქონდარას ძირითადი ქიმიური მახასიათებლები.

ნედლი ბეგქონდარას ძირითადი ქიმიური მახასიათებლები. ცხრილი 2

ტენის მასური წილი,%	ნახშირწყლები, %			ნაცრიანობა, %		ეთერ-ზეთები, %	ვიტამინი C, მგ%
	საერთო შაქრები	მონოსაქარიდები	პოლიმერული საქარიდები	საერთო	10%-იან მარილ მჟავაში უხსნადი		
68,3	4,2	2,9	1,3	9,0	1,2	0,8	135

ნედლი ბეგქონდარას ქიმიური შედგენილობა და ვეგეტაციურ ნაწილებში ტენის არაერთგვაროვანი შემცველობა განაპირობებს მისი, როგორც შრობის ობიექტის სირთულეს.

შრობის შედეგად მცენარეში ჩერდება სასიცოცხლო პროცესები და ფერმენტების აქტივობა. გამშრალი ბეგქონდარა კარგად ინახება 1 წლის განმავლობაში ხარისხის გაუარესების გარეშე, მოხერხებულია შენახვის, ტრანსპოსრტირების და რეალიზაციისთვის.

ლიტერატურა

1.Алексеев Б.Д. Важнейшие дикорастущие полезные растения Дагестана. Махачкала,1967 г.
2.Капель Н,Машанов В. Пряно ароматические растения. Таврия, Симферополь, 1983г.
3.https://wwwauzdorov.ru/tr.travnic chabrec.php
4.https://mkurnali.ge/component/encyclopedia/?task=term8uid=22

Thyme as a drying object

N. Alkhanashvili-
Academic Doctor of technical,
M. Demeniuk-
Academic Doctor of technical

Abstract
(internet version)

Among monospaces, the Thyme - Thimus serpuluum L. is acknowledged as spice as well as functional nutrient. The Research Institute of Food Industry of the Georgian Technical University has studied mechanical composition of raw Thyme, mass portion of moisture in vegetative parts and basic chemical characteristics. Freshly harvested crops of Thyme are characterized with high initial moisture (60_82%), it is perishable and with the purpose of maximum maintenance of biologically active substances, it must be dried as soon as possible. As a result of drying process all essential processes and activity of ferments stop. Dried thyme is well stored for about 1 year without worsening its quality; it is convenient for storing, transportation and realization.

ბეგქონდარას შრობისთვის მომზადება

ნ. ალხანაშვილი-
ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი
მ. დემენიუკ-
ტექნოლოგიის აკადემიური დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა ბეგქონდარას როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური შრობის ტექნოლოგია. ბეგქონდარას ბუნებრივი შრობა უნდა განხორციელდეს ჩრდილში მზის სხივებისა და ნალექებისგან დაცულ, განიავებად სათავსოებში. შრობის ეს ხერხი ენერგოდანახარჯების ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ, მიმდინარეობს მშრალი ნივთიერების მნიშვნელოვანი დანაკარგებით, თხოულობს დიდ საწარმოო ფართს, შრომატევადი, ხანგრძლივი და ნაკლებ ჰიგიენურია. ბეგქონდარას ბუნებრივი შრობა მიზანშეწონილია განხორციელდეს მხოლოდ გასაშრობი ნედლეულის მცირე მოცულობების დროს იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომელნიც არ არის აღჭურვილი საშრობი დანადგარებით. ბეგქონდარას ხელოვნური შრობა მოიცავს ნედლეულის შრობისთვის მომზადებას, შრობას, გამშრალი პროდუქტის ინსპექციას, ტენის გათანაბრებას, მაგნიტურ დამჭერებში გატარებას, დაფქვას, შეფუთვას და ნიშანდებას. ნედლეულის შრობისთვის მომზადება თავის მხრივ შედგება ნედლეულის ინსპექციის, რეცხვის და ზედპირული ტენის მოცილებისგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის კვლევით ინსტიტუტში დამუშავდა ბეგქონდარას როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური შრობის ტექნოლოგია.

ბეგქონდარას ბუნებრივი შრობა უნდა განხორციელდეს ჩრდილში მზის სხივებისა და ნალექებისგან დაცულ, განიავებად სათავსოებში. შრობის ეს ხერხი ენერგოდანახარჯების ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა, მაგრამ მიმდინარეობს მშრალი ნივთიერების მნიშვნელოვანი დანაკარგებით, თხოულობს დიდ საწარმოო ფართს (მოასფალტებულ იატაკზე ნედლეულის გასაშლელად, ფენის სიმაღლით 10–12 სმ), შრომატევადია, რადგან თხოულობს ნედლეულის ყოველდღიურ გადანიჩბვას, ხანგრძლივი და ნაკლებ ჰიგიენურია. ბუნებრივი შრობისას საწარმოო ფართის შემცირების და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების მიზნით გასაშრობი ნედლეული თავსდე-

ბოდა ერთიმეორის ზევით განლაგებულ ბადისებურ თაროებზე, რომელთა შორის მანძილი ~ 12-15 სმ–ია. ბუნებრივი შრობა მეტეოპირობებისგან დამოკიდებულებით გრძელდება 20-25 დღეს და საშუალებას იძლევა გასაშრობი ნედლეულის ტენიანობა დაყვანილ იქნას მხოლოდ 14-20 %-მდე, სანელებლების ხარისხოვანი დაფქვისთვის მინიმალური ენერგოდანახარჯებით კი მათი ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 8-10%-ს. ამიტომ, ბუნებრივად გამშრალი ბეგქონდარა დაფქვის წინ უნდა დაშრეს საშრობ დანადგარებში 8-10% ტენიანობამდე. აღნიშნული ნაკლოვანებების გამო ბეგქონდარას ბუნებრივი შრობა მიზანშეწონილია განხორციელდეს მხოლოდ გასაშრობი ნედლეულის მცირე მოცულობების დროს იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომელნიც არ არის აღჭურვილი საშრობი დანადგარებით.

ბეგქონდარას ხელოვნური შრობა მოიცავს ნედლეულის შრობისთვის მომზადებას, შრობას, გამშრალი პროდუქტის ინსპექციას, ტენის გათანაბრებას, მაგნიტურ დამჭერებში გატარებას, დაფქვას, შეფუთვას და ნიშანდებას. ნედლეულის შრობისთვის მომზადება თავის მხრივ შედგება ნედლეულის ინსპექციის, რეცხვის და ზედაპირული ტენის მოცილებისგან.

გასაშრობი ნედლეულის მიღება უნდა ხდებოდეს შესაბამისი sost-ის მიხედვით.

ცხრილში 1 წარმოდგენილია გასაშრობი ბეგქონდარას ხარისხისადმი მოთხოვნები.

ცხრილი 1

№	მახასიათებლის დასახელება	დახასიათება და ნორმა
1.	გარეგანი სახე	ერთწლიანი ღეროები ადვილად მტვრევადი ნორჩი ტოტებით და ფოთლებით, ქორფა,სუ-ფთა, ჯანმრთელი, მო-ჭრილი ყვავილობამდე.
2.	ღეროების და ყლორტების სი-გრძე წვეროდან, სმ, არა უმეტეს	17
3.	ფერი	მწვანე, სხვადასხვა ელფერით
4.	სუნი და გემო	სასიამოვნო, დამახასი-ათებელი ამ სახეობის სანელებლისთვის, გა-რეშე სუნის და გე-მოს გარეშე
5.	ფოთლების და ღეროების მასუ-რი წილი ოდნავ დამჭკნარი, დამტვრეული და ჩამოცვენილი ფოთლებით, %, არა უმეტეს	5,0
6.	ღეროების და ყლორტების მასუ-რი წილი აყვავებული კოკრებით, %, არა უმეტეს	5,0
7.	გაუხეშებული, გაყვითლებული, დაჭუჭყიანებული, დამპალი, აო-ბებული	არ დაიშვება
8.	გარეშე ტენის (წვიმის, ნამის და ა.შ.) არსებობა	არ დაიშვება
9.	შხამქიმიკატების ნარჩენი რაოდე-ნობა	არ დაიშვება
10.	გარეშე მინარევების მასური წი-ლი არაშხამიანი მცენარეების ნა-ყოფები ან ნაწილები),%,არა უმეტეს	1,0
11.	მინერალური გარეშე მინარევები (მიწა, ქვიშა და სხვა)	არ დაიშვება

ბეგქონდარას ხელოვნური შრობის ტექნოლოგიური სქემა წარმოდგენილია ნახ.1-ზე



ნახ.1.ბეგქონდარას ხელოვნური შრობის ტექნოლოგიური სქემა.

ნედლეულის ინსპექცია ხორციელდება საინსპექციო ტრანსპორტიორზე, ან საინსპექციო მაგიდებზე. ამ დროს ხდება ნედლეულის არაკონდიციური ნაწილის და გარეშე მინარევების მოცილება. რეცხვამდე ნედლი ბეგქონდარა სასურველია დაყოვნდეს 25-30 წუთის განმავლობაში წყლიან აბაზანებში, მიწის მინარევების სრული მოცილების მიზნით, რის შემდეგ იგი მიეწოდება სარეცხ მანქანაში.

რეცხვა შეიძლება განხორციელდეს КУМ -1 ან სხვა მარკის სარეცხ მანქანაში, გარეცხილი ბეგქონდარას შხაპის ქვეშ გატარებით. შხაპის ქვეშ გატარებისას ნედლეულის ფენის სისქე არ უნდა აღემაატებოდეს 5 სმ-ს.

რეცხვის შემდეგ ბეგქონდარას ტენიანობა იზრდება 7-10%-ით, რეცხვისას ნედლეულზე დარჩენილი წყლის ხარჯზე. მისი მოცილების მიზნით გარეცხილი ბეგქონდარას დაყოვნება ხდება ბადისებური ზედაპირის მქონე მოქანავე მაგიდებზე, 20-30 წუთის განმავლობაში. ზედაპირული ტენის მოცილების შემდეგ ნედლი ბეგქონდარა გადაეცემა საშრობ დანადგარს.

Preparation of Thyme for drying

N. Alkhanashvili-
Academic Doctor of technical,
M. Demeniuk-
Academic Doctor of technical

Abstract
(internet version)

The Research Institute of Food Industry of the Georgian Technical University has worked out the natural as well as artificial drying technology of the Thyme. Natural drying process of thyme means drying of the plant in shadow, away from sun beams and protected from fallouts and well-ventilated storage rooms. This method of drying is energy saving, but causes significant loss of dry substances, requires large industrial area, is time-consuming, long lasting and less hygienic. Natural drying of thyme is recommended to be carried out in small amounts in farms that are not equipped with drying equipment. Artificial drying of Thyme means the preparation of raw material for drying, inspection of the dried product, equalizing of moisture, putting through magnetic holders, grinding, packaging and marking. Preparation of the raw material consists of the following processes, namely inspection, washing and removing of superficial damp.

3. მევენახეობა
Viticulture

ვაზის ახალი ჰიბრიდული ჯიშები და ქართული გენოფონდი

თამარ ვახტანგაძე-
სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი

რეფერატი
(ინტერნეტული ვერსია)

XX საუკუნიდან იწყება ვაზის ქართული ჯიშების გავრცელება საზღვარგარეთ. რქაწითელი, საფერავი, თავკვერი, დოდრელიაბი(ხარისთვალა კოლხური) ჩინური და სხვა ჯიშები მთელი რიგი დადებითი თვისებების გამო დიდ ფართობებს იკავებს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვენებში, ასევე ევროპაშიც. სელექციონერები დაინტერესდნენ ქართული გენოფონდით. ისინი სულ უფრო მეტ სელექციურ პროგრამაში იღებენ მონაწილეობას. მათი გამოყენება დაიწყეს მაღალხარისხოვანი სასუფრე თუ საღვინე ჯიშების მისაღებად. გამოყვანილი იქნა ათეულობით ჯიში, რომლებიც წარმატებით არის გავრცელებული სხვადასხვა ქვეყანაში. ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ქართული ვაზის ჯიშებიდან შექმნილი ახალი ჯიშების ანალიზი, გაგვერკვია მათი რაოდენობა, სამეურნეო მიმართულება, რომელ ქვეყანაში და სამეცნირო დაწესებულების მიერ იქნა ახალი ჯიშები გამოყვანილი. კერძოდ რომელი ქართული ჯიშები იქნა ჩართული სელექციურ პროგრამაში. ჩვენ ვნახეთ, რომ აქედან ყველაზე მეტი შექმნილია საქართველოში. შემდეგ მოდიან უკრაინა, სომხეთი, მოლდავეთი, უზბეკეთი, რუსეთი და სხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ასევე სელექციური ჯიშების გამოყვანა ქართული ვაზის გენოფონდით მიმდინარეობდა უნგრეთის, ჩეხეთის, ბულგაღეთის, გერმანიის რიგ სამეცნიეო დაწესებულებებში, ქართული ჯიშების მონაწილეობით შექმნილი ახალი ჯიშების რაოდენობა 120-მდე აღწევს. ჩვენს ხელთ არსებული ლიტერატურული წყაროებით, შევისწავლეთ ისინი და მოცემული გვაქვს რამდენიმე მათგანის დახასიათება.

გუზალ კარა (კატტა კურგან X **დოდრელიაბი**) გამოყვანილია შუა აზიაში. სასუფრე ვაზის ჯიშია. ის გავრცელებულია უზბეკეთში და ყაზახეთში. **ზრდის კონუსი** და ახლადგაშლილი ფოთოლაკები მცირედ არის შებუსული

ბეწვისებური ბუსუსებით. ზრდასრული ფოთოლი საშუალო ან დიდი ზომის. სამ-ხუთნაკვთიანი. ფოთოლის ზედაპირი წვრილი ბუშტისებრ დანაოჭებული. ქვედა მხრიდან დაფარულია აბლაბუდისებური ან ბეწვისებური ბუსუსებით.

ყვავილი ორსქესიანია. **მტევანი** დიდი ან საშუალო ზომის. კონუსური ფორმის, ფრთიანი, აგებულობით თხელია. საშ. მასა 312 გ. მარცვალი შავი, მოლურჯო ფერის. **მარცვალი** დიდი ზომის, მრგვალი. სასიმოვნო გემოთი. მარცვლში 2-3 წიპწაა. სამეურნეო მიმართულება, ტიპიური სასუფრე ყურძენია. მისი საგუსტაციო შეფასება 7.5 ქულაა. მისგან შეიძლება ქიშმიშიც დამზადდეს. ყურძნის წვენი: შაქრიანობა 16-18მლ/100ლ-ში, მჟავიანობა 5-6გ/100ლ- ში. ტრანსპორტაბელურია. მოსავალიანობა 210ც/ჰა.

არკადია (მოლდოვაXკარდინალი)

↓

გუზალ კარაX ვილარ ბლან

↓

კატტა კურგან X **დოდრელიაბი.**

გამოყვანილია **უკრაინაში**. სასუფრე ვაზის ჯიშია. მეტად საადრეო სიმწიფის პერიოდის (115-150 დღე). საშუალო ან ძლიერი ზრდისაა. მტევანი ცილინდრული ფორმის, ფრთიანი, კუმსი. 500-700გ (საუკეთესო 2-კგ მდე) მარცვალი მსხვილი, ზოგჯერ ძალიან მსხვილი. თეთრი ფერის. კვერცხის ფორმის. სრულ სიმწიფეში ოდნავ მუსკატური გემოთი. ხორციანი და წვნიანი. ყურძნის წვენი: შაქრიანობა 15-16%. მჟავიანობა 4-6გ/ლ –ში. ტრანსპორტაბელურია. ყინვაგამძლეობა -21 ^{0}. ჭრაქის მიმართ გამძლეობა 3.5 ბალია. გამოირჩევა მსხმოიარობაში ადრე შესვლით. ახასიათებს კარგი დაფესვიანება. თავისი გემური თვისებებით და სოკოვანი დაავადების მიმართ გამძლეობით ის მედად ღირებული ჯიშია და მკვრთრად განსვავდება ზოგიერთი ახლი ჯიშებისაგან და ფორმებისაგან.

დუნავსკი ლაზურ (რქაწითელი Xვილლარ ბლანი) გამოყვანილია **ბულგარეთში** . საღვინე დანიშნულებისაა.

მარცვლის ფორმით, მტევნით, ფოთლით, გამძლეობით რქაწითელის მსგავსია. მტევანი საშუალო ზომისაა, (170 გ) კონუსური ფორმის, მხრიანი, საშუალო სიკუმსის. მარცვალი საშუალო ზომის, ოვალური ფორმის, მოყვითალო–

მომწვანო ფერის, ცვილით დაფარული. გამოირჩევა შედარებით გამძლეობით ნაცრის და ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ. მიეკუთვნება სიმწიფის საშუალო საგვიანო პერიოდს. გამძლეობა ყინვის მიმართ (-23^0). ღვინის სადეგუსტაციო შეფასება 8,8 ბალი.

მავრუდ კუკლენსკი მიღებულია მავრუდის და **საფერავის** შეჯვარებით, **ბულგარეთში.** წითელყურძნიანი საღვინე ჯიშია. მტევანი საშუალო ზომის 700-800გ. კონუსური ფორმის, ფრთიანი, საშუალო სიკუმსის. მარცვალი საშუალო ზომის, მომრგვალო, წვნიანი,ტკბილი გემოთი, მუქი ლორჯი. დაფარული ცვილით. ჭრაქის და ნაცრის მიმართ არ არის გამძლე. შედარებით გამძლეა ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ, მავრუდ კუკლენსკიდან დამზადებული ღვინოები გამოირჩევა სპირტის მაღალი შემცველობით.-11,5-13,6.% სხეულიანი დაკარგად შეფერილი. მიეკუთვნება სიმწიფის საგვიანო პერიოდს.

საფერავი სევერნი მიღებულია სევერნის და **საფერავის** შეჯვარებით. გამოყვანილია **რუსეთში**. გვირგვინი და ახლად გაშლილი ფოთოლაკები დაფარულია აბლაბუდისებრი ბუსუსებით. **ფოთოლი** საშუალო ზომის, მრგვალი და კვერცხისებური ფორმის, კიდემთლიანი, იშვიათად სამნაკვთიანი. მტევანი საშუალო ზომის, წონა 109 გ კონუსური ფორმის, მხრიანი, ზოგჯერ განტოტვილი. საშუალო სიკუმსის. მარცვალის საშუალო ზომის. მოვალური ფორმის, მუქი ლურჯი. უხვად არის დაფარული ცვილით. რბილობი წვნიანი. ჰარმონიული გემოთი. ნაცრით და ნაცრისფერი სიდამპლით ნაკლებად ზიანდება. სამეურნეო მიმართულება საღვინე დანიშნულებისაა. საშუალო მოსავალი 115,3 ც/ჰა-ზე. ყურძნის წვენი: შაქრიანობა 20.7-25 გ/ლ. მჟავიანობა მჟავიანობა 11,3-6.2 გ/ლ. გამოიყენება სასუფრე და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. სუფრის ღვინო ხასიათდება ინტენსიური შეფერვით, ჯიშური არომატით. სადესერტო ღვინოემი შეფერილია ინტენსიურად, სრული გემოთი. გემო სრული, რბილი, შოკოლადის არომატით.

ბარონი (კაბერნე –სოვინიონ X (მერცლინგ X საფერავი სევერნი(სევერნი X **საფერავი**) X სენ ლორანი. ჯიში მიღებულია გერმანიაში, ფრაიბურგში. მტევანი არის დიდი ზომის საშუალო სიკუმსის, მარცვალი შავი ფერის. ყურძნის წვენი. შაქარი 21გ/100მლ, მჟავინობა 8გ/ლ. მოსავალი 115-135ც/ჰა. შოკოვანი დაავადების მიმართ მეტად გამძლეა.

საშუალოდ ყინვაგამძლეა. საღვინე ჯიშია. საადრეო სიმწიფის პერიოდს მიეკუთვება. მისგან დამზადებული ღვინო არის კარგად შეფერილი, ექსტრაქტიული სასიამოვნო გემოთი.

სიბერა (საფერავი სევერნი (სევერნი Xსაფერავი)X (ფოსტერXსუპერტრაუბე). გამოყვანილია **გერმანიაში**, გეიზენხიმის სელექციის ინსტიტუტში. სინონიმი ჯოსტ, სიბერა ვაიტ. სელექციური ჯიშია. საღვინე მიმართულებისაა. ვაზი ძლიერი ზრდისაა. სოკოვანი დაავადების და ყინვისადმი გამძლეობით გამოირჩევა. სიბერა გავრცელებულია გერმანიასა და კანადაში.

ტაშკენტსკი (თავკვერისა X პტიბუშე(ვირ-1) თესლნერგის შეჯვარებით. მიღებულია უზბეკეთში. ფოთოლი საშულო ზომის, ხუთნაკვთიანი მტევანი საშუალო ზომის, მასა 198გ, კონუსური ფორმის, მარცვალი მრგვალი, შავი ფერის, დაფარულია ცვილით მოსავალი 150-300ც. სამეურნეო დანიშნულებით ტექნიკური ჯიშია. მისგან მზადდება სადესერტო ღვინო,ღვინო ინტენსიურად შეფერილი, შოკოლადის ტონით. იშვიათად მზადდება ნაცრით.

ბახჩისარაისკი სელექციური ვაზის ჯიშია. მიღებულია კულჯინსკი X **რქაწითელის** შეჯვარებით. ავტორები: პ. ი. გოლოდრიგა, ლ.პ. ტროშინი. მიღებულია "მაგარაჩის" მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მიეკუთვნება სიმწიფის საგვიანი პერიოდის ჯგუფს. მტევანი საშუალო ზომის, ცილინდრულ-კონუსური ფორმის, მხრიანი, ძალიან კუმსი. მარცვალი მომრგვალო, საშუალო ზომის, ყვითელი-მწვანე, ფერის, მზის მხარეზე ყავისფერი წერტილებით. ბახჩისარაისკი საღვინე დანიშნულებისა გამოიყენება შამპანიურის, ღვინოს და ასევე წვენებს დასამზადებლად. მისგან დამზადებული სასუფრე ღვინო ღია ჩალისფერია, ხასიათდება ნაზი ჯიშური ბუკეტით, სრული ჰარმონიული გემოთი. დეგუსტაციის შეფასების დროს მიიღო 7,7-7,8 ქულა. ბახჩისრაისკი ავადდება ჭრაქით და ნაცრით. ნაცრისფერი სიდამპლის მიმართ გამძლეობას იჩენს. ფილოქსერისადმი ტოლერანტულია

ჯიშების გენიალოგია მეტად საინტერესოა, უმეტესობა ჯისებისა მიღებულია როცა ერთ-ერთი ქართულია, ამავდროულად ბევრი ახლად გამოყვანილი ჯიში ჩართულია სხვა ჯიშების გამოსაყვანად. მაგალითად „საფერავი სევერნი" (სევერნი X საფერავი} რომელმაც შემდგომ ოთხი ჯიშის გამოყვანაში მიიღო მონაწილეობა. სულ გამოყენე-

ბულია 12 ქართული ჯიში.საფერავი, რქაწითელი, თავკვერი, დოდრელიაბი(სინ. ხარისთვალა კოლხური), ჩინური, მხარგრძელი, მწვანე კახური, ხიხვი, გორულა, ალმურა შავი, ქართული თითა და ქისი. ნათელია, რომ ამ ჯიშებს მოპოვებული აქვს გარკვეული პოპულარობა და მონაწილეობენ ბევრ სელექციურ პროგრამაში.

ქართული ვაზის გენოფონდს დიდი პოტენციალი გააჩნია, სასარგებლო გენთა ნაკრები და მას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს მევენახეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1Ампелография Узбекистание сортов винограда Ташкент ,,узбекистан “ 1984 ст 119.

2 Ампелография СССР. Отечественныу сорта винограда. москва . легкая и пищевая промишленность. 1984 стр.59

3. Энциклопедия виноградрства. Т.1. Кишинев. Молдавской Советской Энциклопедии 1986

4.Котолог сортов плодових, ягодных культур и винограда, принятых на государственные и спытания. москва 1985.

5.http://vinograd.info/sorta/arhiv/bahchisaraiskii

New Hybrid Varieties of Grapevine and Georgian Germplasm

T.Vakhtangadze

Academic Doctor of Agriculture

Abstract

(internet version)

Duiring XX country Georgian autochtonous varieties of grapevine enough widely were involved in breeding programs in Georgia and in some other countries abroad, As a result of many successful relazation 120 new varieties were bread with participation of our local varieties Saperavi, Rkatsiteli, Tavkveri, DoDreliabi (KharisTvala Kolxuri), Chinuri, Mtsvane and others in Azerbaijan, Armenia, Georgia, Germany,Chekheti Hungary, moldova, Russian Federation, Ukraine In this article are given the list ofnew varieties and some information about their genealogy, ampelographic and agronomic traits. It have given general analyzes of situation for breeding programs and for participation Georgian biodiversity of grapevine in them.

4. უწყვეტი სწავლების დარბაზი
Continuous Studying Hall

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 21 დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია

21.1. ბიზნესის ორგანიზაციის სქემატური მოდელი ეკონომიკის სფეროებისა და ფუნქციონალური რგოლების მიხედვით

ბიზნესის ორგანიზაცია ეკონომიკის ცალკეულ სფეროსა და ფუნქციონალურ რგოლში განსხვავებულ და სპეციფიკურ მიდგომასა და გადაწყვეტას მოითხოვს, რაც უპირატესად თვით ბიზნესმენზე, მის მიერ არჩეულ სტრატეგიულ მიზანზე, რეალურ პირობებსა და შესაძლებლობებზე, მის გამოცდილებასა და უნარზეა დამოკიდებული.

ამა თუ იმ სფეროს მიხედვით აგებულ ბიზნესურ სტრუქტურაში შეუფერხებელი და მიზნობრივი განვითარება ძირითადად კარგად აგებულმა და გააზრებულმა მენეჯმენტმა უნდა განაპირობოს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ როდესაც ვაყალიბებთ ცნებას ბიზნესის ორგანიზაცია ეკონომიკის ცალკეული სფეროს მიხედვით, ეს შინაარსობრივად ნიშნავს ბიზნესის განვითარებას ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს (დარგის) მიმართულების ბიზნესური სტრუქტურის მიერ, რადგანაც ბიზნესს, საქმიანობას ეწევა არ დარგი, არამედ ერთი რომელიმე სახის (ფორმის) ბიზნესის სპეციფიკის ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტრუქტურა. ამ სტრუქტურაში რასაკვირველია, ჩვეულებრივ, შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე დარგი, რის გამოც, ბიზნესი შეიძლება იყოს ერთდარგოვანი, ორი ან მრავალდარგოვანი (კომპლექსური), მცირე, საშუალო, დიდი და მსხვილი ფორმის.

ამრიგად, ბიზნესის ორგანიზაცია–ეს ბიზნესურ სტილში თვით საწარმოს (ფირმის) ორგანიზაციას ნიშნავს.

ბიზნესის განვითარებაში, როგორც წესი, ინდივიდუალური და დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობის მიუხედავად, რაც ძირითადად ბიზნესმენის პირად, თავისუფალ და დამოუკიდებელ შეხედულებებზე, მის ბიზნესურ საიდუმლოებაზე აიგება, შეიძლება ჩამოყალიბდეს ერთიანი, ზოგადი სქემატური მოდელი მისი ორგანიზაციისათვის. ამ სქემას ცხადია პირობითი და სარეკომენდაციო ხასიათი გააჩნია.

ამ სქემის მიხედვით, ბიზნესის ორგანიზაცია ამა თუ იმ მიმართულების (დარგობრივი სტრუქტურის) ბიზნესურ ორგანიზაციულ სტრუქტურაში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს (პოზიციებს):

1. შიდა და გარე, მაკრო და მიკრო ფაქტორებისა და პირობების გათვალისწინებით უნდა დადგინდეს საწარმოს (ფირმის) დარგობრივი სტრუქტურა, მისი შეთანაწყობის პროპორციები, განვითარების მიმართულებები და პრიორიტეტები;
2. უნდა შეფასდეს არსებული და ახლად შესაქმნელი ეკონომიკური პოტენციალი, გაირკვეს მისი თავისებურებები ადგილობრივი პირობების (კომპლექსური) შესაბამისად, შემუშავდეს მისი თითოეული რგოლის რაციონალური და მომგებიანი გამოყენების პრაქტიკული წინადადებები და დასაბუთებულად განისაზღვროს შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები და ინდიკატორები;
3. უნდა შეფასდეს შრომითი რესურსების სტრუქტურა, საჭირო რიცხოვნობა, ცვლილების ტენდენციები და დამუშავდეს რეკომენდაციები ამ სფეროს რაციონალური გამოყენებისათვის;
4. უნდა დადგინდეს სამუშაო ძალის–კადრების (ყველა რგოლის მიხედვით) გამოყენების მოტივაციის, სტიმულირების, ინტელექტუალიზაციის, საიმედოობის ამაღლების ფორმები, ხერხები, მეთოდები;
5. უნდა დადგინდეს სერვისის სახეები და განისაზღვროს მათი რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები და პირობები;
6. უნდა გაირკვეს საფინანსო პოტენციალი, მისი სტრუქტურა, გამოყენების პრინციპები, მიმართულებები, ფორმები, სახეები, ეტაპები, პროპორციები, შევსების წყაროები და სხვ.;
7. უნდა გაირკვეს და გადაწყდეს საფინანსო-საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, შემუშავდეს სპეციალური სამოქმედო პროგრამა, მოხდეს სათანადო გათვლები და გაანგარიშებები;
8. უნდა შედგეს ბიზნეს-გეგმა სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრების, პოზიციების, მიმართულებების ასახვით;
9. უნდა შედგეს ბიზნესის სტრატეგია და განვითარების პროგნოზი;

10. უნდა შედგეს საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებისა და შენარჩუნება-განვითარების პროგრამა, კონკრეტული გზების, ფორმების, მიმართულებებისა და სხვათა ასახვით;
11. უნდა დამუშავდეს მენეჯმენტის ერთიანი სისტემა, სქემა, რეალიზაციის წესი, ფორმები და კომპლექსური პროგრამა, პოზიციების, მიდგომების, საკითხების კონკრეტიზაციით;
12. უნდა დამუშავდეს ბიზნესის ორგანიზაციის ე.ი. მიზნობრივი განვითარების კომპიუტერიზაციის პროგრამა სათანადო კრიტერიუმების განსაზღვრით და მისი რეალიზაციის პრაქტიკული წინადადებებით;
13. უნდა დამუშავდეს საინფორმაციო სამსახურის სტრუქტურა და მისი ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის პროგრამა, ფუნქციონირების ფორმები, მეთოდები, მიმართულებები;
14. უნდა შედგეს რეკლამის კონცეფცია და მისი თანამიმდევრული განხორციელების გზები, ფორმები, მეთოდები, საშუალებები, კავშირები, პირობები, ეფექტის კრიტერიუმები;
15. უნდა შედგეს ბიზნესის ინტეგრაციის ვარიანტები, შესაძლო, მოსალოდნელად აუცილებელი გარდაქმნისა და დაჩქარების, მასშტაბების რეგულირების და მის განვითარებაში ახლებური აზროვნების რეალიზაციის პროგრამა.

აღნიშნული სქემა თითოეულ ბიზნესურ ორგანიზაციულ სტრუქტურაში მნიშვნელოვან და შესაძლო კორექტირებას ექვემდებარება, რასაც განაპირობებს კონკრეტული სიტუაცია, რეალური პირობები და შესაძლებლობები, სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი (ზოგი დარგისა და საქმიანობის განვითარებას სახელმწიფო აკონტროლებს და სხვადასხვა მეთოდით არეგულირებს), თვით კონკრეტული ბიზნესის საიდუმლოება და სხვ.

21.2. ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობასა და სამშენებლო კომპლექსში

მრეწველობის სფეროში ბიზნესს წარმართავენ ამ სფეროს ცალკეული დარგის მიმართულების ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურები.

მრეწველობა და სამშენებლო კომპლექსი ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და შეიძლება ითქვას, მისი პოტენციალის ძირითადი განმსაზღვრელი და პრიორიტეტული სფეროა. იგი მოიცავს: სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსს, მეტალურგიულ კომპლექსს, მანქანათმშენებელ კომპლექსს, ქიმიურ-სატყეო კომპლექსს, სამშენებლო კომპლექსის მრეწველობას. საკუთრივ სამშენებლო კომპლექსი კი ცალკე სფეროდ გამოიყოფა.

ამ სფეროში ბიზნესის ორგანიზაციის დროს გასათვალისწინებელია შემდეგი თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები:

1. ამ სფეროში ბიზნესის განვითარება ყველაზე დიდ და ფართო შესაძლებლობებს იძლევა;
2. ამ სფეროს მდიდარი სტრუქტურა საშუალებას იძლევა განვითარდეს მრავალმხრივი და მრავალდარგობრივი ბიზნესი;
3. ბიზნესი ამ სფეროს დარგებში მრავალვარიანტული შეიძლება იყოს, ერთი დარგის, ორი ან მრავალი დარგის შეთანაწყობით;
4. ბიზნესს ამ სფეროში შეუძლია უდიდეს, თითქმის უკიდეგანო მასშტაბებს მიაღწიოს. ამიტომაც ძირითადად სწორედ მრეწველობის დარგების მიხედვით ჩამოყალიბდა ტრანსეროვნული, საერთაშორისო კორპორაციები;
5. ამ სფეროს დარგებში განვითარებული ბიზნესი ყველაზე შემძლე, მდიდარი და მომგებიანი ბიზნესია მსოფლიოში.

ამის საშუალებას იძლევა:

- ნავთობის ნედლეული, რომელიც უდიდესი შემოსავლის წყაროა და უპირატესად განსაზღვრავს ვალუტის კონვერტირების დონესა და ხარისხს;
- ენერგიის სხვა წყაროების (გაზის, ქვანახშირის, ატომის და სხვ.) გამოყენების დიდი უკუგება;
- მანქანათმშენებლობა, რომლის პროდუქციაზე მოთხოვნილება ყოველთვის დიდი და შეუნელებელია–სწორედ ამ დარგშია ცნობილი მსოფლიოში უმსხვილესი ფირმები, რომლებიც უშვებენ „ფორდის“, „როლს-როისის“, „შევროლეტის“, „მერსედეს-ბენცის“, „ფიატის“, „ვოლვოს“, „ტოიოტას“, „ნისანის“ და სხვ. მარკის ავტომანქანებს.

- დიდი ქიმია და მეტალურგია. ამ დარგების მიხედვით შექმნილია ფირმა-გიგანტები. ამ სფეროს ბიზნესის პოტენციალი საკმაოდ მძლავრი და სტაბილურია.
- დიდი არეალი მშენებლობაში (ქალაქთმშენებლობა და სხვ.), მისი კომპლექსური ხასიათი, დიდმოცულობრიობა და მასშტაბურობა. სწორედ ამ სფეროს ბიზნესის შედეგია მსოფლიოში არსებული არქიტექტურული შედევრები, მაღალი ცათამბჯენები, უახლესი ტიპის მშენებლობები, დიდი ფანტაზიის, თითქმის დაუჯერებელი და გასაოცარი მოცულობები (ანსამბლები);

6. ამ სფეროს ზოგიერთი დარგის განვითარებასა და საქონლის გამოშვებაზე, საკმაო ხარისხით ერევა სახელმწიფო და ახორციელებს ბიზნესის რეგულირებას, რადგანაც ამ სფეროებში წარმოებული ბევრი საქონელი სტრატეგიული მნიშვნელობისაა;
7. ამ სფეროში ყველაზე მეტადაა შესაძლებელი ინტეგრირებული ბიზნესის განვითარება, ე.ი. სხვადასხვა დარგის ურთიერთდაკავშირება, კომბინაცია და შეთანაწყობა.

ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობისა და მშენებლობის სფეროში აუცილებლად უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

1. სწორად შეირჩეს ადგილი (ტერიტორია), სადაც გადაადგილდება ესა თუ ის ბიზნესური საწარმო;
2. სწორად იქნეს შეფასებულ-გათვლილი სანედლეულო ბაზა, მისი სტაბილურობა და პერსპექტიულობა;
3. სწორად დაიგეგმოს ბიზნესის მასშტაბი;
4. სწორად გაირკვეს საწარმოს ოპტიმალური სიდიდე;
5. სწორად განისაზღვროს სხვა დარგებთან და ფირმებთან თანამშრომლობის პრინციპები, პირობები, პოზიციები;
6. სწორად გაირკვეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წყაროები, ფორმები, მიმართულებები, უზრუნველყოფის დონე და ხარისხი;
7. სწორად შეფასდეს სახელმწიფო რეგულირების შედეგები, შეზღუდვების მისაღები ხარისხი;
8. გათვალისწინებული იქნას ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის აუცილებლობა;
9. სწორად განისაზღვროს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბები, ფორმები, პოზიციები, პრიორიტეტები, პერსპექტივები;
10. დადგინდეს ბიზნესისა და თვით მომუშავეთა მოტივაციები;
11. შემოღებული იქნას მენეჯერთა და ყველა რგოლის მუშაკთა სტიმულირების ეფექტური მექანიზმი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სფეროს ბიზნესზე უმეტესწილად დაფუძნებულია სხვა ფორმისა და სახის ბიზნესური სტრუქტურების ფუნქციონირება, რამეთუ სწორედ ამ სფეროში იქმნება მათი მატერიალური საფუძვლები: შენობები (ოფისები, საწარმოები და სხვ.), სათბობ-ენერგეტიკული საშუალებები, ნედლეული (ქიმიური და სხვ.), სატრანსპორტო საშუალებები, დიზაინის მთელი კომპლექსი და სხვ.

ამდენად, ამ კატეგორიის ბიზნესს წარმმართველი ბიზნესი შეიძლება ეწოდოს.

ამ სფეროში, ბიზნესის ორგანიზაციის საერთო სისტემაში დიდი ადგილი უკავია საფინანსო მექანიზმის რეგულირებასა და რაციონალიზაციას, რადგანაც შეფერხებებმა ამ მიმართულებით შეიძლება უდიდესი ზარალი მიაყენოს საწარმოებს. ეს ეხება ფინანსური შეფერხებებით გამოწვეულ იმ ხარვეზებს, რომელიც გავლენას ახდენს მაგ. მეტალურგიულ ციკლზე, ქიმიურ პროცესებზე, სხვადასხვა სპეციფიკურ სამუშაოთა რითმზე და ა.შ.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსხვილმასშტაბიანი და მკაცრად მიზნობრივი ბიზნესის დროს, რომელიც ამ სფეროს დარგებში იქმნება, არ უნდა გამოვედევნოთ მეორეხარისხოვან საკითხებს, ძირითადი ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს ძირითად და გლობალურ ამოცანაზე.

უდიდესი, შეიძლება ითქვას, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი პრობლემის გადაწყვეტას, როგორიცაა ტექნოლოგიის სრულყოფა და უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვა. ეს საკითხი უშუალოდ უკავშირდება გარემოს დაცვის გლობალურ პრობლემებს.

21.3. ბიზნესის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში

21.3.1. სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებები

სოფლის მეურნეობა და კვების მრეწველობა ეკონომიკის ძირითადი დარგებია.

სოფლის მეურნეობა, როგორც ნედლეულის მიმწოდებელი, განსაზღვრავს კვების მრეწველობის ფუნქციონირებას, ამიტომაც მას კომპლექსწარმომქმნელ დარგს უწოდებენ.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობა არა მარტო ამ დარგის, არამედ ყველა დანარჩენი ფორმის ბიზნესური სტრუქტურების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, რამეთუ მხოლოდ აქ იქმნება სასურსათო პროდუქტები, პირდაპირი თუ გადამუშავებული სახით გამოსაყენებლად, ურომლისოდაც ფიზიოლოგიურად წარმოუდგენელია ადამიანის სიცოცხლე და საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, როგორც სოფლის მეურნეობა ქმნის ძირითად მატერიალურ-ფიზიოლოგიურ ბაზას სხვა სფეროს ბიზნესისათვის, ისე ეს სფეროებიც დაინტერესებული არიან სოფლის მეურნეობის განვითარებით, რისთვისაც ურთიერთმისაღები ინტეგრაციის პირობებით ამარაგებენ მას: მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით (საწვავით, ქიმიის პროდუქტებით და ა.შ.), სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით (ნავთობი, გაზი, ელექტროენერგია და ა.შ.), სამშენებლო მასალებით (ცემენტი, აგური და ა.შ.), ხე-ტყით, ტრანსპორტით, მოწყობილობებით, კომპიუტერებით და სხვ.

ამრიგად, სხვადასხვა სფეროს ბიზნესური საქმიანობა გადაჯაჭვული, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგაპირობებულია. ამასთან, ამოსავალი კრიტერიუმი თითოეული ბიზნესური ორგანიზაციული სტრუქტურისათვის არის ურთიერთმისაღები პირობები და სტაბილურად მზარდი მოგების მიღება.

სწორედ ამ კრიტერიუმების გამო ირღვევა ხშირად დასაშვები და საჭირო პროპორციები ამ სტრუქტურებს შორის, რისი რეგულირებისა და რაციონალიზაციის საფუძველსაც იძლევა თითოეული სფეროს ბიზნესის სწორი ორგანიზაცია–ისეთი, რომელიც მაქსიმალურად და აწონილ-დაწონილად გაითვალისწინებს ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეთნოგრაფიულ, ისტორიულ-ტრადიციულ, სტრატეგიულ პირობებს, პოზიციებს, სპეციფიკას, მოთხოვნებს და აუცილებლობებს.

სოფლის მეურნეობას თავისი სპეციფიკური ნიშნები და თავისებურებები გააჩნია.

რაში მდგომარეობს ეს თავისებურებები და როგორ უნდა იქნას ისინი გათვალისწინებული ბიზნესის ორგანიზაციის და შეწონასწორებული განვითარებისათვის.

<u>პირველი</u>-ძირითადი თავისებურება ის არის, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ორგანულადაა დაკავშირებული მიწისა და ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან. ამასთან, მიწის რესურსები შეზღუდულია, თუმცა ნაყოფიერების ამაღლების თითქმის მუდმივად მზარდი პოტენციალი გააჩნია. მიწა, სოფლის მეურნეობაში გამოიყენება, როგორც წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალება, ეკონომიკის სხვა დარგებში კი როგორც მხოლოდ საწარმოთა გაადგილების ბაზა (ტერიტორიული თვალსაზრისით). ეს გარემოება, ცხადია, გათვალისწინებული უნდა იქნას სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობაში ბიზნესის ორგანიზაციის საკითხების კომპლექსური გადაწყვეტისას.

მიწის ფაქტორს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საწარმოთა და დარგების რაციონალური გადაადგილებისათვის. ძირითადი სპეციფიკა ამ შემთხვევაში ის არის, რომ თუ სასოფლო-სამეურნეო წარმოება ნაყოფიერ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე უნდა გაადგილდეს, სხვა დარგების საწარმოთა გაადგილებისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილია ნაკლებად ნაყოფიერი (ან თითქმის უნაყოფო) და სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი მიწის ნაკვეთები. ეს საკითხები დიდ ყურადღებას მოითხოვს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დიდ შესაძლებლობას სახავს მიწების რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით. იგი, ჯერ ერთი, აძლიერებს და აფართოებს ინტენსიფიკაციის ფაქტორების გამოყენებას, რაც მიმართული უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, მეორე—აჩქარებს ნიადაგდაცვითი და ნიადაგაღდგენითი (რეკულტივაციის გზით) ღონისძიებების გატარებას, და მესამე—საშუალებას იძლევა ახალი, თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენებით სასოფლო-სამეურნეო საწარმოები გავაადგილოთ რთული კონფიგურაციისა და სოფლის მეურნეობისათვის ძნელად ასათვისებელ ნაკვეთებზე, შესატყვისი სატრანსპორტო საშუალებების მორგებული გამოყენებით.

<u>მეორე</u>—დამახასიათებელი თავისებურებაა წარმოების პროცესის სირთულე და მრავალწახნაგოვნება. ეს სირთულე გაპირობებულია იმით, რომ სოფლის მეურნეობის წარმოება დამოკიდებულია მრავალმხრივი ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორისა და

პირობის ზემოქმედებაზე, რომელიც არა მარტო ზონალურ და რეგიონალურ, არამედ ხშირად თვით ცალკეული საწარმოს ფარგლებშიც ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებულია და ამდენად, არ შეიძლება არსებობდეს სოფლის მეურნეობის გაძღოლის ისეთი ერთიანი სისტემა, რომელიც ყველა რეგიონსა და საწარმოს გამოადგებოდა.

ეს სირთულე და მრავალწახნაგოვნება გაპირობებულია იმითაც, რომ მიღებული პროდუქცია გამოიყენება როგორც სურსათი, როგორც ნედლეული და როგორც საშუალება, ამასთან ზოგჯერ განსხვავებული დანიშნულებითაც. მაგ. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის გარკვეული (უდიდესი) ნაწილი მოიხმარება როგორც სასურსათო პროდუქტი, სხვა ნაწილი კი, როგორც ნედლეული მრეწველობისათვის: ყურძენი–ღვინის მრეწველობისათვის, ჩაი–ჩაის მრეწველობისათვის, ხილი და ბოსტნეული–საკონსერვო მრეწველობისათვის, თამბაქო–თამბაქოს მრეწველობისათვის, მატყლი და აბრეშუმის პარკი–მსუბუქი მრეწველობისათვის, ტუნგი–ტუნგის ზეთის დასამზადებლად (შემდეგ კი მრეწველობის სხვადასხვა დარგში, გემთმშენებლობაში და სხვ.), მეცხოველეობის პროდუქტები–ხორცისა და რძის მრეწველობაში და სხვ.

სოფლის მეურნეობაში წარმოებული ერთიდაიგივე პროდუქცია ზოგჯერ სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენება: ყურძენი გამოიყენება, როგორც სასურსათო პროდუქტი და როგორც ნედლეული მრეწველობისათვის; ასევე ითქმის ხილზე, ციტრუსებზე, რძეზე და სხვ. თესლი გამოიყენება ერთის მხრივ იმავე კულტურის გასამრავლებლად, მეორეს მხრივ მრეწველობის შესაბამის დარგში (პურფუნთუშეულისა თუ სხვათა საწარმოებლად), მესამეც, როგორც უშუალო სასურსათო პროდუქტი. სოფლის მეურნეობის გარდა არც ერთ სხვა დარგს არ ახასიათებს ის თავისებურება, რომ მიღებული მზა პროდუქცია (თესლი, პირუტყვი) გამოიყენებოდეს შემდეგ ციკლში ისეთივე მზა პროდუქტის მისაღებად.

შეიძლება განსხვავებული დანიშნულებით გამოიყენებოდეს არა მარტო სოფლის მეურნეობის, არამედ სხვა დარგების პროდუქციაც; მაგ. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც ნიადაგის გასანოყიერებელი საშუალება და როგორც პირუტყვის საკვების გამამდიდრებელი საშუალება-საკვები დანამატის სახით (ცილების დეფიციტის შესავსებად).

ეს დამახასიათებელი თავისებურებები ზედმიწევნით გათვალისწინებას მოითხოვს.

<u>მესამე</u>-სოფლის მეურნეობასა და რამდენადმე მასთან დაკავშირებული მრეწველობის (კვების) დარგებს ახასიათებს სეზონურობა;

სოფლის მეურნეობაში წარმოების პერიოდი და სამუშაო პერიოდი ერთმანეთს არ ემთხვევა. შრომა იხარჯება წლის განმავლობაში, ხოლო პროდუქცია მიიღება პერიოდულად, ანდა მხოლოდ წლის ბოლოს. ეს გარემოება იწვევს სხვადასხვა დარგებისა და კულტურების ურთიერთშეთანაწყობის აუცილებლობას, რათა რამდენადმე შერბილდეს სეზონურობა და წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად დინამიურად განაწილდეს სამუშაო პერიოდი, მრავალდარგოვანი წარმოების ციკლის შესაბამისად.

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგების ინტეგრაცია ანუ ინტეგრირებული ბიზნესური სტრუქტურების შექმნა და ფუნქციონირება საშუალებას იძლევა რეგულირებული გავხადოთ ეს პროცესები და გამოთანაბრებულად გამოვიყენოთ სამუშაო ძალა მთელი წლის განმავლობაში.

<u>მეოთხე</u>—სოფლის მეურნეობის განვითარებაზე გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური კანონებიც. სოფლის მეურნეობის წარმოების რითმი მნიშვნელოვანწილად რეგულირდება ბუნებრივ-ბიოლოგიური კანონებით. ბიოლოგიურ პროცესებს (მცენარეთა და ცხოველთა განვითარება) გარკვეული ციკლი ახასიათებს, ხასიათდებიან გარკვეული ხანგრძლივობით, დროის მიხედვით, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და დარგების ურთიერთრეგულირებული ფუნქციონირება საშუალებას იძლევა დადებითად და აქტიურად ზევიმოქმედოთ ამ ბუნებრივ ციკლებზე, დავაჩქაროთ ან შევანელოთ (მეწლეობა ხეხილში და სხვა) იგი. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის პროპორციულმა (ურთიერთმისაღები პირობები) განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური და ბიოლოგიური კანონების გონივრულ გამოყენებას.

<u>მეხუთე</u>—სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი თავისებურება უკავშირდება ტექნოლოგიური პროცესების ხასიათს. სოფლის მეურნეობაში თუ პროდუქტი იქმნება თვით წარმოების პროცესში, მრეწველობის დარგებში შრომის საგანი, ტექნოლოგიური პროცესების ზემოქმედების შედეგად თანდათან გარდაიქმნება მზა-პროდუქციად. ასე, რომ წარმოების პროცესი მხოლოდ პირველდაწყებითი მასალის თვისებების შეცვლას იწვევს.

ამასთან, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მატერიალურ დაბანდებათა ბრუნვის ციკლი სოფლის მეურნეობაში რამდენადმე ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მრეწველობაში.

<u>მეექვსე</u>—ერთ-ერთი სპეციფიკური თავისებურებაა ის, რომ სოფლის მეურნეობაში, განსხვავებით ყველა სხვა დარგისაგან, ხდება ენერგიის აკუმულირება (დაგროვება), რომელიც სურსათის სახით

გადაეცემა ადამიანს, საკვების სახით კი ცხოველს. სხვა დარგებში ენერგია მხოლოდ იხარჯება ან გარდაიქმნება ერთი სახიდან მეორეში.

<u>მეშვიდე</u>—სოფლის მეურნეობას სხვა დარგებისაგან განსხვავებით იზოლირებული ფუნქციონირება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე არ შეუძლია. იგი აუცილებლად მოითხოვს ფუნქციონალურ კავშირს მრეწველობის დარგებთან, ამასთან იმის გამო, რომ თავისი პროდუქციის გამოყენება მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია (თესლი, სარგავი მასალა, კვერცხი და ა.შ.), მის ძირითად ნაწილს აწოდებს გადამამუშავებელ მრეწველობას, რომელიც პროდუქტს საბოლოო სახეს აძლევს და უზრუნველყოფს მის რეალიზაციას.

ამდენად, ბიზნესის ორგანიზაციაა სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში და მისი რაციონალიზაცია დიალექტიკურად უკავშირდება ეკონომიკის სხვა დარგებს (მრეწველობას, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას და სხვა).

21.3.2. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა

სოფლის მეურნეობა ორი ძირითადი დარგისაგან შედგება. ესენია: მემცენარეობა და მეცხოველეობა.

თავის მხრივ მემცენარეობაში ძირითადად შედის: მარცვლეულის მეურნეობა, მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, საკვებწარმოება (მეცხოველეობისათვის), მეთამბაქოეობა, მეჭარხლეობა, მებამბეობა, ეთერზეთებისა და სხვა ტექნიკური კულტურების პროდუქციის მწარმოებელი დარგები, მეხილეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პროდუქციის მწარმოებელი დარგები (მედაფნეობა, მეტუნგეობა და ა.შ.) და სხვა.

მეცხოველეობაში შედის: მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა, მეთხეობა, მებოცვრეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა.

რამდენადმე სპეციფიკური სფეროა კვების მრეწველობა. მას სოფლის მეურნეობისაგან განსხვავებით ზოგიერთი თავისებურება გააჩნია.

კვების მრეწველობა მოიხმარს: ერთის მხრივ მცენარეული წარმოშობის ნედლეულს (ხორბალი, ხილი, ყურძენი და ა.შ.), მეორეს მხრივ-ცხოველური წარმოშობის ნედლეულს (ხორცი, რძე და ა.შ.),

მესამეს მხრივ–მოპოვებულ ნედლეულს (ასკილი, შინდი, მოცვი, თევზი, ზღვის პროდუქტები, მარილი, მინერალური წყლები და ა.შ.).

კვების მრეწველობა სამი მსხვილი დარგისაგან შედგება, ესენია:

1. გემო-კვების მრეწველობა (პურ-პროდუქტები, საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვი, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები-სულ 17 ქვედარგია გაერთიანებული);
2. ხორცისა და რძის მრეწველობა (ხორცი, ყველი, კარაქი, რძე და ა.შ.);
3. თევზის მრეწველობა (თევზი, ზღვის მხეცები და პროდუქტები).

ამ დარგის თავისებურება ის არის, რომ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი–65-70% უშუალოდ მოიხმარება ადამიანის მიერ, ხოლო დანარჩენი ნაწილი (მაგალითად შაქარი, ზეთი, სპირტი, რძის ფხვნილი და სხვა) ექვემდებარება შემდგომ (მეორად) სამრეწველო გადამუშავებას (ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, საკონდიტრო ნაწარმის, კონსერვების და სხვათა დასამზადებლად).

21.3.4. ბიზნესის ორგანიზაციის სპეციფიკური ნიშნები და მიმართულებები სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში

ბიზნესის ორგანიზაცია შეიძლება განხორციელდეს როგორც სოფლის მეურნეობის ან კვების მრეწველობის ცალკეული დარგის, ისე რამდენიმე დარგის (კომპლექსური) მიმართულების ორგანიზაციულ-სამართლებრივ სტრუქტურებში, რისთვისაც სხვადასხვა სპეციფიკური ნიშნები იქნება დამახასიათებელი და გასათვალისწინებელი.

სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის ინტეგრირებულ საწარმოებში ბიზნესის ორგანიზაციის საკითხების გადაწყვეტისას პირველ რიგში ყურადღება უნდა დაეთმოს მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ტერიტორიის ორგანიზაციას.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგისათვის მიწის სხვადასხვა თვისებები იწევს წინა პლანზე. გეოლოგებისათვის საინტერესოა წიაღისეული და მისი მარაგი, მშენებლებისათვის რელიეფი და გრუნტის ხასიათი. სოფლის მეურნეობაში წარმოების პროცესი უშუალოდ უკავშირდება მიწის ისეთ ბიოლოგიურ თვისებას, როგორიცაა მისი ნაყოფიერება. ნაყოფიერება შეიძლება გააჩნდეს არა მთლიანად მიწას, არამედ მის ზედა ჰორიზონტს, რომელსაც ნიადაგს უწოდებენ.

მხოლოდ ნიადაგი, მისი განსაკუთრებული თვისებების გამო, აძლევს სოფლის მეურნეობისათვის წარმოების ძირითადი და შეუცვლელი საშუალებების ხასიათს. ნიადაგის ნაყოფიერება ეს არის იმის უნარი, რომ დააკმაყოფილოს სასოფლო-სამეურნეო მცენარე სიცოცხლისათვის საჭირო საკვები ელემენტებითა და შესაბამისი პირობებით.

ნაყოფიერება არის ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა დაგროვებისა და მცენარისათვის შესათვისებელ ფორმაში გარდაქმნის ქიმიური, ფიზიკური და მორფოლოგიური თვისება. საკვებ ნივთიერებათა რაოდენობა და მისი გარდაქმნა ნიადაგში ცვალებადია და დამოკიდებულია:

ა) ბუნებრივი ძალების გამომფიტავ მოქმედებაზე (ქარები, ეროზია და ა. შ.);

ბ) ნიადაგის გამოყენების ხასიათზე (დამუშავება, სასუქების გამოყენება, მელიორაცია, ნათესების სწორი სტრუქტურა და თესლბრუნვის შემოღება და ა. შ.);

გ) მცენარის ბიოლოგიურ თვისებებზე.

სოფლის მეურნეობაში მიწა სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებს. იგი წარმოგვიდგება როგორც შრომის საგანი, შრომის იარაღი და შრომის საშუალება, ამ სიტყვის ფართო გაგებით (შრომის საშუალება, როგორც ცნობილია მოიცავს შრომის იარაღსაც).

მიწას, როგორც წარმოების ძირითად საშუალებას გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რაც განასხვავებს მას წარმოების სხვა ძირითადი საშუალებებისაგან. ამათგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. წარმოების ყველა დანარჩენი ძირითადი საშუალება წარმოადგენს ადამიანის შრომის შედეგს და ამიტომ გააჩნიათ ღირებულებაც. მიწა კი თვით ბუნების სიმდიდრეა, ამიტომ მას, თავის პირვანდელ მდგომარეობაში, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების გატარების გარეშე, ღირებულება არ გააჩნია.

2. მიწა შეუცვლელ წარმოების ძირითად საშუალებას წარმოადგენს. მიწის ზედაპირის შეცვლა სხვა საშუალებების გამოყენებით შეუძლებელია. შეიძლება მხოლოდ მის ნაყოფიერებაზე ზეგავლენის მოხდენა.

3. მიწა განსაზღვრულია სივრცობრივად. მისი ფართობი არ შეიძლება გაიზარდოს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უკვე ამოწურულია მისი მარაგი. მსოფლიოში მიწის დიდი მასივები ჯერ კიდევ აუთვისებელი და გამოუყენებელია.

4. მიწის ნაკვეთები ერთნაირი არ არის თავისი შემადგენლობით; ერთიდაიგივე მიკრორეგიონის ფარგლებშიც კი გვხვდება სხვადასხვა ნაკვეთები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან

ერთმანეთისაგან რელიეფით, ნიადაგში საკვები ელემენტების შემცველობით და მაშასადამე ნაყოფიერებით, ფიზიკური, ქიმიური და მექანიკური თვისებებით. სწორედ ეს აძლევს მიწას მრავალფეროვან ხასიათს. ეს ობიექტური ფაქტორია და ყოველმხრივ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბიზნესის ორგანიზაციის დროს.

5. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების გამოყენება დაკავშირებულია ადგილის მუდმივობასთან. მიწა გამოიყენება მხოლოდ იქ, სადაც ის არის გაადგილებული, იქ სადაც ამა თუ იმ ტიპის ნიადაგია ჩამოყალიბებული მთელი თავისი გენეზისის მანძილზე.

6. წარმოების ერთი და იმავე პროცესში მიწამ შეიძლება შეასრულოს როგორც შრომის საგნის ისე შრომის იარაღის ფუნქცია. მიწათმოქმედებაში ადამიანი ზემოქმედებს ნიადაგზე და ქმნის აუცილებელ პირობებს მცენარეთა მოვლა-მოყვანისათვის–ამ შემთხვევაში მიწა გამოდის როგორც შრომის საგანი. ამასთან, ადამიანი იყენებს რა ნიადაგის ნაყოფიერების თვისებებს, ზემოქმედებს მცენარეზე მისთვის საჭირო მიმართულებით–ამ შემთხვევაში კი მიწა გამოდის როგორც შრომის იარაღი. წარმოების სხვა ძირითადი საშუალებები მხოლოდ თითო ფუნქციას ასრულებენ.

7. მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების მატერიალური მოხმარება კი არ ამცირებს მის მარაგსა და ნაყოფიერებას, პირიქით მეურნეობის რაციონალური გაძღოლის პირობებში მაღლდება მისი ნაყოფიერება, სამეურნეო თვისებები. ნაყოფიერება შეიძლება ამაღლდეს იმ გზით თუ ნიადაგს ნასვენად დავტოვებთ რამდენიმე წლით (ამ შემთხვევაში იგი ბუნებრივი პროცესების წყალობით აღიდგენს ნაყოფიერებას) და სწორი და მიზანმიმართული გამოყენების, სასუქების შეტანის, კულტურათა მორიგეობის და სხვა ღონისძიებების გამოყენების გზით.

განასხვავებენ ნიადაგის ნაყოფიერების შემდეგ სახეებს: ბუნებრივს, ხელოვნურს და ეკონომიკურს.

<u>ბუნებრივი ნაყოფიერება</u>–ეს ისეთი ნაყოფიერებაა, რომელიც ბუნებრივი პირობების ზეგავლენით, ხანგრძლივი ნიადაგწარმომქმნელი პროცესის შედეგად ყალიბდება. ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებაში ძირითადი ადგილი უკავია: სითბოს, საკვები ნივთიერებების მარაგს (აზოტი, ფოსფორი, კალიუმი, მიკროელემენტები), ატმოსფერულ ნალექებს, ნიადაგის სტრუქტურას, მიკრობიოლოგიურ პირობებს (პროცესებს), მცენარეულ საფარს და ა.შ.

ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება–ეს მისი პოტენციური ნაყოფიერებაა. მისი რეალიზაცია ხდება ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის პერიოდში.

ხელოვნური ნაყოფიერება–ეს ისეთი ნაყოფიერებაა, რომელიც ადამიანის შრომის შედეგად იქმნება. ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერების გამოყენების ხარისხი დამოკიდებულია საწარმოო ძალებზე, ადამიანის მიერ მასზე ზემოქმედებაზე მაღალი აგროკულტურის პირობებში.

დამატებითი დაბანდებების შედეგად ბუნებრივი ნაყოფიერება მაღლდება, იქმნება დამატებითი ნაყოფიერება. ეს არის სწორედ ხელოვნური (დამატებითი) ნაყოფიერება.

ნიადაგის ხელოვნური ნაყოფიერების შექმნაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: მიწათმოქმედების რაციონალური სისტემის დანერგვა, აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევების გამოყენება, ხელოვნური (მინერალური) სასუქების გამოყენება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, შრომის ნაყოფიერების ამაღლება.

ეკონომიკური ნაყოფიერება–ეს ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერების ერთობლიობაა. იგი მათი ერთდროული გამოყენების შედეგია. ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერება–ეს მისი ფაქტიურად არსებული, რეალური ნაყოფიერებაა. მას ეფექტურ ნაყოფიერებასაც უწოდებენ, რომელიც დამოკიდებულია როგორც ნიადაგის პირვანდელ ბუნებრივ ნაყოფიერებაზე, ისე შემდგომ შეძენილ ხელოვნურ (დამატებით) ნაყოფიერებაზე.

ნიადაგის ხელოვნური ნაყოფიერების ამაღლება ქმნის შესაძლებლობას უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ მისი ბუნებრივი ნაყოფიერება.

ბიზნესის ორგანიზაციის საერთო სისტემაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიწის ფონდებისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურ გამოყენებასა და ეფექტიანობის ამაღლებაზე მრავალი პირობა ახდენს გავლენას. ღონისძიებათა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისინი, რომლებიც მიმართულია სავარგულების სტრუქტურის სრულყოფისა და ნაყოფიერების ამაღლებისაკენ. მეორე ჯგუფი მოიცავს იმ გზებსა და მეთოდებს, რომლებიც გამიზნულია სავარგულების რაციონალური გამოყენებისათვის.

აქედან გამომდინარე, მიწების რაციონალური გამოყენების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

1. მიწის სავარგულების სტრუქტურის გაუმჯობესება მისი ტრანსფორმაციის საფუძველზე, ნაკლებინტენსიური სავარგულების ინტენსიურში გადაყვანა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდის თვალსაზრისით;

2. სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება, აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენების საფუძველზე;

3. გამოუყენებელი მიწების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცევა;

4. მიწის მორწყვისა და დაშრობის ღონისძიებების გატარება;

5. სათიბ-საძოვრების გაუმჯობესება.

საერთოდ, მიწების ეფექტურ გამოყენებაზე გავლენას ახდენს სამი ძირითადი ჯგუფის ფაქტორები: ბუნებრივი, ტექნიკურ-ტექნოლოგიური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური.

1. ბუნებრივ ფაქტორებს მიეკუთვნება ნიადაგის ტენი და სითბო, ტემპერატურული რეჟიმი წლის პერიოდების მიხედვით, ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და სხვ. ეს ფაქტორები ჯერ კიდევ ნაკლებად რეგულირდება ადამიანის მიერ;

2. ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ფაქტორებს მიეკუთვნება ის ხერხები და საშუალებები, რომლებიც სასურსათო პროდუქტების საწარმოებლად გამოიყენება. აქ შედის: მექანიზაცია, კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგია; ქიმიზაცია, მელიორაცია, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გამოყვანა და მეთესლეობა, ახალი აგროტექნიკური ხერხების გამოყენება და სხვ.;

3. ეკონომიკურ-ორგანიზაციული ფაქტორები მოიცავს მენეჯმენტის სრულყოფას, წარმოების სტრუქტურის სრულყოფას, ტერიტორიის სწორ ორგანიზაციას, მუშაკთა მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებებს.

ტერიტორიის ორგანიზაციის დროს შეიძლება ორ შემთხვევას ჰქონდეს ადგილი. ერთი, როდესაც ეს საკითხები ახლად ჩამოყალიბებული საწარმოსათვის (ფირმისათვის) წყდება და მეორე, როდესაც საჭიროა უკვე ჩამოყალიბებული საწარმოს ტერიტორიის ორგანიზაციის სრულყოფა. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევის დროს ტერიტორიის ორგანიზაციის გეგმა დასაბუთებული უნდა იყოს როგორც აგრონომიული და ტექნიკურ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე ეკონომიკურ-ორგანიზაციული თვალსაზრისითაც. ტერიტორიის ორგანიზაცია მოითხოვს საჭირო კაპიტალურ დაბანდებებს, რომლებიც წლების განმავლობაში ერთი და იგივე ტერიტორიაზე ფუნქციონირებენ (გამოიყენებიან), ამიტომ, გარკვეულ სიძნელეებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი ჩამოყალიბებული საწარმოს პირობებში

ტერიტორიის ორგანიზაციის ცალკეული ელემენტის საჭირო და აუცილებელი ცვლილებების შემთხვევაში.

სასოფლო-სამეურნეო, კვების მრეწველობის და სხვა პროფილის ყველა ბიზნესური საწარმოსათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით მომარაგებას (დროულად შეძენას) და მათ სწორ გამოყენებას.

<u>მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება</u> ეს არის მწარმოებლიდან მომხმარებლამდე დაყვანის პროცესი. იგი უნდა გავიგოთ აგრეთვე როგორც საწარმოებს (ფირმებს) შორის ეკონომიკური, ურთიერთმისაღები კავშირის დამყარების ფორმა.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, წარმოადგენს სასაქონლო მიმოქცევის ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური რესურსების, უპირატესად წარმოების საშუალებების დაყვანას წარმოებიდან მომხმარებლამდე.

მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია გულისხმობს ნედლეულზე, საწვავზე, მასალებზე და მომარაგების სხვა საგნებზე მოთხოვნილების განსაზღვრასა და მათი შეძენის უზრუნველყოფას. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონტრაქტების (ხელშეკრულებების) დროულად გაფორმებას.

სოფლის მეურნეობაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავს წარმოების სხვადასხვა საშუალებას, კერძოდ ტრაქტორებს, კომბაინებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, ავტომობილებს, მოწყობილობებს, იარაღებს, ელექტროძრავებს, ელექტრომოწყობილობებს და ნაგებობებს, საწვავ-საცხებ მასალებს, ორგანულ და მინერალურ სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს, სხვადასხვა სამეურნეო ინვენტარს, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, მუშა და პროდუქტიულ პირუტყვს, თესლს, ფურაჟს, ნაგებობებს მ.შ. საგზაო და მელიორაციულს და სხვ.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ორგანულად უკავშირდება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიალიზაცია, მექანიზაცია, ელექტრიფიკაცია, ქიმიზაცია და მელიორაცია. ამ პროცესების შესრულებისას გამოიყენება სწორედ მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა და მათი გამოყენება დამოკიდებულია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე,

რომელიც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორია.

მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებზე მოთხოვნილების განსაზღვრა უნდა ეყრდნობოდეს რელიეფურ და ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო და კვების მრეწველობის მიმართულების ბიზნესურმა ორგანიზაციულმა სტრუქტურებმა, ზემოთ (სქემატურ მოდელში) ჩამოთვლილის გარდა, ბიზნესის ორგანიზაციის დროს ყურადღება უნდა დაუთმონ:

1. წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფას–ამას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოფლის მეურნეობაში (იხმარება ასე: აგროტექნიკური და ზოოტექნიკური ღონისძიებები), ისე კვების მრეწველობაში და შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბიზნესის წარმატებები ამ სფეროებში უპირატესად სწორედ ტექნოლოგიის სრულყოფით მიიღწევა, რამაც საშუალება მისცა ფირმებს გამოეშვათ მაღალკალორიული, მაღალი სასურსათო ღირებულების, ახალი სახის პროდუქტები და მათი ხელოვნური შემცვლელები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გენეტიკისა და სელექციის მიღწევების დროული დანერგვა, ბიოტექნოლოგიის, უნარჩენო და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების გამოყენება, დაპროგრამებული მოსავლის მიღება და ა.შ.

2. გარანტირებული ბაზრების შერჩევასა და შენარჩუნებას, მომხმარებლებთან მჭიდრო და სტაბილური კონტაქტების დამყარებას – ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან დღეს განვითარებული ქვეყნების სასურსათო ბაზარი საკმაოდ მაღალ დონეზეა გაჯერებული და ბიზნესმენმა თუ არ იღონა იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქცია შექმნას და იქონიოს მყარი ბაზარი, იგი დიდ დანაკარგებს ნახავს.

ამ ფაქტორის გამო ზოგჯერ საჭირო ხდება გარკვეული მასშტაბით იქნეს შემცირებული ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება და შემდგომ დარეგულირდეს მისი წარმოების მასშტაბები.

ამ ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორის გამო შეიძლება პერიოდულად იცვლებოდეს როგორც თვით სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, მ.შ. ნათესების, აგრეთვე ნახირის სტრუქტურა, ტერიტორიის, რესურსების (მატერიალური, შრომითი) გამოყენების ორგანიზაციის მიმართულებები, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხასიათი და სხვა საწარმოო კომპონენტების ორგანიზაციის პირობები და გამოყენების მოდიფიკაცია.

3. წარმოების მოდერნიზაციის, პროფილის შესაძლო შეცვლის, წარმოების ტემპებისა და მასშტაბების რეგულირების, ინტეგრირების და სხვა ანალოგიურ საკითხებს.

4. შრომის რეგიონთაშორის და სახელმწიფოთაშორის დანაწილების მოთხოვნებს და ამის შესაბამისად: ერთის მხრივ ფირმის (საწარმოს) სპეციალიზაციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებასა და ამაღლებას და მეორეს მხრივ საგარეო-ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და გაფართოებას;

5. წარმოების ინტენსიფიკაციის დონის ოპტიმიზაციას და მისი უკუგების ამაღლებისათვის არსებითი ფაქტორების გამოყენების რეგულირებას;

6. რესურსების (მატერიალური, შრომითი, ფინანსური) ეფექტური გამოყენების კონკრეტული მექანიზმების დამუშავებასა და მიზნობრივ ამოქმედებას, ბიზნესის სტრატეგიის შესაბამისად.

ამრიგად, ბიზნესის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მიმართულების ბიზნესურ ორგანიზაციულ სტრუქტურებში საკმაოდ სპეციფიკური და მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვეტას მოითხოვს, რაც მაღალკვალიფიციურ მენეჯმენტს უნდა ეყრდნობოდეს.

5.ტერმინები
Terms

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

5.1 ეკონომიკური რესურსი

ეკონომიკურ რესურსებში შედის ბუნებრივი, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსები.

ბუნებრივი რესურსებია: მიწა (ნიადაგი), კლიმატი, წყლის რესურსები, ტყის რესურსები, ფლორა, ფაუნა, მინერალური (წიაღისეული) რესურსები;

შრომითი რესურსებია: ადამიანის მიერ გაწეული შრომა და საქმიანობა, რომლითაც იგი ზემოქმედებს ბუნებრივ რესურსებზე;

მატერიალური და ფინანსური რესურსებია: ადამიანის შრომით შექმნილი რესურსები (პროდუქცია)–მანქანა-იარაღები; სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური, მიკრობიოლოგიური და სხვა პროდუქცია; ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწევები, ინტელექტუალური და ინფორმაციული პროდუქცია და სხვა, აგრეთვე ფინანსური (ფულადი) რესურსები.

ამ რესურსებს კაპიტალსაც უწოდებენ. ძირითადი კაპიტალი მოიცავს ხანგრძლივი სარგებლობის მატერიალურ დოვლათს, რომელიც წარმოებაში მონაწილეობს მრავალი წლის (ციკლის) განმავლობაში (მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანები, მოწყობილობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.).

საბრუნავი კაპიტალი არის ის კაპიტალი, რომელიც მთლიანად იხარჯება წარმოების ყოველი ციკლის განმავლობაში (ნედლეული, სათბობი, თესლი, მასალები და სხვ.).

ყველა ეს რესურსი წარმოების ფაქტორის როლშიც გამოდის.

საერთოდ, ეკონომიკურ რესურსებს მეტ-ნაკლებად შეზღუდულობა ახასიათებს, ზოგი რესურსი ილევა და ახალი ჩნდება, ზოგიც (მაგ. ადამიანური) მუდმივ სრულყოფას განიცდის. ამიტომ, სწორედ ადამიანის უნარზეა ამ, ობიექტურად შეზღუდული რესურსების ყაი-

რათიანი გამოყენება, ახლის, ალტერნატიულის აღმოჩენა და გამოყენება.

ეკონომიკაში, რესურსების შეზღუდულობა ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა და ეკონომიკის მთელი ძალისხმევა სწორედ მათი რაციონალური და შორსმჭვრეტელური გამოყენებისკენაა მიმართული და შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის ძირითად ფუნქციას სწორედ ეს მხარე განსაზღვრავს.

5.2. საქონელი

საქონელი ეწოდება ადამიანის შრომის შედეგად შექმნილ, სასარგებლო თვისებების მქონე, გასაყიდად გათვალისწინებულ ნივთებს. იგი ისეთი დოვლათია, რომელიც მიეყიდება ყველა მსურველს, რის შედეგადაც გამყიდველი კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, ხოლო მყიდველი კი ხდება ამ საქონლის მესაკუთრე.

სხვანაირი განმარტებით, საქონელი არის შრომის პროდუქტი, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნილებას და დამზადებულია გასაყიდად (სარეალიზაციოდ).

საქონლად განიხილება თვით მომსახურებაც.

ეკონომიკის მეცნიერება პასუხს სცემს ოთხ მთავარ კითხვას:

1. რა სახისა და მოცულობის საქონელი ვაწარმოოთ, რა ფორმისა და მასშტაბით მომსახურება შევარჩიოთ?
2. როგორ ვაწარმოოთ საქონელი და როგორ ავაგოთ მომსახურება?
3. ვისთვის ვაწარმოოთ საქონელი და ვისთვის, ან რისთვის გავწიოთ მომსახურება?
4. რის საფუძველზე, როგორ და რა მექანიზმით გავანაწილოთ წარმოებული საქონელი და გაწეული მომსახურება?

მიჩნეულია, რომ ეკონომიკურ ეპოქებს განასხვავებენ არა იმდენად იმით, თუ რა იწარმოება, არამედ იმით, თუ რით, წარმოების რანაირი იარაღებით იწარმოება.

მომსახურების ხასიათის გათვალისწინებით საქონელი იყოფა ორ დიდ ჯგუფად–**სამომხმარებლო:** ყოველდღიური მოთხოვნილების (საარეცხი საშუალებები, ჩაი და ა.შ.), მუდმივი მოთხოვნის (პური, მარილი და ა.შ.), იმპულსური მოთხოვნის (გამოფენილია ხალხმრავალ ადგილებში); სასწრაფო შეძენის (კინოზე დასასწრები ბილეთი, წამალი); წინასწარი შერჩევის (ავეჯი, ავტომანქანა), განსაკუთრებული მოთხოვნის (ფუფუნების საგნები), პასიური მოთხოვნის (ახალი, უცნობი საქონელი, დაზღვევა) და **საწარმოო** დანიშნულების (წარმოების საგნები, ძირითადი და დამხმარე მოწყობილობები, დამხმარე მასალები და მომსახურება) საქონლად.

5.3. ეკონომიკური ეფექტიანობა

ეფექტიანობა არის საზოგადოების თვისება, მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგებს არსებული შეზღუდული რესურსებიდან. წარმოების ეფექტიანობა ზოგადი კატეგორიაა და მოიცავს: ტექნიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ტექნიკური ეფექტიანობა მანქანა-იარაღების, მოწყობილობების, ქიმიური საშუალებების გამოყენების ეფექტიანობას გვიჩვენებს;

სოციალური ეფექტიანობა უკავშირდება საზოგადოების განვითარების სოციალურ პროცესებს. მაგ. მეცნიერულ-ტექნიკური სიახლის დანერგვა ამსუბუქებს შრომას და ა.შ.

ეკონომიკური ეფექტიანობა რესურსების გამოყენების შედეგიანობაა და გამოიხატება რაოდენობრივ (ძირითადად ფულად) პარამეტრებში.

ეკონომიკური ეფექტიანობა შეფარდებითი სიდიდეა და გამოხატავს წარმოების ესა თუ ის შედეგი თუ რა ოდენობის რესურსის (დანახარჯის) საფუძველზეა მიღებული. მის გასაანგარიშებლად საწარმოს შედეგები უნდა შევუფარდოთ ამ შედეგების მიღებისათვის გაწეულ დანახარჯებს.

5.4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე ბევრს წერენ და დაობენ კიდეც, მაგრამ ყოველთვის როდი განმარტავენ მის არსს სრულყოფილად.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი გულისხმობს ტექნიკის, ტექნოლოგიისა და წარმოების გაძღოლის მეთოდების სრულყოფას, მეცნიერულ-ტექნიკური არსენალის საფუძველზე საწარმოო ძალების განვითარებას. ეს არის რთული, მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მოიცავს ფაქტორებისა და მიმართულებების ფართო კომპლექსს თეორიული და გამოყენებითი პრობლემების მეცნიერულ შესწავლას, მანქანებისა და წარმოების სხვა საშუალებების საცდელი ნიმუშების გამოყვანას, ახალი ტექნიკური საშუალებების მასობრივ წარმოებას, მათ ფართოდ დანერგვას, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას, ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებას, შრომის რესურსების თვისებრივ გაუმჯობესებას, მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

არაიშვიათად მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს აიგივებენ მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან. მათ შორის მჭიდრო კავშირია, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობს. მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს განვითარების ორი ფორმა აქვს–ევოლუციური და რევოლუციური. საწარმოო ძალები ყოველთვის ვითარდება, თანდათანობით ხდება წარმოების ტექნიკის და ტექნოლოგიის და სხვა მხარეების სრულყოფა, მაგრამ ამ პროცესებს დიდი დრო სჭირდება. მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნის თანდათანობითი დაგროვება და წარმოებაში გამოყენება. ეს არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ევოლუციური ფორმა.

ასეთი, თანდათანობითი გაუმჯობესების ბაზაზე მეცნიერებასა და ტექნიკაში თვისებრივი ცვლილებები ხდება. დგება მომენტი, როდესაც არსებული ტექნიკური საშუალებები, მცენარისა თუ ცხოველის ჯიშების შესაძლებლობები ამოიწურება. ძველ საფუძველზე მისი უმნიშვნელო გაუმჯობესება უკვე აღარ იძლევა სასურველ შედეგს, პროგრესს. საჭირო ხდება ახალი ჯიშები, ტექნიკა, ტექნოლოგია და ა.შ., რომლებიც შეესატყვისებიან ახალ მოთხოვნებს, წარმოების ინტენსიური განვითარების ამოცანებს.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანდათანობითი ცვლილებების საფუძველზე ხდება თვისებრივი ნახტომი წარმოების განვითარებაში, რაც უკავშირდება ენერგიის, მასალების, ტექნიკის, ტექნოლოგიის ახალი სახეების გამოჩენას. ეს არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრე-

სის რევოლუციური ფორმა. ამ პროცესს ეწოდება სწორედ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

თანამედროვე ეტაპზე ადგილი აქვს სწორედ თვისებრივ ნახტომს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მათ ურთიერთკავშირში, დაახლოებით. XX საუკუნის 50-იანი წლების შუა რიცხვებიდან სულ უფრო და უფრო ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. ხდება წარმოების ყველა პირობის პრინციპული ცვლილება ნედლეულისა და მასალებისა, შრომის საგნების, ენერგეტიკული ბაზის, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის, მართვის და ა.შ.

ამის შედეგად თვისებრივად იცვლება წარმოების პროცესის ყველა ელემენტი. ენერგეტიკის დარგში მექანიკური ძალა სულ უფრო მეტად დევნის ადამიანისა და პირუტყვის შრომას. ტრადიციული ენერგეტიკული საშუალებები იცვლება ახლით.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალობაზე გარდაიქმნება შრომის იარაღები, თვისებრივად სრულყოფილი ხდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იქმნება ახალი მანქანები, რომლებიც კომპლექსურ სამუშაოებს ასრულებენ, ხდება კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითად მიმართულებებად მიჩნეულია:

- წარმოების ავტომატიზაცია. პრინციპულად ახალი ტექნიკური სისტემების გამოყენება, რომლებიც ცვლიან ადამიანის როლსა და მდგომარეობას წარმოების პროცესში;
- ისეთი ტექნიკის შექმნა და გამოყენება, როგორიცაა ეგმ (ელექტროგამომთვლელი მანქანები) და კომპიუტერი, რის წყალობითაც ინფორმატიკა ტექნოლოგიური პროცესის ახალ რესურსად და ელემენტად გარდაიქმნება;
- ენერგიის ახალი სახეებისა და წყაროების აღმოჩენა და გამოყენება (ატომური, თერმობირთვული, არატრადიციული და სხვ.);
- ბუნებაში აქამდე უცნობი, წინასწარ განსაზღვრული თვისებების შემცველი, მასალების შექმნა და გამოყენება;
- ახალი ტექნოლოგიების აღმოჩენა და გამოყენება (ქიმიური, ბიოლოგიური, ბიოტექნოლოგიური, ლაზერული), რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მკვიდრდება „მაღალ ტექნოლოგიათა“ სახელწოდებით.

5.5. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები

ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგარეო ურთიერთიერთობებს. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები მოიცავს ეროვნულ და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა და მათ კერძო სტრუქტურებს შორის მოქმედ საწარმოო, კომერციული, საფინანსო-საკრედიტო, საინფორმაციო, საინვესტიციო და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობებს.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიო ეკონომიკის (მეურნეობის), როგორც ერთიანი სივრცის განვითარების განმსაზღვრელია.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა ფორმით ვითარდება და ეყრდნობა ამა თუ იმ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ დარგობრივ სტრუქტურას. ამა თუ იმ საქონლის წარმოების მასშტაბებსა და პერსპექტივებს.

ამ ურთიერთობათა ძირითადი ფორმებია:

- საერთაშორისო ვაჭრობა და მომსახურეობა;
- კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია;
- სამუშაო ძალის საერთაშორისო მოგრაცია;
- საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიართობები;
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გატანა.

5.6. პროგნოზირება და მოდელირება

ეკონომიკაში, განსაკუთრებით მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგნოზირებას. იგი, კვლევის საკმაოდ რთული უბანია და დიდ დახელოვნებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს.

პროგნოზი რაიმე მოვლენის განვითარებასა და შედეგების წინასწარ განჭვრეტას, წინასწარხედვას ნიშნავს. იგი გულისხმობს მომავალში ობიექტის შესაძლო განვითარების მეცნიერულად დასაბუთებულ განჭვრეტას, ობიექტის გარკვეული მდგომარეობის მიღწევას, ალტერნატიული გზების დასახვას (წინასწარმეტყველებას).

პროგნოზირების დროს, ერთის მხრივ გათვალისწინებული უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, შეფასებული უნდა იყოს არსებული მდგომარეობა, რესურსები და მეორეს მხრივ–გათვალისწინებული უნდა იყოს მომავლის სტრატეგია, სწრაფად ცვალებადი ამოსავალი მოთხოვნების, მოტივაციების, შესაძლებლობების, პოტენციალის და ა.შ. პირობებში.

პროგნოზი შეიძლება იყოს:

1. მეცნიერულ-ტექნიკური;
2. სოციალური;
3. ბუნებრივი რესურსების;
4. სამხედრო-სტრატეგიული;
5. რეგიონული;
6. დარგობრივი;
7. საგარეო-ეკონომიკური და ა.შ.

პროგნოზი შეიძლება იყოს: მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი.

პროგნოზირებისათვის მრავალი (100-ზე მეტი) მეთოდი არსებობს. ისინი შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:

1. ექსტრაპოლაციის;
2. ექსპერტული შეფასების;
3. მოდელირების.

დარგობრივი პროგნოზების გაანგარიშებისას მიზანშეწონილია ორი მეთოდიკური მიდგომის: ნორმატიულ-მიზნობრივის და საძიებოს ერთმანეთთან შეხამება.

პროგნოზირებაში ფართოდ გამოიყენება ექსტრაპოლაციისა და ექსპერტული შეფასების მეთოდები. ექსტრაპოლაციის მეთოდი ნიშნავს მომავალში იგივე ტენდენციების დაცვას (შენარჩუნებას), რაც ჩამოყალიბებულია ამჟამად. ექსპერტული შეფასების მეთოდი კი გუ-

ლისხმობს საკვლევი (საპროგნოზო ობიექტის ირგვლივ წამყვანი სპეციალისტებისა და მეცნიერების მოსაზრებათა ანალიზს, შეფასებასა და გათვალისწინებას. ეს მეთოდი უნდა გამოვიყენოთ მაშინ, როცა საკმარისი არ არის ინფორმაცია, ან შეზღუდულია პროგნოზირების სხვა მეთოდების გამოყენება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოდელირების მეთოდს. ეკონომისტების მიერ შემუშავებულია პროგნოზირების რთული, მრავალსაფეხურიანი მოდელირების სისტემა, რომელიც მოიცავს ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების დიდ რაოდენობას–როგორც ნატურალურს, ისე ღირებულებითს, როგორც გლობალურს, ისე დარგობრივს. მოდელების ეს სისტემა საშუალებას იძლევა ჩავატაროთ მრავალფაქტორული ანალიზი და მივი-ღოთ მრავალვარიანტიანი გადაწყვეტები.

<u>მოდელი</u> ნიშნავს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების მათემატიკურ ფორმალიზაციას, რის საფუძველზეც ვლინდება რეალობის შესაბამისი ახალი ეკონომიკური კანონზომიერებანი.

მაგალითად, სასურსათო უსაფრთხოების ამოცანის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების მოდელირება. მისი აქტუალობა, დიდი მნიშვნელობა და გადაუდებელი საჭიროება გამომდინარეობს იქედან, რომ ამოცანის გადაჭრამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერულად დასაბუთებული, გამართული და პერსპექტივისათვის გამიზნული ეკონომიკური მექანიზმის სრულიად ახალი, პროგრამული მოდელის შექმნას და მის სისტემურ სრულყოფას, რასაც ამჟამადაც და უახლოეს წელშიც დიდი სახელმწიფოებრივი და სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მნიშვნელოვანი პრობლემის რეალიზაციისათვის აუცილებელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

– ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების და ტერიტორიული გაადგილების პრინციპების შესწავლა და საბაზრო ეკონომიკის პირობების გათვალისწინებით ახლებური მიდგომების დამუშავება;

– სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და ახალ პირობებში მისი განვითარების პერსპექტივები და სხვა;

– ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა;

– იმ პრიორიტეტული დარგების გამოყოფა, რომელთა განვითარებაც უნდა იყოს ქვეყნისათვის სტრატეგიული, საბაზრო ეკონომიკის პირობებში:

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ მოცულობების განსაზღვრა, რომელთა წარმოებაც ამ რაოდენობით ქვეყნისათვის მომგებიანია:

– საიმპორტო-საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციათა მოცულობების დადგენა;

– სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმ მოცულობის განსაზღვრა, რომელთა წარმოებაც აუცილებელია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისათვის;

– გადამმუშავებელი მრეწველობის იმ დარგების გამოვლენა, რომელიც აფერხებენ ამა თუ იმ დარგების განვითარებას და რომელთა გასაფართოებლადაც საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა.

ამოცანის გადაწყვეტისათვის საჭიროა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის აგება;
2. საწყისი ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
3. პერსონალურ კომპიუტერზე ოპტიმალური სტრატეგიის გათვლა;
4. ეკონომიკური ეფექტიანობის გათვლა და დასაბუთება.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შედგება მიზნის ფუნქციისა (ეფექტიანობის კრიტერიუმი) და შეზღუდვებისაგან. შეზღუდვები, სოფლის მეურნეობაში არსებული ეკონომიკურ პირობებსა და შესაძლებლობებს ასახავს, ხოლო კრიტერიუმებად აღებულ უნდა იქნას მოგების მაქსიმუმი, საერთო პროდუქციის მაქსიმუმი, სასაქონლო პროდუქციის მაქსიმუმი, დანახარჯების მინიმუმი და სხვა.

ძირითადი შეზღუდვები შემდეგი სახისაა:

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალანსი;
2. სახნავი მიწის ფართობთა ბალანსი;
3. სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის ბალანსი;
4. მეცხოველეობის საკვები ბაზის ბალანსი;
5. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ქვეყნის მო-სახლეობის მოთხოვნილებათა ბალანსი;
6. გადამმუშავებელი საწარმოების სიმძლავრეთა ბა-ლანსი;
7. ბაზრის მოთხოვნათა ბალანსი;
8. საექსპორტო-საიმპორტო მოცულობათა ბალანსი.

5.7. ბაზრის სეგმენტაცია

ბაზრის ერთიანი სისტემა მოიცავს ქვესისტემებს, სხვანაირად მას ბაზრის სეგმენტებს (ნაწილებს) უწოდებენ. სეგმენტური დანაწილება მარკეტინგის მაღალი დონისთვისაა დამახასიათებელი და იგი სისტემურ და კომპლექსურ გადაწყვეტილებებს მოითხოვს.

გასაღების ბაზრის შესარჩევად გამოიყენება სამი ალტერნატიული მიდგომა:

1. მასობრივი მარკეტინგი (არ ხდება ბაზრის სეგმენტებად დაყოფა);
2. კონცენტრირებული-მიზნობრივი მარკეტინგი ანუ ბაზრის მარტივი სეგმენტაცია;
3. დიფერენცირებული მარკეტინგი ანუ მრავლობითი სეგმენტაცია.

მასობრივი მარკეტინგი მისი საწყისი და მარტივი ფორმაა, როცა გამსაღებელი თვითონ ახორციელებს საქონლის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ოპერაციებს (საქონლის ასორტიმენტის დაგეგმვა, ფასების განსაზღვრა, განაწილება, გასაღების სტიმულირება, რეკლამა). ასეთი მარკეტინგი გვხვდება იმ დროს, როცა ამა თუ იმ საქონელზე არ არსებობს კონკურენცია. მარკეტინგის ეს ფორმა ფაქტიურად გამყიდველის ბაზარია.

მსხვილმასშტაბური მარკეტინგისათვის დამახასიათებელია მრავალჯერდი სეგმენტაცია, რომლის დროსაც ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული გასაღებისა და მოგების მაქსიმიზაციის პრინციპი. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სეგმენტების სწორად შერჩევას და თითოეულ მათგანში მორგებული ფასების დადგენას.

ბაზრის სეგმენტის ცნებას თუ განვმარტავთ, იგი გულისხობს მომხმარებელთა მთლიანი რაოდენობიდან გარკვეული ნიშნის მიხედვით გამოცალკევებულ ჯგუფს, ხოლო სეგმენტაცია ნიშნავს ბაზრის დაყოფას მომხმარებელთა მკვეთრად შერჩეულ ჯგუფებად.

ბაზრის სეგმენტები განსხვავდებიან შემდეგი ნიშნებით:

- რეგიონული (ტერიტორიული);
- დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ოჯახი, განათლება, კულტურა, შემოსავლის დონე და სხვ.);
- პიროვნული თავისებურებები და ცხოვრების სტილი (ფულის უხვად მხარჯველნი, ზომიერად მხარჯველნი, ხელმომჭირნედ მხარჯველნი–თანაბარი შემოსავლის პირობებში, ამა თუ იმ საქონელზე მიდრეკილება, საქონელში უპირატესობისა და სარგებლის ძიება და სხვ.);

შეიძლება კიდევ გამოიყოს სეგმენტები: საქონლის ღირებულების მიხედვით (მომხმარებლის სურვილის გათვალისწინებით), მომხმარებელთა ქცევისა და დამოკიდებულების გათვალისწინებით, ეთნიკური ნიშნითა და სარწმუნოების მიხედვით.

ფირმის მიერ მიზნობრივი სეგმენტის ათვისების დონეს განაპირობებს ბაზარზე საკუთარი საქონლისათვის ადგილის სწორად შერჩევა ანუ პოზიციის სწორად განსაზღვრა

5.8. კონკურენცია

ამერიკული სტანდარტების მიხედვით კონკურენცია იყოფა წმინდა კონკურენციად და მეტოქეობად. წმინდა კონკურენცია აღინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ანალოგიური პროდუქტების წარმოებას ან მომსახურებას. კონკურენციის ამ ფორმას, როგორც წესი, თვით მეწარმეები არეგულირებენ და არა სახელმწიფო.

წმინდა კონკურენციის დროს ფირმები ერთმანეთთან არავითარ კონტაქტში არ იმყოფებიან და თავისუფლად იბრძვიან ბაზარზე მომხმარებლის მოპოვებისათვის.

კონკურენციის ძირითადი სახეებია:

1. ფუნქციონალური–წარმოიშობა იმის გამო, რომ ერთი და იგივე მოთხოვნილება შეიძლება დაკმაყოფილდეს სხვადასხვა საშუალებებით (წიგნები, სპორტსაქონელი, მანქანები და სხვ.);
2. გარეგნულ-სახური–წარმოიშობა სხვადასხვა ფირმის ან ერთი ფირმის მიერ სხვადასხვანაირად გაფორმებული ანალოგიური საქონლის გამოშვებით;
3. საგნობრივი–როგორც წესი წარმოიშობა სხვადასხვა ფირმის ანალოგიურ საქონელს შორის;
4. ფასობრივი–წარმოიშობა საქონელზე ფასების ცვლილების გზით. იაპონელი ახალ ბაზარზე გასვლისას ხშირად 10%-ით ამცირებს საქონლის ფასს. ამასთან, ფირმას უნდა ჰქონდეს ფასის რეზერვი მისი შემცირებისათვის;
5. ფარული ფასობრივი–წარმოიშობა მაშინ, როდესაც უფრო მაღალი ხარისხის საქონელი იყიდება იმავე ფასში, რა ფასებშიც იყიდება კონკურენტის საქონელი;
6. არაკანონიერი მეთოდები–ეს არის: იმიტატორების მიერ შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ანუ პროდუქციის წაბაძვა (ადგილი ჰქონდა ჰონკონგში, მაროკოში); ეკონომიკური და სამრეწველო ჯაშუშობა; მომხმარებლების მოტყუება; მაქინაციები საქმიან ანგარიშებში, კორუფცია, სპეციალისტების გადაბირება; მეთოდების, ფორმების, პროგრამების მითვისება და ა.შ.

5.9. გადასახადების არსი და ფუნქციები

გადასახადი არის ეკონომიკური ბერკეტი, რომლითაც სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს საბაზრო ურთიერთობებზე. იგი ფინანსების შევსების მნიშვნელოვანი წყაროა.

გადასახადებს გააჩნია ორმაგი ბუნება:

- გამოდის წარმოებით ურთიერთობათა სპეციფიკურ ფორმად;
- წარმოადგენს ეროვნული შემოსავლის ნაწილს, ფულად ფორმაში.

გადასახადებს ორი ძირითადი ფუნქცია გააჩნია:

1. ფისკალური ფუნქცია–ამის მეშვეობით წარმოიშობა სახელმწიფოს ფულადი ფონდები და იქმნება მატერიალური პირობები მისი ფუნქციონირებისათვის;
2. მარეგულირებელი ფუნქცია–მონაწილეობენ ეროვნული შემოსავლის განაწილების პროცესში და ასტიმულირებენ ან ანელებენ მის ტემპებს, აძლიერებენ ან ასუსტებენ კაპიტალის დაგროვებას, აფართოებენ ან ამცირებენ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას.

საგადასახადო კოდექსის მიხედვით, გადასახადი არის ბიუჯეტებსა და სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში სავლდებულო შენატანი, რომელსაც იხდის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

5.10. გადასახადის სახეები

გადასახადის სახეებია:

I. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები:

1. საშემოსავლო;
2. მოგების;
3. დამატებული ღირებულების (დღგ);
4. აქციზი (არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას, მის ფასთან ერთად);
5. ქონების;
6. მიწის (დიფერენცირებულია ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით, თითოეული ჰექტარის მიხედვით-მაგ. 17, 33, 57 ლარი);
7. ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა;
8. ქონების გადაცემისათვის;
9. სოციალური;
10. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის;
11. მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის;
12. ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსავლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის.

II. ადგილობრივი გადასახადები:

1. ეკონომიკური საქმიანობისათვის;
2. სათამაშო ბიზნესის;
3. საკურორტო;
4. სასტუმროს;
5. რეკლამის;
6. ადგილობრივი სიმბოლიკის გამოყენებისათვის.

5.11. იპოთეკა

სესხი აღებული უძრავი ქონების დაგირავებით. დაგირავებული უძრავი ქონება.

იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება-ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი.

სესხის პირობები ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მომხმარებლის შემოსავალზე, მის საკრედიტო ისტორიაზე და შესაძენი ქონების ღირებულებაზე. იპოთეკური სესხის აღება შესაძლებელია, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 8%-იდან იწყება, სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა კი 180 თვე, ანუ 15 წელია.

იპოთეკური სესხის სარგებლობისას უნდა გავითვალისწინოთ ის დამატებითი დანახარჯები, რომელიც თან ახლავს:

- სესხის გაცემის საკომისიოსაპროცენტო განაკვეთი;
- საჯარო რეესტრის ან ნოტარიუსის ხარჯი;
- სესხის წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლო მაქს. 2%;
- უძრავი ქონების და მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის ღირებულება.

იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენ მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

სესხის დაფარვის გრაფიკი და საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე: კრედიტის მოცულობა, მსესხებლის შემოსავალი და მისი სტაბილურობა და სხვა.

იპოთეკის ხელშეკრულება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

იპოთეკა (ძვ. ბერძნ. ὑποθήκη),), იპოთეკური სესხი–კრედიტი უძრავი ქონების თავდებით. როგორც წესი გაიცემა ბანკის მიერ, თუმცა კრედიტორი შეიძლება გახდეს ასევე ნებისმიერი სხვა სამართლებრივი პირი. იპოთეკური კრედიტის ამღები საკუთარ ვალდებულებას კრედიტის დაფარვაზე მისი კუთვნილი უძრავი ქონების თავდებად ჩადებით უზრუნველყოფს.

იპოთეკური კრედიტი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ,

ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება-ბინა, სახლი, აგარაკი, მიწის ნაკვეთი. იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენს მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

საქართველოში და რიგ სხვა ქვეყნებში ტერმინი „იპოთეკა" ნიშნავს ბანკისგან კრედიტის მიღებას უძრავი ქონების შესასყიდად (მაგ. ბინის ან სახლის). ინგლისურში ამ სახის კრედიტისთვის არსებობს სპეციალური ტერმინი "mortgage". ანუ, ამ კატეგორიაში არ ხვდება სესხი სხვა მიზნობრივი დანიშნულებით, რომელსაც თავდებით უძრავი ქონება ედება.

ტერმინი „იპოთეკა" პირველად საბერძნეთში გაჩნდა ჩვ. წ. VI ს-ში. ბერძნები ასე აღნიშნავდნენ მოვალის პასუხისმგებლობას კრედიტორის წინაშე საკუთარი მიწით. მსესხებლის მიწის ნაკვეთის საზღვარზე სვამდენ ბოძს წარწერით, რომელიც აღნიშნავდა, რომ ეს მიწა სესხს უზრუნველყოფდა. სწორედ ეს ბოძი იწოდებოდა „იპოთეკად", რომლიც ძველი ბერძნულიდან ნიშნავს „მისადგმელს".

5.12. საბანკო სისტემა

საზოგადოების ან მისი წევრების მიერ მიღებული ფინანსური გადაწყვეტილებები ხორციელდება საფინანსო სისტემის მეშვეობით.

საფინანსო სისტემა მოიცავს:

- აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრებს:
- საფინანსო შუამავლებს (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები);
- საფინანსო მომსახურების ფირმებს და ყველა ამ დაწესებულების მარეგულირებელ ორგანოებს.

საფინანსო სისტემის მთავარი ფუნქციაა ფინანსური რესურსების ეფექტიანი განაწილება.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო სისტემა იყოფა სამ ძირითად სფეროდ:

1. სახელმწიფო ფინანსები:
2. სამეურნეო სუბიექტების ფინანსები:
3. საოჯახო მეურნეობის ფინანსები:

საქართველოს საფინანსო სისტემა მოიცავს შემდეგ რგოლებს:

1. სახლმწიფო საბიუჯეტო სისტემა:
2. სპეციალური ბიუჯეტგარეშე ფონდები:
3. სახელმწიფო კრედიტი:
4. ქონებრივი და პირადი დაზღვევის ფონდები:
5. საკუთრების სხვადასხა ფორმების საწარმოთა ფინანსები.

საქართველოს საბიუჯეტო სისტემა მოიცავს: საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტს, ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებს, სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს.

საფინანსო სისტემის ფუნქციების რეალიზაციის შედეგად ფორმირდება სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა, რომლის მთავარი ამოცანაა, ის რომ ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნას სახელმწიფოს ეკონომიკური და სოცი-ალური განვითარების პროგრამები.

ქვეყნის ფინანსური პოლიტიკა ხორციელდება ფინანსური მექანიზმით, რომელიც იმ ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რისი მეშვეობითაც უზრუნველყოფილია: განაწილებითი და გადანაწლე-ბითი ურთიერთობანი: შემოსავლებისა და დაგროვების შექნა: ფულადი საშუალებების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების შექმნა-გამოყენება.

6. რეკომენდაცია
Recommendation

დმანისის რაიონის აგრარული სექტორის ტენდენციები, მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი და რეკომენდაციები

ომარ ქეშელაშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

დმანისის რაიონი, რომელიც ზღვის დონიდან 720-3100 მ-ზე მდებარეობს, საქართველოში, სოფლის მეურნეობის გამოკვეთილი სპეციალიზაციისა და მისი გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ-დამკვიდრებული ტრადიციების რაიონია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს თავისთავადობას და საკუთარი იმიჯი გააჩნია.

XX საუკუნის 30-იანი და განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოს ზოგიერთმა რაიონმა, უპირატესად გურიისა და სამეგრელოს, აგრეთვე აჭარის რაიონებმა თუ ზოგიერთ შემთხვევაში რადიკალური ცვლილებები განიცადა სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის თვალსაზრისით, დმანისის რაიონი ამ მხრივ სტაბილურობითა და მდგრადობით გამოირჩევა.

დმანისის რაიონი, საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონალობის მიხედვით შედის სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონაში (VI ზონა) და მისი სოფლის მეურნეობის განვითარება თავისებური ტენდენციებით ხასიათდება. აღნიშნულ ზონაში, დმანისის რაიონთან ერთად გაერთიანებულია: წალკის, ნინოწმინდის, ახალქალაქის, ახალციხის, ადიგენისა და ბორჯომის რაიონები.

რაიონში მოსახლეობის 80-85% სოფლად მუშაობს. გვხვდება ძირითადად ოჯახური და ფერმერული მეურნეობები-0,30-1,25 ჰა-მდე ფართობით.

რაიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სახნავი 14,0 %-ს იკავებს, მრავალწლიანი ნარგაობა 1.1 %, სათიბი-15,6%, საძოვარი-69.1 %.

მთელ ნათეს ფართობში ხორბალი იკავებს 27,4%, ქერი-2,7%, სიმინდი-13,0%, კარტოფილი-40,9%, ბოსტნეული და დანარჩენი ერთწლიანი კულტურები-15,1%, აქედან ლობიო-2,7%.

ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებიდან მოჰყავთ: პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ნიორი, ხახვი, სტაფილო, გოგრა, მწვანილეული. პერსპექტიულია საადრეო კარტოფილის წარმოებაც, რაც გაპირობებულია იმ გარემოებით, რომ დმანისის რაიონი, ზონის სხვა რაიონებისაგან განსხვავებით ახლოსაა თბილისის საგარეუბნო ზონასთან.

შეიმჩნევა (მთელი საქართველოს მასშტაბით) ის ტენდენცია, რომ ბოლო პერიოდში, იზრდება სახნავი მიწების ფართობი, მრავალწლიანი ნარგაობისა კი რამდენადმე მცირდება. აღინიშნება სათიბ-საძოვრების ზრდაც.

ეს მონაცემები, მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არაეფექტურ და არაინტენსიურ გამოყენებაზე. ინტენსიური სავარგულების დაბალინტენსიურში გადაყვანა აიხსნება იმით, რომ მიწის მესაკუთრეების უმეტესობა არ, ანდა ვერ ამუშავებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, რის გამოც ის გადადის სათიბ-საძოვრების კატეგორიაში. ვფიქრობთ, რომ საქართველოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს გარკვეულ სანქციებს ამ თვალსაზრისით, რამეთუ ერო-ვნული ეკონომიკის 17-18% პირდაპირ არის დამოკიდებული აგრარულ ბაზარზე.

ნათესი ფართობის რეგიონალიზაცია საშუალებას იძლევა შევამჩნიოთ შემდეგი ტენდენციები და კანონზომიერებები: აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონების ნათესი ფართობი უპირატესად დაკავებულია საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეულით, სიმინდით (კახეთი, ქვემო ქართლი), ლობიოთი და სხვა პარკოსანი კულტურებით (შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანე-თი), კარტოფილით (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, მ.შ. დმანისის რაიონი), ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებით (მეტ-ნაკლებად ყველგან), საკვები კულტურებით (უპირატესად ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, მ.შ დმანისის რაიონი).

სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სტრუქტურის ასეთი სურათი უპირატესად მარკეტინგული სიტუაციებით უნდა აიხსნას, რაც გამოიხატება საშინაო და საგარეო საბაზრო სეგმენტების სიმცირესა და მისი გაჯერების ნაკლებ შესაძლებლობებში, აგრეთვე, სარეალიზაციო

ფასების დაურეგულირებლობაში, სახელმწიფოს მხრიდან, შესაბამისად მრავალწლიანი კულტურების პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დაბალ დონეში. ამას ემატება მწირი საწარმოო-რესურსული (უპირატესად მატერიალურ-ტექნიკური) ბაზა და შეფერხებები ინტენსიფიკაციის ფაქტორების გამოყენების მიმართულებით. ამის გამო, უკანასკნელ წლები, დმანისის რაიონში, დამუშავებაში მყოფ მიწებზე გაანგარიშებით სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი 3,5% ით შემცირდა, მაშინ როცა, მაგალითად ქვემო ქართლში 22,1% ით გაიზარდა.

ამის შესაბამისად, დმანისის რაიონში (ზონის გასაშულებული მონაცემების მიხედვით): სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მემცენარეობა 52,6% იკავებს, მ.შ. მემარცვლეობა-4,9%, მებოსტნეობა და მებაღჩეობა-7,3%, მეკარტოფილეობა-33,2%, მეხილეობა-6,9%, მეცხოველეობის წილად მოდის 47,4%, მ.შ. მესაქონლეობის წილად-41,8%, მეღორეობისა-1,8%, მეფრინველეობისა-1,1%, მეცხვარეობისა-0,5%.

პროგნოზული გაანგარიშებებით, თვალსაწიერ პერსპექტივში ძირითადად შენარჩუნებული იქნება აღნიშნული პროპორცია: მემცენარეობის წილად მოვა 50,7% მ.შ. მემარცვლეობა დაიკავებს 8,8%, მებოსტნეობა და მებაღჩეობა-5,5,%, მეკარტოფილეობა-29,6%, მეხილეობა–3,0%, მეცხოველობის წილად მოვა 49,3%, მ.შ. მესაქონლეობის წილად-39,4%, მეღორეობისა-2,7%, მეცხვარეობისა-2,2,%, მეფრინველეობისა-4,1%.

როგორც ჩანს, დმანისის რაიონი სასოფლო-სამეურნეო საწარმოო სპეციალიზაციის მკვეთრად გამოხატული მაღალი დონის რაიონია. აქ, სოფლის მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურას უპირატესად 2 ქვედარგი განსაზღვრავს-მსხვილფეხა-რქოსანი მესაქონლეობა და მეკარტოფილეობა და საქართველოს სხვა ზონებისა და რაიონებისაგან ამ სპეციფიკით გამოირჩევა.

მეცხოველობის დარგში შეიმჩნევა ის ტენდენცია, რომ უკანასკნელ წლებში იზრდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და ფუტკრის ოჯახების რაოდენობა, ხოლო მცირდება ღორის, ცხვრისა და ფრინველის სულადობა. ამჟამად მსხვიფეხა-რქოსანი პირუტყვის სულადობა შეადგენს 22700 სულს, ცხვრისა და თხისა-29500 სულს, ღორისა-2750 სულს, ფრინველისა 50000 ფრთას, ფუტკრისა-3700 ოჯახს. მეფუტკრეობას მთელ რაიონში 321 ოჯახი მისდევს.

დმანისის რაიონი განთქმულია შვეიცარიული ყველის წარმოებით, რასაც ხელს უწყობს ალპური საძოვრების დიდი მასივები. მისდევენ ცხვრის ყველის წარმოებასაც.

პრონოზული გაანგარიშებებით (ზონის გასაშუალებული პარამეტრებით), თვალსაწიერ პერსპექტივში, მსხვიფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზრდება 82,3%-ით, ცხვრისა-216,1%-ით, ფრინველისა-166,1%-ით, ხორცის მთლიან წარმოებაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცის წილი იქნება 59,6%, ღორისა-17,3%, ცხვრისა-10,4%, ფრინველისა-12,0%.

დმანისის რაიონის მაპროფილებელი დარგის-მეცხოველეობის განვითრებისათვის, რომელიც ძირითადად საძოვრულ კვებაზეა ორიენტირებული, დიდი მნიშვნელობა აქვს სათიბ-საძოვრების რაციონალურ ექსპლოატაციას, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში 84,7 % იკავებს.

ბალახნარის საერთო დაფარულობა შეადგენს 95-98%-ს. ბალახნარი წარმოდგენილია სამი იარუსით, 1-ლი იარუსის დაფარულობა შეადგენს 22 %-ს, სიმაღლე-45-55 სმ; მე-2 იარუსისა-55 %, სიმაღლე 22 სმ; მე-3 იარუსისა-23%, სიმაღლე 16 სმ. პირველი იარუსი წარმოდგენილია მარცვლოვნებით, ხოლო მეორე და მესამე-პარკოსნებით და ნაირბალახებით. მცენარეულობა ნაირბალახოვან-მარცვლოვანი მდელოა. ნაირბალახოვან-ბრტყელფოთოლა ნამიკრეფიანი სათიბების საშუალო მოსავალი შეადგენს 23,9-34,3 ც/ჰა. ერთ კგ საკვებ ერთეულზე მიიღება 90-104 გრ მონ. პროტეინი.

აღსანიშნავია, რომ ბალახნარის ჭამადობა გაძოვების პირველ ციკლში შეადგენს 85-70%, მეორეში-70-60%, ხოლო მესამეში-80-60%. ბალახნარის მოსავლიანობისა და ვეგეტაციის მანძილზე მოსავლის დინამიკის მონაცემების, ჭამადობის და სხვა მასალებზე დაყრდნობით შედგენილია საძოვართბრუნვის სანიმუშო სქემა, ნაკვეთმორიგეობითი ძოვებით, რომელსაც რეკომენდაცია უნდა მიეცეს. იგი გულისხმობს მაღალი ბონიტეტის საძოვრის გამოყენებას შემდეგი სქემით:

I წელი–სამჯერადი გაძოვება; II წელი–სამჯერადი გაძოვება; III წელი–გვიანი გაძოვება თესლის ცვენის შემდეგ; IV წელი გათიბვა დათავთავების ფაზაში და აქვიტის გაძოვება.

საძოვართბრუნვის მიხედვით: 100 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის საჭიროა 66ჰა საძოვარი, რომელიც დაიყოფა 4 მინდვრად და 24 ნაკვეთად, თითოეული მინდორში 6-6 ნაკვეთია თითოეული ნაკვეთის ფართობი შეადგენს 2,75 ჰა. საძოვრის ფართობის გაანგარიშებისას მიზანშეწონილია მიღებული ფართობი გაიზა-

რდოს 15-20%-ით, არახელსაყრელი ამინ-დის გამო ბალახის მოსავლის შემცირების შემთხვევასთან დაკავშირებით (სადაზღვეო ფონდი).

ირკვევა, რომ მძიმე ეკონომიკური პირობების და გარანტირებული სასურსათო ბაზრის არ არსებობის გამო, მთელ საქართველოში, მ.შ. დამანისის რაიონში (რასაც ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიც უწყოფს ხელს) მოსახლეობა უპირატესობას ისეთი სასურსათო პროდუქციის წარმოებას ანიჭებს, როგორიცაა მეცხოველეობის პროდუქტები, მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა.

როგორც ჩანს და როგორც მოსალოდნელი იყო, სამცხე-ჯავახეთის სამთო მეცხოველეობისა და მეკარტოფილეობის ზონა (რომელშიც დიდი ადგილი უკავია დმანისის რაიონს) კარტოფილისა და მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ხორცის წარმოებით გამოირჩევა.

ირკვევა, რომ საქართველოში წარმოებული მთლიანი რაოდენობიდან, ამ რეგიონის წილად (მ.შ. პროპორციულად დმანისის მიხედვითაც) კარტოფილის მიხედვით მოდის 55,5%, მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ხორცის მიხედვით კი 11,2%.

დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის, როგორც ამჟამად, ისე მომავალშიც პრიორიტეტი უნდა მიეცეს: სამთო, მსხვილფეხა-რქოსან მესაქონლეობას, მეკარტოფილეობას (მ.შ. საადრეო), რომელთანაც შეთანაწყობილი უნდა იქნას: მემარცვლეობა (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ტრიტიკალე, ლობიო) მებოსტნეობა-მებაღჩეობა, მეხილეობა (ზონალურად სპეციფიკური დარგი, პრიორიტეტულია კენკროვანი კულტურების პროდუქციალურჯი მოცვი, ასკილი, ჟოლო, მაყვალი), მეღორეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. დიდი შესაძლებლობები არსებობს მეთევზეობის განვითარებისათვის (ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს სოფ. იაღუფლოს, სოფ. მთისძირის, სოფ. ხორხორის წყალსაცავები (მთლიანი ფართობია 282,5ჰა) აგრეთვე სოფ. გომარეთის, სოფ. განახლების. სოფ. პანტიანის ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი ტბები (მთლიანი ფართობია 122ჰა).

საჭიროა შეიქმნას ხორცისა და რძის გადამმუშავებელი საწარმოების ქსელი.

დადგენილ ფორმულირებად უნდა მივიღოთ ის მოთხოვნა და ეკონომიკური პოზიცია, რომ საწარმოო სპეციალიზაციის მოდელს თვით ბუნება და დარგის გაძღოლის დამკვიდრებული ტრადიციები გვკარნახობს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკარტოფილე ფართობები უნდა დაიკავოს კარტოფილის კულტურამ, სახეხილე-ხეხილოვანმა

კოლტურებმა, სახორბლე-ხორბალმა, სასიმინდე-სიმინდმა, საბოსტნე-ბოსტნეულმა კულტურებმა და ა.შ.

დმანისის რაიონისათვის ეს მიმართულებები გარკვეულია და რეკომენდაციაც ასეთ მიდგომას უნდა მივცეთ, სადაც მესაქონლეობის უპირატეს განვითარებას განაპირობებს და ხელს უწყობს სათიბ-საძოვრებით სიმდიდრე (მ.შ. ალპურ ზონაში), მეკარტოფილეობის განვითარებას კი სპეციფიკური ნიადაგურ-კლიმატური პირობები. რაიონში ძირითადად გვხდება ტიპიური შავმიწები, მთის შავმიწები, ყომრალი და ყავისფერი ნიადაგები, რომელთგან შავმიწები საუკეთესი პირობებს ქმნის კარტოფილის მოსაყვანად.

მეცნიერული დასკვნაა და ეს პრაქტიკამაც დაადასტურა, რომ ყველგან, განსაკუთრებით კი იქ, სადაც სათიბ-საძოვრები დიდ ფართობზეა წარმოდგენილი, მემცენარეობის დარგებთან მეტ-ნაკლებად შეთანაწყობილი პროპორციით უნდა განვითარდეს მეცხოველეობის, რაიონის პირობებისათვის მორგებული და მიზანშეწონილი დარგები. ეს აუცილებელია სოფლის მეურნეობის ერთიანი, მთლიანი ციკლის შესაკვრელად, რომელშიც ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული მემცენარეობისა და მეცხოველეობის ბიოტექნოლოგიური ინტერესები, მოთხოვნები და განვითარების შესაძლებლობები.

კონკრეტულად, საქართველოს რელიეფური და ჰიფსომეტრიული სარტყლების განფენილობის გამო ყველგან გვხვდება სათიბ-საძოვრები, რომელსაც მხოლოდ მეცხოველეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებით ვითვისებთ. ამას გარდა, ყველა სასოფლო-სამეურნეო სავარგულს სჭირდება განოყიერება, რის საშუალებასაც გვიფართოებს მეცხოველეობის მიერ მოწოდებული ორგანული სასუქები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ სოფლის მეურნეობაში, როგორც განსაკუთრებულად სპეციფიკურ დარგში, ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის საწარმოო ციკლის სეზონურობას, მ.შ. საწარმოო-რესურსული პოტენციალის და სამუშაო ძალის გამოყენების თვალსაზრისით, რისი რეგულირებაც მიიღწევა მხოლოდ მემცენარეობისა და მეცხოველეობის ინტეგრაციის, ერთმანეთთან შეწონასწორებული განვითარებით. ეს, იმასაც ადასტურებს, რომ ყველა რაიონს უნდა გააჩნდეს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი თვითგარანტია, რაც მემცენარეობისა და მეცხოველეობის ურთიერთრეგულირებული და შეთანაწყობილი განვითარებით მიიღწევა.

აი, ასეთია ერთ-ერთი ეკონომიკურ-ორგანიზაციული ხასიათის რეკომენდაცია დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობის მდგრადი, უსაფრთხო და სტაბილური განვითარებისათვის.

ასევე, რეკომენდაცია უნდა მიეცეს შემდეგ პოზიციებს:

- გადაიყვანეთ წარმოება თანამედროვე, უნარჩენო ტექნოლოგიებზე, რამეთუ წარმოების ტექნოლოგიური სრულყოფა ყველა სხვა პირობასა და მოთხოვნაზე უპირატესია;
- მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენეთ არსებული და ახლად შესაქმნელი საწარმოო-რესურსული პოტენციალი, მ.შ. მიწის, ძირითადი საწარმოო ფობდების, მატერიალურ-ტექნიკური, შრომითი რესურსები და სხვა;
- მიაღწიეთ იმას, რომ შექმნათ ე.წ. „საკუთარი" საბაზრო სეგმენტი და ეცადოთ მისი გაჯერების სტაბილურობას, სწორად მოფიქრებული სარეალიზაციო ფასების მეშვეობით;
- აუცილებლად გაამტკიცეთ საწარმოო ინფრსტრუქტურა, ანუ მომსახურების სფერო-აგროტექსერვისი, რასაც თვით ძირითად წარმოებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს;
- გააფართოეთ სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ინტეგრაცია. ამ გზით გადახვალთ უნარჩენო ან ნაკლებ ნარჩენიან ტექნოლოგიაზე;
- დროის აუცილებელი მოთხოვნაა, რომ ფერმერებმა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა კადრებმა აიმაღლონ კვალიფიკაციის, ანუ ცოდნისა და განათლების დონე, რომლის გარეშეც დიდ მარკეტინგულ მარცხს წააწყდებიან. ამისათვის საჭიროა მჭიდრო კავშირი მეცნიერებთან;
- შეადგინეთ მეურნეობის განვითარების ტექნოლოგიურად და ეკონომიკურად დასაბუთებულ-შეჯერებული პერსპექტიული პროგრამა (პროგნოზი) და გამოყავით მისი უზრუვლყოფისათვის საჭირო ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე პრიორიტეტები, რაც თქვენი საქმიანობის ორიენტირი და გარანტირებულად მდგრადი განვითარების ამოსავალი ბაზა უნდა გახდეს.

დმანისის, როგორც ტიპიური მთიანი რაიონისათვის, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე:

რაიონის (ისე როგორც სხვა მთიანი რაიონების) მიწის სავარგულების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მიტოვებულია და ექსტენსიურად გამოიყენება, რაც თავისთავად დიდ დანაკარგს იწვევს. ამასთან, სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს ის, რომ სათიბ-საძოვრების პროდუქტიულობა უკიდურესად დაბალია და მათი სწორი ექსპლოატაციის საქმეს კი გაუმჯობესების პირი ნაკლებად უჩანს. არადა, სწორედ ეს სავარგულებია დიდი რეზერვი და საშუალება, რომელმაც უნდა შეგვაძლებინოს მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცება და ამ დარგის ჩამორჩენის დაძლევა.

რაიონში, მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობის, დიდი დახრილობის ფერდობებისა და მიწის სავარგულების დანაწევრების გამო მთელი ტერიტორიისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულად არ მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, იზღუდება უნივერსალური მექანიზაციის საშუალებების გამოყენებაც. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს, შესაბამისად ეკონომიკის დონესაც.

სამთო სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ სპეციფიკურ გარემოებაზე. როგორც მეცნიერთა მიერ არის დადგენილი, გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ნორმალურ მუშაობას უზრუნველყოფს მხოლოდ 3^0–მდე დაქანების ფერდობებზე. ამ და სხვა მიზეზების (ეროზიის გაძლიერება) გამო მიზანშეწონილი არ არის უფრო მეტი დაქანების ფერდობებზე სათოხნი კულტურების გაადგილება. ამის მიუხედავად, ეს წესი ყველგან როდია დაცული.

ეს გარემოება სვამს საკითხს სამთო პირობებში მომუშავე ტექნიკის სხვადასხვა მოდიფიკაციების შექმნის შესახებ. ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა გაწეული საქართველოში, დაგროვილია მდიდარი გამოცდილება და გარკვეული წარმატებებიც არის მოპოვებული.

საქართველოს მთიანეთში რეკომენდებულია მესაქონლეობა-მეცხვარეობა-მეკარტოფილეობის მიმართულების მეურნეობების განვითარება.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დმანისის რაიონის როგორც რეკრეაციული კომპლექსის ფუნქციის შემდგომ განმტკიცებას.

ამ თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა აგროტურიზმის განვითარება. ამისათვის თითქმის ფასდაუდებელია საქართველოს მრავალფეროვანი, კონტრასტული ბუნება, უმდიდრესი ფლორითა და ფაუნით, დიდ სამონადირეო და სათევზაო სივრცით, ტყის ფონდის სიდიადით, სამთო-სათხილამურო ტრასებით, აგრეთვე მდიდარი ისტორიული ძეგლებით.

აგროტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყოფს ისიც, რომ მთის სოფლებში კვლავ შემორჩენილია და მისდევენ ორიგინალურ ხალხურ ხელოსნობას—თიხის სხვადასხვა ჭურჭლისა და კერამიკული ნაწარმის, ხის მერქნით დაწნული ნივთების დამზადებას, დაზგურ-სამხატვრო და ჭედური ნაწარმის დამზადებას და სხვა.

ყოველივე ამას აქვს არა მარტო ლოკალური არამედ, უპირატესად საერთო სახელმწიფოე-ბრივი მნიშვნელობა. სხვა საკითხებთან

ერთად, უშუალოდ ამ პრობლემას უკავშირდება მთის რაიონების სოფლის ეკონომიკური პოტენციალის სწრაფი განმტკიცების ამოცანის გადაწყვეტა.

დმანისის რაიონის, ისე როგორც ყველა მთიანი რაიონის ეკონომიკის განმტკიცება უნდა მივიჩნიოთ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად. მას ჯერ კიდეც აკლია ჩვენი ყურადღება, რაც ყოველდღიურად, სულ უფრო გვახსენებს თავს.

პრინციპულად უნდა ითქვას, რომ როგორც თანამედროვე ისე მომავალმა მიწათმოქმედებამ სამი ძირითადი სპეციფიკური ამოცანა უნდა გადაწყვიტოს:

1. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლება;
2. წარმოების ეფექტიანობისა და უკუგების ზრდა;
3. გარემოს დაცვა.

ამის შესაბამისად, დმანისის რაიონის, ისე როგორც საქართველოში, სამთო სოფლის მეურნეობას განვითარების პრიორიტეტული სტრატეგია შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს:

ეკონომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს რაციონალიზაციის საფუძველზე მიღწეული იქნას საწარმოო-რესურსული პოტენციალის მაღალი უკუგებით გამოყენება, მარკეტინგული პოზიციების განმტკიცება, სასურსათო უსაფრთხოება და ეკონომიკური ზრდის სტაბილიზაცია.

7.საკითხის დასმა
Problem Statemment

ეკონომიკის ინფორმატიზაცია და ინფორმატიზაციის ეკონომიკა
(ანუ საინფორმაციო რევოლუციები)

(მომზადდა ინტერნეტის მასალების
მიხედვით)

კაცობრიობის წარმოშობა აღინიშნება პირველი საინფორმაციო რევოლუციით. შეიძლება ბევრი ვიკამათოთ იმაზე, თუ როგორ გამოეყო საღი ადამიანი მსოფლიო ბუნებას-პირველი შრომის იარაღის გამოგონების წყალობით, თუ დანაწევრებული მეტყველებით. და მაინც, **ენა პირველ უდიდეს საინფორმაციო გამოგონებას წარმოადგენს**. იგი, ამასთანავე, არის ეროვნული ცნობიერების პირველი მოდელი, ვინაიდან ენის ძირითად ცნებებში და მის ლინგვისტურ თავისებურებებში ყოველთვის აისახება ერის ლოგიკის და აზროვნების ხაზი.

მეორე ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოიცავს დამწერლობის გამოგონებას, პირველისაგან გამოყოფილია რამდენიმე ათასი წლის პერიოდით. მეორე საინფორმაციო რევოლუციის წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი რაოდენობის ადამიანების შეერთება ცოდნასთან, განსაკუთრებით პროფესიულთან, და ისიც საკმაოდ შეკუმშულ ვადებში.

მესამე საინფორმაციო რევოლუციის არსი შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით-**წიგნების ბეჭდვა**. მან უპრეცედენტო გავლენა იქონია ურბანიზაციის პროცესზე, არნახულად მძლავრ ტექნოლოგიურ რევოლუციაზე, რომელიც დროში იყო შეკუმშული, მოამზადა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სხვადასხვა კულტურა და ცივილიზაცია დააყენა გლობალიზაციის გზაზე. სწორად შენიშნა დ. რობერტსონმა, წიგნების ბეჭდვის გარეშე კოლუმბი ვერ აღმოაჩენდა ამერიკას.

მეოთხე საინფორმაციო რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის შექმნასთან. მეოთხე რევოლუციის მთავარი, საზოგადოებრივად შესაგრძნობი შედეგი გახდა **სივრცის გადალახვა**. მსოფლიო პატარა გახდა. მის ერთ ბო-

ლოში მიმდინარე მოვლენებმა უშუალო საინფორმაციო გავლენის მოხდენა დაიწყო პლანეტის სხვა, საკმაოდ მოშორებული კუთხეების ეკონომიკის და საზოგადოების მდგომარეობაზე. იდეების გაცვლამ გლობალური ხასიათი შეიძინა და საოცრად დაჩქარდა.

მეხუთე საინფორმაციო რევოლუციას შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური. იგი თავისთავში მოიცავს: სხვადასხვა კლასის კომპიუტერების გაჩენას, რომელთაც შეუძლიათ წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის გაკეთება; მძლავრი დამამახსოვრებელი მოწყობილობების შექმნას; მონაცემთა და ცოდნის გიგანტური, ავტომატიზებული ბაზების ჩამოყალიბებას, მუდმივ შევსებას და გაფართოებას, რომლებიც ასობით ათას ინფორმაციის გიგაბაიტს ითვლიან, რომელთაც პრაქტიკულად არა აქვთ შემდგომი განვითარებისათვის საზღვარი და რომელიც მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისათვის, რომელიც ფლობს გლობალურ ქსელებთან შეერთებულ პერსონალურ კომპიუტერებს.

მეხუთე ტელესაკომუნიკაციო და კომპიუტერული რევოლუციის დაწყებისთანავე, სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის საინფორმაციო ტექნოლოგიები და ნაკადები გლობალური, სოციალურ-კულტურული და ცივილიზაციური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

თუკი მეოთხე საინფორმაციო რევოლუციის მთავარ შედეგს წარმოადგენდა სივრცის, ხოლო მეხუთისა-დროის დაძლევა, გადაცემული და გადამუშავებული ინფორმაციის გიგანტური სიჩქარისა და მოცულობის წყალობით, მაშინ შესაბამისი ტექნოლოგიური რევოლუციებისათვის ყველაზე ფუნდამენტურ შედეგებს ახალი რესურსები წარმოადგენენ, ე.ი. ელექტრობის, ნავთობპროდუქტების (მეოთხესათვის) და ატომური ენერგიის (მეხუთე ტექნოლოგიებისათვის) გამოყენება მთავარი წყაროს სახით.

იმავდროულად, მასთან ერთად იზრდება წარმოების სიჩქარე და ტრანსპორტის მოძრაობა მომსახურების და მართვის სფეროში. ყოველივე ამას თან ახლავს ხარისხობრივად ახალი ხელოვნური მასალების შექმნა, ეკოლოგიურად სუფთა წარმოების დანერგვა, ჩაკეტილი ტექნოლოგიების, წარმოების და მართვის ავტომატიზირებული სისტემების ჩამოყალიბება. საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციები ერთიანდება საერთო ნაკადად, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას უწოდებენ. იგი გიგანტური გავლენის მოხდენას იწყებს ყველა ცივილიზაციურ და კულტურულ პროცესზე, გლობალური მასშტაბით.

ბოლო 100-150 წლის განმავლობაში საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციების გადაკვეთა და მზარდი შერწყმა, ახალი ათასწლეულის დასაწყისში მათი სავარაუდო სრული ინტეგრაცია ნიშნავს, რომ თვით გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში ხარისხობრივად ახალი ეტაპი დგება და იგი, უეჭველია, ფუნდამენტური და პრინციპული სახით დაკავშირებულია ყველაზე განსაკუთრებულ როლთან, რომლის თამაშსაც მეცნიერება და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში იწყებენ.

უკვე აშკარად გამოიკვეთა **მეექვსე საინფორმაციო რევოლუციის ნიშნები, რომელიც დაფუძნებულია ადამიანური ცოდნის საექსპერტო სისტემებსა და ხელოვნური ინტელექტის სხვა საშუალებების გლობალიზაციაზე.** ამ პროცესების განვითარებისას გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს საუკეთესო ფორმით გამოიყენოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, კაპიტალზე, რომელიც მოიცავს ძირითადი შემადგენლის სახით საწარმოო საშუალებებს და შრომაზე. თანამედროვე პირობებში მათ დაემატა ახალი, მეოთხე ფაქტორი-საინფორმაციო. ეკონომიკის ზრდა გადამწყვეტი ხარისხით ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, უფრო ძლიერ გამოიყენება მის განვითარებაში საინფორმაციო ფაქტორი და, პირიქით. ამგვარად, საინფორმაციო ფაქტორი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებას ეკონომიკაში.

ჩვეულებრივ ეკონომიკის საინფორმაციო სექტორს მიაკუთვნებენ საინფორმაციო საქმიანობის არა ყველა სახეს, არამედ მხოლოდ საინფორმაციო საქონლის და მომსახურების უშუალო წარმოებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბოლოო განმტკიცებული აზრი იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს ეს სექტორი, ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა. უდავოა, რომ სექტორის ბირთვს საინფორმაციო ინდუსტრია შეადგენს, ე.ი. კომპიუტერული ტექნიკის წარმოება, ინფორმატიზაციის, კომუნიკაციის და საპროგრამო პროდუქტების საშუალებები. გარდა ამისა, ინფორმაციულ სექტორში მუდმივად რთავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო ორგანიზაციებს, სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, სარეკლამო და მარკეტინგულ სააგენტოებს.

თავის მხრივ ინფორმაციულ ინდუსტრიაში საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების სეგმენტებს გამოყოფენ. ვინაიდან თანამედროვეობის წამყვან ტენდენციას ინფორმატიზაციის სხვადასხვა საშუალებათა კონვერგენცია წარმოადგენს, ეს ორი სეგ-მენტი აშკარად გამიჯნული არ არის.

ამ სეგმენტთა ერთობლიობას, რომლებიც შეადგენენ საინფო-რმაციო ინდუსტრიას, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნო-ლოგიებსაც უწოდებენ. სტატისტიკის მიზნებისათვის გამომუშავებულ იქნა სპეციალური შეთანხმება ევროკავშირის სტანდარტების მოთხო-ვნათა ფარგლებში, ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში, საინფორმა-ციო ინდუსტრიის ძირითად განსაზღვრებებზე. **მიღებული კლასიფი-კაციის შესაბამისად, საინფორმაციო ტექნოლოგიებს მიაკუთვნებენ:**

1. ტექნიკური უზრუნველყოფის კომპონენტების (გამომთვ-ლელ სისტემებს და ქსელებს, საოფისე სისტემებს, დამუშავების სა-შუალებებს, მონაცემთა გადაცემას და ა.შ.) ან სააპარატო საშუა–ლებების (კომპიუტერული მოწყობილობა) წარმოებას;

2. პროგრამული უზრუნველყოფის (სისტემური, გამოყენებითი, დამხმარე) ან პროგრამული პროდუქტების წარმოებას;

3. სხვადასხვა სახის მომსახურების წარდგენას (გამოთვლითი, ქსელური, საინფორმაციო, ტექნიკური).

დავუბრუნდეთ საინფორმაციო ინდუსტრიის კლასიფიკაციას. გარდა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, მასში საკომუნიკაციო ტექ-ნოლოგიებიც შედის. მათ ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობასა და საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებენ. ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის კლასიფიკაცია ჩვეულებრივ მოხმარების კატეგორი-ების მიხედვით ხორციელდება.

პირველ ჯგუფში, გამოიყოფა მომხმარებლის შენობაში დამონ-ტაჟებული აპარატურა. მას მიეკუთვნება: კერძო ტელეფონები, ორგა-ნიზაციების ავტომატური სატელეფონო სადგურები, ტელეფაქსები, ტელეტაიპები და ა.შ. მასში შედის მობილური ფიჭური ტელეფო-ნები, რადიო–ტელეფონები, პეიჯერები და სხვა მოწყობილობა.

მეორე ჯგუფი აერთიანებს მოწყობილობას, რომელიც საკომუ-ნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს: ლოკალური, საკვანძო, მა-გისტრალური და ფიჭური კომუტატორები.

სტატისტიკა საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებს მომ-სახურებას კერძო სატელეფონო ხაზებით, მონაცემთა კომუტაციით, აგრეთვე, მოწყობილობის დადგმას და ა.შ.

რაიმე კონკრეტული დარგის ეკონომიკით დაინტერესებისას, აუცილებელია გქონდეთ განსაზღვრული წარმოდგენა მასში გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ.

ეს თითქოსდა ტრივიალური მტკიცება უფრო სამართლიანია საინფორმაციო დარგისათვის, რომლის ტექნოლოგიები თანამედროვე წარმოების საშუალებების სათავეში დგანან. საინფორმაციო ტექნოლოგიები დღეს წარმოების და საზოგადოების ყველა სფეროში შედიან, ამიტომ, ეკონომიკის ინფორმატიზაციის შესწავლისას აუცილებელია შევჩერდეთ ინფორმატიზაციის ძირითად ტექნოლოგიებზე.

ცივილიზებული კაცობრიობა ყოველთვის ძალიან გულდასმით ეკიდებოდა ინფორმაციის შენახვას, რითაც იგი არსებითად განსხვავდება არაცივილიზებულისაგან. კომპიუტერების გაჩენასთან ერთად მალევე დაიწყო ცივილიზებულმა საზოგადოებამ მისი ათვისება და პრაქტიკაში დანერგვა. დიდი პროგრესი განიცადა მონაცემთა ბაზების შექმნამ. ისინი განსხვავდებიან საინფორმაციო ბაზებისაგან, რომ ინფორმაცია მათში გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამულად რეალიზებულ კატალოგებს და ინფორმაციის ძიების მექანიზმებს მონაცემთა მართვის სისტემებს უწოდებენ.

საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ინფორმატიკის საშუალებათა კონვერგენცია. ეს ტერმინი ნიშნავს კავშირის-სხვადასხვა ტექნოლოგიასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შორის-საზღვრების წაშლას. უკვე დღეს წარმატებით მოქმედებენ საოჯახო კომპიუტერული სისტემები, რომლებიც მოიცავენ მართვად კომპიუტერს, ფაქსს, ტელევიზორს, მუსიკალურ ცენტრს, ტელეფონსა და სხვა ელექტრო ხელსაწყოებს. მობილური ტელეფონი იოლად ირთვება ინტერნეტში, ელექტრონულ ფოსტაში და ა.შ. მობილური ტელეფონების და კომპიუტერების ნარევის ბაზაზე ვითარდება ვიდეოტელეფონები.

თანდათან ნათელი ხდება, რომ პერსონალური კომპიუტერი იმ სახით, რომელსაც მივეჩვიეთ, კვდება. ყველა პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის შეკრების იდეა ერთ მაგიდაზე, რომელიც გაბატონებულია პერსონალური კომპიუტერის ეპოქაში, ადგილს უთმობს ქსელური კომპიუტერის პარადიგმას. იგი იღებს ყველა აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფას ლოკალური ქსელებიდან და ინტერნეტიდან, კომპიუტერ-სერვერთა მეხსიერებიდან, ქსელურ კომპიუტერზე ინახება მხოლოდ მინიმალური პროგრამული უზრუნველყოფა ქსელში გასაშვებად. ასეთი ვარიანტის დროს არ არის სახლის კომპიუტერში დიდი მეხსიერების და უკვე ჩვეული „ვინჩესტერის“ ქონის აუცილებლობა. ქსელური კომპიუტერის ფასი არ

გადააჭარბებს 300 დოლარს, რაც მის გამოყენებას იაფსა და კონ-კურენტუნარიანს გახდის, აგრეთვე არაა საჭირო ბევრის დახარჯვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

ინფორმატიკის საშუალებათა ტექნოლოგიური კონვერგენცია განაპირობებს უმსხვილეს კორპორაციათა შერწყმას ამ სფეროში. 2000 წლის დამდეგს მსოფლიოში უმსხვილესმა საინფორმაციო კომპანიამ „ამერიკა ონლაინმა“ გამოაცხადა შერწყმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში გიგანტთან-კორპორაცია „თაიმ უორნერთან“. ახალი მეგაკორპორაცია, რომელმაც მიიღო სახელწო-დება „აოლ თაიმ უორნერ ინკორპორეიტედ“, გახდა უმსხვილესი მსოფლიოში, საერთო ღირებულებით 350 მლრდ. დოლარი. მისი ყო-ველწლიური მოგება, სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით შეა-დგენს სულ მცირე 30 მლრდ. დოლარს.

80-იან წლებში ა.შ.შ-ში დაიწყეს სხვადასხვა კომპიუტე-რების ქსელის შექმნა, უპირატესად კი სამხედრო დანიშნულებისა: „არპანეტ“, „მილენტ“, „ბიტენტ“ და სხვა. 1986 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეიმუშავა „ენ-ეს-ეფნეტ“ ქსელი, რომელმაც დააკავშირა რამდენიმე სუპერ კომპიუტერი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ამ ქსელის უნიკალურობა მდგომარეობს არა მარტო მის მასშტაბებში და უნივერსალურობაში, არამედ ეკონომიკურ შინაა-რსში. ინტერნეტი არავის ეკუთვნის, მთლიანობაში მისი პროექტი არავის შეუდგენია, ის არის ორგანიზაცია, რომელიც მის განვითა-რებაზე პასუხს აგებს. ინტერნეტი-ქსელთა ევოლუციის შვილობილია. ქსელები იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მი-ზნით. მათი სრულყოფა და გაერთიანება ერთმანეთთან ხდება ყვე-ლასათვის განსაზღვრული ჩართვის და მონაცემთა გადაცემის საე-რთო წესების საფუძველზე, რომელთაც რატომღაც ოქმებს უწო-დებენ. აი ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება და ვითარდება ინტერნეტი. იგი ჯერჯერობით არავის მიერ არ რეგულირდება და სწორედ ეს წარ-მოადგენს მის განუმეორებელ თავისებურებას.

ინტერნეტი-ესაა ეკონომიკური ლიბერალიზმი, ხორცშესხმუ-ლი ქსელურ სანფორმაციო ტექნოლოგიაში. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ ის ასე ბუნებრივად და თავისუფლად შევიდა ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

თანამედროვე ინტერნეტი წარმოადგენს დაახლოებით 5 მლნ. საბაზო ელექტროგამომთვლელი მანქანების ქსელს, რომლებიც შეე-რთებულია „სწრაფი“ ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის ხაზებით. იგი აერთიანებს 90 ათას ქსელურ სტრუქტურას მსოფლიოს 100 სახე-ლმწიფოში. ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვი ფანტასტიკური

სისწრაფით იზრდება და უკვე შეიძლება ჩაითვალოს ჩამოყალიბებულად ადამიანთა ახალი გაერთიანება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტერნეტით და რომელსაც დაუკავშირეს თავისი პროფესიონალური და ყოველდღიური საქმიანობა. ამ ადამიანთა წრე სწრაფად იზრდება, მოიცავს რა მთელ ინტელექტუალურ და მსოფლიოს საქმიან ელიტას.

თანამედროვე ინფორმატიკის ეკონომიკა დაფუძნებულია ორ ურთიერთშემავსებელ პროცესზე: ინფორმატიკის საშუალებათა გაიაფება და, უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერებისა და ინფორმაციის გადაცემის მომსახურების ღირებულების შემცირება. ორივე ეს ფაქტორი იწვევს კომპიუტერთა რიცხვის ლავისებურ ზრდას და კომპიუტერული ქსელების არნახულად სწრაფ გაფართოებას, რასაც თავის მხრივ მივყავართ მათი მოხმარების გაიაფებისკენ.

ინტერნეტი მიეკუთვნება კაცობრიობის ტექნოლოგიური აღმოჩენების მცირე რიგს (ბორბალი, ორთქლი, ელექტროობა), რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მარტო ეკონომიკური წყობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაც. მან ლოგიკურად დაასრულა ინფორმაციული ტექნოლოგიების (რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი) მთელი ოჯახის განვითარება, რამაც განაპირობა ინფორმაციული საზოგადოების შექმნა.

ინტერნეტის გარეშე არ იქნებოდა მეგაეკონომიკა, მაგრამ სწორედ ობიექტურად განპირობებულმა მსოფლიო ეკონომიკის გადასვლის პროცესმა მეგაეკონომიკაში გამოიწვია ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობა.

დღეს ინტერნეტ-ეკონომიკა და ტრანსერონული კაპიტალი წარმოადგენენ გამარჯვებული ლიბერალიზმის სიმბოლოებს: ინტერნეტი პრაქტიკულად არავის მიერ კონტროლირდება და ვითარდება როგორც სრულიად დამოუკიდებელი სისტემა.

მოცემულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მრავალმხრივ განსაზღვრავენ ხელისუფლების სტრუქტურას, მართვის ტიპსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება, რადიო და ტელეარხების გაფართოების შესაძლებლობა, ვიდეომაგნიტაფონების გამოჩენა, ასევე მძლავრი და სწრაფი ასლის გადაღების ტექნიკა, ტოტალურ რეჟიმებს არყევდა, რომელმაც არ იცოდა უცხო იდეოლოგიასთან ბრძოლის სხვა საშუალება, გარდა აკრძალვისა. საბოლოო ჯამში, საინფორმაციო ომი მოიგო დასავლეთმა და აღმოსავლეთ ევროპის ტოტალური რეჟიმები დაემხო.

დასავლეთის დემოკრატიამ ტოტალიტარულ რეჟიმებზე უკეთ ისწავლა რადიო და ტელეარხების, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალების გამოყენება. მათ თავიდანვე არ ეშინოდათ ამის, ნათლად ხედავდნენ რა იმას, რომ მრავალნაირი და დაუმუშავებელი ინფორმაციის სიჭარბე პრაქტიკულად მოსახლეობისათვის მისი არქონის ტოლფასია. არ არის საჭირო რაღაცით ხელისუფლებისათვის მავნე აზრის ჩახშობა, უბრალოდ მათთან ერთად კარგია მიიტანო მოსახლეობამდე კიდევ ორი ათეული სხვადასხვა და ძირითადი საწინააღმდეგო აზრი. მაშინ იგი ჩაიძირება საინფორმაციო ხმაურში და აღარ ხდება საშიში. კაპიტალი არ კრძალავს, უბრალოდ ყიდულობს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში წარმოიშვა საინფორმაციო-ფინანსური ოლიგარქია, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს პლანეტის საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების 90%-ზე მეტს. ბუნებრივია, ტყუილია, ვიფიქროთ, რომ არის პირთა რომელიღაც ჯგუფი, რომელიც ზის და წყვეტს, რა ინფორმაცია და როდის მიაწოდოს მსოფლიოს. არანაირი იატაკქვეშა, ჩრდილოვანი მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებას აკონტროლებს, არ არსებობს. უბრალოდ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, სასტიკად რომ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და თან ებრძვიან, ბევრ საკითხში ობიექტურად ერთნაირი ინტერესები და საერთო იდეოლოგიური პოზიციები აქვთ.

კომპიუტერული ქსელების პრინციპული უპირატესობა, როგორც ახალი ნაირსახეობა მასობრივი ინფორმაციული საშუალებებისა, არის ინფორმაციული ზემოქმედების ინდივიდუალიზირებისა და პერსონიფიცირების შესაძლებლობა. უკვე ახლა კომპიუტერული ფირმები თანდათან ქმნიან ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლის სახეს, სწავლობენ მის გემოვნებას, ურჩევენ რა იყიდონ, რა ნახონ და ა.შ.

ამგვარად, თანამედროვე მიღწევები ინფორმატიკაში ძალიან შთამბეჭდავია, მას ფაქტიურად განვითარების საზღვრები არა აქვს, ის უკიდეგანოდ ვითარდება და შედეგებიც ალბათ შესაბამისი იქნება.

ომარ ქეშელაშვილი-
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ჟურნალის „აგრარულ–ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)

I. ზოგადი მიწათმოქმედება.
II. მემცენარეობა.
III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა.
IV. ნიადაგმცოდნეობა და აგროქიმია.
V. მელიორაცია და ირიგაცია.
VI. მცენარეთა დაცვა.
VII. მექანიზაცია და ელექტიფიკაცია.
VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.
IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.
X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.
XI. მეცხოველეობა.
XII. ვეტერინარია.
XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება და შენახვა.
XIV. ეკონომიკა და ბიზნესი.
XV. აგრარული ეკონომიკა.
XVI. ეკონომიკური თეორია.
XVII. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.
XVIII. მსოფლიო ეკონომიკა.
XIX. ნორმატიულ-საცნობარო მასალები.
XX. საკონსულტაციო დარბაზი.
XXI. სადისკუსიო კლუბი.
XXII. უწყვეტი სწავლების დარბაზი.
XXIII. საინფორმაციო მაცნე.
XXIV. აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.
XXV. გამოჩენილი აგრარიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
XXVI. სიტყვა აკადემიკოსს.
XXVI. კომპეტენტური აზრი.
XXVII. დოქტორანტთა დარბაზი.
XXVIII. ბაკალავრთა დარბაზი.
XXIX. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
XXX. საკითხის დასმა.

შინაარსი–CONTENTS

გვ.

1. **აგრარული ეკონომიკა-Agrarian Economy** 5

ომარ ქეშელაშვილი-სამართალდაცვის მენეჯმენტი და მისი ამოცანები 5

O. Keshelashvili-Management of Law-enforcement and its objectives 17

გ. მშვილდაძე, ქ. როყვა-მცირე მეწარმეობის განვითარების პრობლემები და ტენდენციები საქართველოს სოფლის მეურნეობაში 18

G. Mshvildadze, K. Rokwa- Problems and trends in the development of small business in agriculture 25

2. **კვების მრეწველობა- Food Industry** 26

გ. გრიგორაშვილი- ახალი სახეობის ხილ-ბოსტნეულის წვენები ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით 26

G. Grigorashvili-New Kind of fruit and vegetable juice made from local raw materials 30

ნ.ალხანაშვილი, მ. დემენიუკ- ბეგქონდარა, როგორც შრობის ობიექტი 31

N. Alkhanashvili,M. Demeniuk- Thyme as a drying object 36

ნ. ალხანაშვილი, მ. დემენიუკ ბეგქონდარას შრობისთვის მომზადება 37

N. Alkhanashvili,M. Demeniuk-Preparation of Thyme for drying 41

3. **მევენახეობა- Viticulture** 42

თამარ ვახტანგაძე-ვაზის ახალი ჰიბრიდული ჯიშები და ქართული გენოფონდი 42

T.Vakhtangadze-New Hybrid Varieties of Grapevine and Georgian Germplasm 46

4. **უწყვეტი სწავლების დარბაზი-Continuous Studying Hall(ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili)** 47

ლექცია 21 დარგობრივი ბიზნესის ორგანიზაცია 47

21.1. ბიზნესის ორგანიზაციის სქემატური მოდელი ეკონომიკის სფეროებისა და ფუნქციონალური რგოლების მიხედვით 47

21.2. ბიზნესის ორგანიზაცია მრეწველობასა და სამშენებლო კომპლექსში 50

21.3. ბიზნესის ორგანიზაცია სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში 53

21.3.1. სოფლის მეურნეობის განვითარების თავისებურებები 53
21.3.2. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის
დარგობრივი სტრუქტურა 57
21.3.4. ბიზნესის ორგანიზაციის სპეციფიკური ნიშნები და მიმართულებები სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში .. 58
5. ტერმინები-Terms (ო. ქეშელაშვილი, O. Keshelashvili 66
5.1 ეკონომიკური რესურსი 66
5.2. საქონელი 68
5.3. ეკონომიკური ეფექტიანობა 69
5.4. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი 70
5.5. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები 72
5.6. პროგნოზირება და მოდელირება 73
5.7. ბაზრის სეგმენტაცია 76
5.8. კონკურენცია 78
5.9. გადასახადების არსი და ფუნქციები 79
5.10. გადასახადის სახეები 80
5.11. იპოთეკა 81
5.12. საბანკო სისტემა 83
6. რეკომენდაცია-Recommendation 84
ომარ ქეშელაშვილი- დმანისის რაიონის აგრარული სექტორის ტენდენციები, მდგრადი განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი და რეკომენდაციები 84
7.საკითხის დასმა-Problem Statemment 93
ომარ ქეშელაშვილი-ეკონომიკის ინფორმატიზაცია და ინფორმატიზაციის ეკონომიკა (ანუ საინფორმაციო რევოლუციები) 93
შინაარსი–CONTENTS 102

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ:

1. სტატიის მოცულობა–5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx– 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMtavrPS –11, ფორმატი Pege Setup-ში: Top 1.0; Left 15.8; Bottom 1.0.; Right 1.0;), ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
2. სტატიას უნდა ახლდეს **რეფერატი** (ინტერნეტული ვერსია–0,5 გვერდამდე) ქართულად და ინგლისურად;

2019წლის I კვარტალი

ტექნიკური რედაქცია:

გ.მოსაშვილი-აკადემიური დოქტორი-ტექნიკური რედაქტორი, ვებ-გვერდის რედაქტორი, კომპიუტერული უზრუნველყოფა: ინგლისური ვერსია-ი.ბახტაძე, თ. ეპიტაშვილი.

ჟურნალის დამფუძნებელი და გამომცემელია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ომარ ქეშელაშვილი.

ჟურნალის გამოცემის მხარდამჭერები არიან:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (პრეზიდენტი აკადემიკოსი გ.ალექსიძე), შპს-პროფესიონალ კონსულტანტთა ჯგუფი (დირექტორი სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დ.ეგიაშვილი).

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 5.8